სარჯიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 იანვარი 2000 №4 (1026) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ბათუმი ნორჩაში. კარგი იქნება!

ჩემპიონობაც და თასიც? რატომაც არა! აცხადებენ ზღვისპირელები

7 უპრაინა ახალ კაცს ელის

ერთადერთი რეალური კანდიდატი ლეონიდ ბურიაკია

8 ჩვენც ხალხი ვართ...

შეგნებული ინგლისელი გულშემატკივრები ჰოლანდიელ და ბელგიელ ჟანდარმებს გულს უჩვილებენ

14 ნინო სალუქვაძე გაფრთხილებთ!

უფულობა მომაკვდინებელია ქართული სპორტისთვის

რად უნდა ვიალის ალექსიძე?

რატის კარგად ვიცნობ: სწრაფი, ჟინიანი და ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია — ამტკიცებს „ჩელსის“ მწვრთნელი

ჯანლუკა ვიალი

ძნელი სათქმელია, რა და რამდენი უღირს „ჩელსის“ ქართველი ფეხბურთელი რატი ალექსიძე. ვერც იმას მოგახსენებთ, რას ელიან ლონდონელები ჩვენებურისგან, მაგრამ ფაქტი ერთია: „ჩელსი“ ალექსიძის გადასაბირებლად ყველაფერს აკეთებს და არც ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის ჩინოვნიკთა შეწუხებას ერიდება.

„ჩელსის“ მესვეურთა მიერ ზემოხსენებულ დეპარტამენტში წარდგენილი აპელაციის განხილვამდე ჯერაც საკმაო დროა, მანამდე კი ლონდონელთა თავკაცი ჯანლუკა ვიალიც ერთობ აქტიურობს.

სააგენტო „როიტერს“ ვიალიმ ალექსიძის შეძენის სურვილი ასე დაუსაბუთა: „რატი ჩვენთან რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა, ამიტომ მას კარგად ვიცნობ. ის ძალიან სწრაფი და ჟინიანი ფეხბურთელია. ჩვენს მიერ წარდგენილ აპელაციას დეპარტამენტი აუცილებლად განიხილავს. პრემიერლიგის გუნდები ჩამოყალიბებული ფეხბურთელების ყიდვას ამჯობინებენ, მაგრამ ალექსიძის ნიჭი მაფიქრებინებს, რომ მას შეუძლია დიდი ფეხბურთი ითამაშოს“.

REUTERS-ის ფოტო

რატი ალექსიძე

პასუხს მარაკანა გაგვცემს

REUTERS-ის ფოტო

დღეს „მარაკანაზე“ ანშლაგი იქნება. ბილეთებზე უკვე ერთი ამბავია...

დღეს მსოფლიოს კლუბთა პირველი ჩემპიონატის ბრაზილიელი გამარჯვებულის ვინაობა გამოვლინდება. ჰოლანდიელი მსაჯი დიკ იოლი „მარაკანას“ მინდორზე „კორინთიანსსა“ და „ვასკუ და გამას“ გამოიხმობს და ვინაიდან ორივე შეჯიბრების მასპინძელი ქვეყნიდანაა, საკითხავი ერთიღა რჩება, ბრაზილიის რომელ ქალაქში დაავანებენ ვერცხლის ჯილდოს, სან პაულუში თუ რიო დე ჟანეიროში. ფინალამდე სამი საათით ადრე კი მესამე ადგილზე გასულის ვინაობა უნდა გაირკვეს. ეგრეთ წოდებულ მცირე ფინალში ერთმანეთის პირისპირ ესპანური „რეალი“ და მექსიკური „ნეკაქსა“ წარდგებიან. ამრიგად, დღეს დასრულდება ტურნირი, რომლის მონაწილე რვა გუნდიც 28 მილიონი დოლარის საპრიზო ფონდს გაინაწილებს.

თემთა პალატა მაიკ ტაისონის წინააღმდეგ

მაგ ნაცისარის ფეხი არ იყოს ინგლისში, ცხარობენ ბრიტანელი ქალები, რომელთა ჭკუაზე ხელისუფალნი ალბათ არ გაივლიან

კვირას, ჩვიდმეტ საათსა და ოცდახუთ წუთზე, ლონდ[illegible]ს მიწაზე „კონკორდი“ დაეშვება და მგზავრებს გადასხამს. ბრიტანელი საიმიგრაციო მოხელენი საბუთებსა და ბარგს გასინჯავენ, ერთ-ერთ ჩასულს პასპორტ-საბუთებს დაუბრუნებენ და თან ეტყვიან: „მისტერ ტაისონ, თქვენ არა გაქვთ გაერთიანებულ სამეფოში ჩამოსვლის უფლება. თქვენ ნასამართლევი ხართ, მაგრამ...“



იხილეთ მეთორმეტე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ძოძუაშვილი, ორი შენგელია, თითო ბაჯო და კანუ

„დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ მუდამ ღირსეულად მეტოქეობენ...

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

დიდი სტუმრიანობა იყო გუშინ „დინამოს“ ნავსაყუდელში. დიღმის ბაზას წლეულს პირველი საფეხბურთო დღე გაუთენდა. ორი ამხანაგური შეხვედრის მოწმენი გავხდით. ორივეში დინამოელები იდგნენ მოედნის ერთ მხარეს. მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ ორ გუნდად დაყო ბიჭები. პირველი ნახევარი 11 საათისთვის დაიბარა, მეორე — 13 საათისთვის. დილის მატჩი მართლაც ამხანაგური სულისკვეთებით წარიმართა. ერთმანეთის პირისპირ „დინამოს“ ახალწვეულებით გადახალისებული შემადგენლობა და ფეხბურთელების მოძიებით დაკავებული „თბილისი“ წარდგნენ. შეხვედრა ხელოვნურსაფრიან მოედანზე შედგა. ზომების სიმცირის გამო მხოლოდ ათ-ათი კაცი აგორებდა ბურთს, მაგრამ მათაც არ ჰ ყოფნიდათ სივრცე. ჰოდა, ვიდრე ამ მატჩის თაობაზე მოგითხრობდეთ, უმჯობესია, მეორე, უფრო დაძაბული, ოთარბრძოლის შესახებ მოგითხროთ.

„დინამოს“ ძირითადი გუნდი და „ვიტ ჯორჯია“. დიდი მოედანი და კოჭებამდე ტალახი. არანაირი საამხანაგო განწყობილება. მართლაც ღირსეული ბრძოლა და 150-მდე მაყურებელი, რომელთა რიგებში ბევრი ცნობილი ქართველი მწვრთნელიც იყო. მაშ, ასე:

დინამო 3:2 ვიტ ჯორჯია

1:0 ანჩაბაძე (14), 2:0 დათუაძე (18), 2:1 ხაჭაპურიძე (55), 3:1 წიტაიშვილი (62), 3:2 დიღმელაშვილი (70)

ქორიძემ ვერ გაიტანა პენალტი (36, მეკარე)

დინამო: ა. ჩიხრაძე, ხიზანეიშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, შაშიაშვილი (წიტაიშვილი 46), ა. სახვაძე, ნემსაძე, სიჭინავა, ანჩაბაძე, დათუაძე, ალექსიძე

ვიტ ჯორჯია: მერლანი, ბარქაია (ვ. გოჩაშვილი 82), თოდუა, ჭანკოტაძე, ხართიშვილი (ჯ. მუჯირი 46), ზ. გვაზავა, ი. ხაჭაპურიძე, ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე, გ. გოცირიძე, ძოძუაშვილი

მსაჯი: მ. მალაღურაძე

მწვრთნელები ვახსენე და ბარემ გავაგრძელებ — შეხვედრას ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი და ახალგაზრდულის დამრიგებელი მურთაზ ხურცილავა ესწრებოდნენ მწვრთნელთა საბჭოს რამდენიმე წევრთან ერთად. ძოძუაშვილმა შემადგენლობა ჩაიკითხა, ფურცელი ჯიბეში ჩაიდო და დიდი ყურადღებით შეუდგა მოთამაშეთა დაკვირვებას. ფეხბურთელები თავს არ ზოგავდნენ ამ ტალახბურთში. თუ წინასწარ არ იცოდი, რომ მატჩი საკონტროლო-ამხანაგური ხასიათისა იყო, იფიქრებდი, აქ რაღაც სხვა ამბავიაო.

ვიტელებს ტრავმების გამო ოთხი კაცი — მელქაძე, საჯაია, ყიფიანი და კოტორაშვილი აკლდათ. სამაგიეროდ, „სამგურალის“ ყოფილი ხაჭაპურიძე-ძოძუაშვილის დუეტი ჩართო მწვრთნელმა კოტრიკაძემ საქმეში და ორივემ აშკარად გაუმართლა იმედი. თამამად გეტყვით, „ვიტ ჯორჯიას“ მარცხენა ჰავბეკი ირაკლი ხაჭაპურიძე მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო. რაც შეეხება ძოძუაშვილს, ამ ახალგაზრდა ქუთაისელ თავდამსხმელს კოჭებში ეტყობა, რომ მისგან კარგი ფეხბურთელი უნდა დადგეს. თანაც ისეთი გვარისაა... გვარიშვილობაზე გამახსენდა: მიხიჩას შვილიშვილი ახლდა თამაშზე. პატარა ძოძუაშვილსაც უმალ დაანახვეს მოედანზე ვერცხლისწყალივით მოძრავი მოგვარე. ეს ის ბიჭი არაა, უკრაინაში რომ უნდა წასულიყო — თქვა ბაბუას გვერდით მდგომმა და ჩვენი გაკვირვებული და ღიმილიანი სახეები რომ დაინახა, გვითხრა — მხოლოდ სპორტულ გაზეთებს კითხულობო.

ოთარ კორღალიძის „დინამომ“ გამოცდილებითა და კლასით უფრო მოიგო, ვიდრე თამაშით. ჩემპიონებმა მხოლოდ პირველ ტაიმში აჯობეს მეტოქეს. ამას ვიტელი ქორიძის გამოუყენებელი პენალტიც დამატა და კოტრიკაძის შეგირდებმა მეორე ნახევარში ორბურთიანი სხვაობის გაქვითვა ვეღარ მოახერხეს. არადა, 46-ე წუთიდან ბოლომდე სრულ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ.

ორჯერ ძელმა იხსნა მასპინძლები, რამდენჯერმა თავად ვიტელებმა ვერ ივარგეს ხელსაყრელი პოზიციიდან და შეხვედრის ლოგიკური შედეგი, ფრე არ დაფიქსირდა.

დინამოელთაგან მარჯვენა ფლანგზე გამწესებული დათუაძისა და ცენტრალური თავდამსხმელის ამპლუაში მოთამაშე ალექსიძის გამოყოფა შეიძლება. პირველი და მესამე გოლი სწორედ ალექსიძის აქტიურობას მოჰყვა. ისე, მათი ზუსტი პასებით ძოძარაგებელი ანჩაბაძის გარჯის დაუფასებლობაც არ იქნება.

ახლა დიღის მატჩზე შენგელიებსა, ბაჯოსა და კანუს შესახებაც ვთქვათ. „დინამომ“ შემდეგი ათეულით იოთამაშა: ბათიაშვილი, ზამთარაძე, ლობჟანიძე, ო. გველესიანი, პ. ჯინჭარაძე, რუხაძე, ჩომახიძე, გოგიჩაიშვილი, კერძევაძე, გ. შენგელია.

პირველ ტაიმში დინამოელთა ამ შემადგენლობას „თბილისის“ მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ ბედიაშვილი, ჩივაძე, მაჭავარიანი, ლოლაძე, ტყებუჩავა, ნორაკიძე, ახალაია, ბურდული, გონჩაროვი და ი. შენგელია დაუპირისპირა. 40-წუთიანი ტაიმში „დინამომ“ 5:3 გაიმარჯვა. შენგელიების ღუელი, რა თქმა უნდა, რამაზიჩმა მოიგო. გიორგიმ ჰეთ თრიქი შეასრულა. დანარჩენი ორი „თბილისს“ როინ კერძევაძემ იგივე ბაჯბაჯამ, იგივე ბაჯომ და გოგიჩაიშვილმა გაუტანეს. მუმლაძის შეგირდებიდან გონჩაროვმა, ბურდულმა და ახალაიამ იმარჯვეს.

მეორე ნახევარში „დინამო“ იგივე შემადგელობით გავიდა ხელოვნურსაფრიან მოედანზე. მუმლაძემ მეკარე ბედიაშვილი, მცველები ჩივაძე და ტყებუჩავა დატოვა, ათეული კი შემდეგი მოთამაშეებით შეავსო — ძმები ლაბაძეები, ელბაქიძე, მუმლაძე, პარამონოვი, ცქიფურიშვილი, ხმალაძე.

ეს ტაიმიც დინამოელებმა მოიგეს ამჯერად 5:2. გოლები — გოგიჩაიშვილმა (სამი), გიორგი შენგელიამ და კერძევაძემ გაიტანეს. „თბილისიდან“ კი ხმალაძემ შეძლო დუბლის გაკეთება.

ახლა კანუზეც გეტყვით. რამაზ მუმლაძემ ვაჟიშვილი, ავთო ათამაშა შეხვედრის მეორე ნახევარში. „კანუ“ სწორედ მისი მეტსახელი ყოფილა. ჰოდა, ისმოდა მთელი 40 წუთის განმავლობაში — კანუ, კანუო, რა თქმა უნდა, თანაგუნდელთა მხრიდან...

ხვიჩა სანიკიძე

თბილისი დაცვით ახლდება

პაპიძე და მაისურაძე მუმლაძეს შეეშველებიან

ზვიად პაპიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

„თბილისი“ ალბათ ერთადერთი გუნდია საქართველოში, რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხი ფინანსური კრიზისის გამო არ დამდგარა. როგორც მოგეხსენებათ, კლუბი პირველი ეტაპის შემდეგ თორმეტმა ფეხბურთელმა დატოვა და ძველი „თბილისისგან“ მხოლოდ არჩდილიღა დარჩა. შოკურ მდგომარეობაში ვიმყოფებით — განუცხადა ამას წინათ „სარბიელს“ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ, თუმცა ისიც დასძინა — რაღაცას მოვიმოქმედებთ საიმისოდ, რომ მეორე ეტაპს ყოვლად უსუსური შემადგენლობით არ შევხვდეთო.

„თბილისზე“ უფრო ძლიერ კლუბებში გადაბარგებული ფეხბურთელების სანაცვლოდ მუმლაძემ ოცამდე ახალწვეულს უხმო. მწვრთნელი ყურადღებით აკვირდება ახალბედებს. რჩეულთა გამოსავლენად ცდილობს, რაც შეიძლება მეტი საკონტროლო შეხვედრა გამართოს და, რა თქმა უნდა, შედეგს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს. გუშინ „დინამოსთან“ ამხანაგური მატჩის წინაც თქვა — ჩემთვის მთავარი ბიჭების საქმეში ნახვაა. მათი უმრავლესობა ერთმანეთს არც კი იცნობს და რა შედეგი უნდა მოვთხოვო. გუნდურ თამაშზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვცდილობ, თითოეულის ინდივიდუალური მონაცემები შევისწავლო და დასკვნები ისე გამოვიტანოო.

მართლაც ბევრი ისეთი ახალწვეულია ამჟამად „თბილისში“, რომელთა გვარ-სახელები შეიძლება გაგონილიც არ ჰქონდეს ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს. თუმცა გუშინ ერთი ცხელი ამბავი გამოცხვა გუნდის სამზარეულოში. რამაზ მუმლაძის ამქარში ქომაგთათვის საკმაოდ ცნობილი ორი ფეხბურთელი აპირებს ჩარიცხვას — „ბათუმისა“ და „ტორპედოს“ მცველები ზვიად პაპიძე და ვასილ მაისურაძე. თუ პირველის „თბილისში“ გადაბარგების საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, მეორე ჯერ მხოლოდ 90 პროცენტით უნდა ჩაითვალოს თბილისელად. მაისურაძეს „ტორპედოსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ჯერჯერობით უცნობია ქუთაისელთა გუნდის ხელმძღვანელობის აზრი მისი „თბილიზში“ გაშვების თაობაზე.

ვასილ მაისურაძე გუშინ დიღმის ბაზაზე ესტუმრა რამაზ მუმლაძეს და კარგა ხანს ესაუბრა. შემდეგ კი „სარბიელს“ შემდეგი უთხრა — მართალია, „ტორპედოსთან“ კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ იყო სიტყვიერი შეთანხმება დავით ყიფიანთან, რომ ქუთაისურ კლუბს უეფას თასზე უნდა დაეხმარებოდი და ამის შემდეგ სხვაგან წასვლაში ხელს არ შემიშლიდნენ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, „ტორპედოში“ ძირითადად სათადარიგოთა სკამზე მიწევდა ჯდომა. რაღა დროს ჩემი უთამაშებლობაა... სხვა გუნდებიდან კონკრეტული წინადადება მხოლოდ „თბილისიდან“ მქონდა და ბევრიც აღარ მიფიქრია. არა მგონია, „ტორპედო“ ამ ტრანსფერის წინააღმდეგი წავიდეს და ალბათ მაისამდე რამაზ მუმლაძის კლუბის მაისურას მოვირგებ.

მაშ ასე, „თბილისი“ ფერზე მოდის. ბათუმელი ზვიად პაპიძე და ტორპედოელი ვასილ მაისურაძე პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ გუნდის დაცვას უთუოდ გააძლიერებენ.

ხვიჩა სანიკიძე

ვასილ მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი ნორჩაში. კარგი იქნება!

ჩემპიონობისთვისა და თასისთვის მებრძოლი „ბათუმიც“ გაგანია სამზადისშია. დეკემბერში იტალიელი მწვრთნელის გარეშე შეკრებილები ახლა უკვე, კვირაზე მეტია, ჯანი კარნევალეს მეთვალყურეობით ვარჯიშობენ. მწვრთნელი შობა-ახალწელიწადს სამშობლოში გახლდათ, თავისიანებიც მოინახულა და გუნდის იქაურ ტურნირში მონაწილეობის ამბავიც გაარკვია — სხვათა მსგავსად ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე „ბათუმიც“ უცხოეთს გაემგზავრება, უკვე გადაწყვეტილი ყოფილა.

ეს და სხვა ახალიც „ბათუმის“ პრეზიდენტმა, ბატონმა თემურ ბეჟანიძემ გვითხრა, როცა ბათუმში შევეხმიანეთ.



ბადრი ქათამაძის ფოტო

თემურ ბეჟანიძე

— მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და ჩვენც დავთანხმდით. იტალიაში ყოფნისას ყველაფერი მოუგვარებია. პერუჯას მახლობლად, დაბა ნორჩაში მივემგზავრებით, იქ დაახლოებით 20 დღეს დავყოფთ, 26-27 იანვრიდან 16-17 თებერვლამდე. ჩვენს გარდა ტურნირში 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რუსეთიდან, სავარაუდოდ, მოსკოვის „ტორპედო“ და ცესკა ითამაშებენ, სამი გუნდი რუმინეთიდან იქნება, აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები და თავად მასპინძელთა გუნდები, შესაძლოა პოლონელებიც ჩამოვიდნენ. ვნახოთ, იტალიაში მივდივართ და პირობებიც ალბათ ჩინებული გვექნება. მწვრთნელის თქმით, ეს შეკრება გუნდს ძალიან წაადგება.

— იტალიაში ოცდღიან მომზადებას სქელი ჯიბე უნდა...

— ჩვენ თითქმის ყოველთვის მოსამზადებელ პერიოდს თურქეთში გავდიოდით. ახლა იტალია ვარჩიეთ, და თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის იგივე თანხა გვიჯდება, დიდი განსხვავება არ არის. ყოველ შემთხვევაში, ღირს ამ ფასად ნორჩაში მომზადება, თანაც ტურნირში მონაწილეობა. იქ წასვლა წამგებიანი ნამდვილად არ არის.

— თურქეთი რატომ იუარეთ?

— მწვრთნელმა იტალია ამჯობინა.

— მეორე უცხოური შეკრებაც ხომ არ გაქვთ დაგეგმილი?

— არა, ველარ ვასწრებთ. დრო აღარ გვრჩება. იტალიიდან რომ ჩამოვალთ, ალბათ ერთ-ორ დღეს დავისვენებთ და მერე საქართველოს თასის მერვედფინალი გველის. დარჩენილ დღეებსაც შინ გავატარებთ.

— ის მართალია, თითქოს, იტალიაში რამდენიმე ფეხბურთელის დატოვებას აპირებდეთ?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. თუ რომელიმე ფეხბურთელით დაინტერესდებიან, რატომაც არა. სარფიანი გარიგების საწინააღმდეგო აბა, რა უნდა გვქონდეს? დარწმუნებული იყავით, „ბათუმი“ ჩალის ფასად არავის დათმობს.

— ასეთი წინადადებით უკვე მოგმართეს?

— არა, ჯერჯერობით ჩვენი ფეხბურთელების გადაბირების მსურველები არ ჩანან. ისე კი თავისი ნებით გუნდი ოთხმა დატოვა.

— კონკრეტულად?

— ალეკო კანტიძემ, ნიგერიელმა უვაკვემ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, გიგა გადელიამ და ზვიად პაპიძემ.

— უცხოეთში ხომ არ აპირებენ წასვლას?

— უვაკვეზე არაფერი ვიცი. დანარჩენები კი, მგონი, ერთ-ერთ დედაქალაქურ კლუბში გააგრძელებენ თამაშს. ჯერჯერობით ზუსტად ვერ გიპასუხებთ.

— ახალწვეულებს ჩამოგვითვლით?

— „არსენალიდან“ მეკარე თემურ ჩლაიძე და ირაკლი თარგამაძე ვარჯიშობენ ჩვენთან, ასევე ტრავმამოშუშებული ლევან ხომერიკი, დავით პეტრიაშვილი და პაატა ბარნოვი, „ლოკომოტივის“ კაპიტანი რომ იყო. მოყვარულთა ნაკრებიდანაც ჩამოვიდნენ ნოზაძე და კაკაბაძე, გუნდთან ერთადაც ვარჯიშობენ. კარნევალეს თქმით, ზაფხულამდე ალბათ აღარავის დავიმატებთ. „ბათუმის“ ყველა რგოლი უკვე დაკომპლექტებულია, პრობლემა არსად გვაქვს, თითოეულ ადგილზე კონკურენციაც საკმაო. ზაფხულში კი, არ არის გამორიცხული, შემადგენლობა გადახალისდეს. ესეც მწვრთნელზეა დამოკიდებული.

— კარნევალემ ადრე, ჩემპიონობაა ჩვენი მიზანიო, გვითხრა. ახლა რას ფიქრობს?

— ჩემპიონობაც და თასის მოპოვებაც. ჩვენ შეგვწევს საამისო ძალა, არც ნამეტანი ჩამოვრჩებით ლიდერებს. ვიბრძოლებთ. თუ გაგვიმართლა, ხომ კარგი, თუ არადა უეფას თასის საგზურს ნაღდად გამოვკრავთ ხელს.

— ახლა ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე ვარჯიშობთ?

— სტადიონზეც და გონიოშიც. მწვრთნელი აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე აკეთებს. ფეხბურთელები გონიოში, ზღვისპირას, სუფთა ჰაერზე დარბიან და ვარჯიშობენ.

— კი მაგრამ, ერთი ბაზის აშენება რა გახდა?

— ყველაფერი იქნება. მარტო „ბათუმისთვის“ კი არა, ასლან აბაშიძეს ნაკრებისთვისაც აქვს ჩაფიქრებული კარგი, თანამედროვე ბაზის აშენება.

ქობა ინასარიძე

ჯერ სახლში, მერე მთაში

სამეორეწრეო სამზადისმა გორსაც უწია. სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდით გორელთა ნაადრევ აჩქარებას. „დილამ“ თავი შემოდგომაზევე დაიარხეინა. პროგრამა-მინიმუმი (გორელთათვის მაქსიმუმი) შესრულებულია. „დილა“ საუკეთესო რვა გუნდში მოხვდა. ესე იგი თავისუფლად შეეძლო უზრუნველ ცხოვრებაზე ეფიქრა, მაგრამ...

გორელები დანარჩენებს არ ჩამორჩნენ და 10 იანვარს ვარჯიშებიც განაახლეს. როგორც კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გურამ ნოზაძემ გვითხრა, „დილა“ ამჟამად ერთჯერადი ვარჯიშით გადის ფორმს, 20 იანვრიდან კი შეკრება და ორჯერადი ვარჯიშებიც დაიწყება.

1-5 თებერვალს გორელები თბილისში, მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში იასპარეზებენ, მერე რამდენიმე ხანს წვრთნას ისევ შინ გააგრძელებენ, მერე კი ჩემპიონატის განახლებამდე კიდევ ერთი შეკრების მოწყობას აპირებენ. მოსამზადებლად აუცილებლად მთაში წავალთო.

„დილას“ ხელმძღვანელები ერთ პრობლემას შეუწუხებია, თურმე სხვა კლუბების წარმომადგენლები ფარულად გორელი მოთამაშეების გადაბირებას ცდილობენ. ისინი აცხადებენ, რომ ასეთი ყაჩაღური გამოხდომებით არავის არაფერი გამოუვა.

გუნდში სიახლეც არაფერია, ჯერჯერობით არავინ წასულა და არც არავინ დაუმატებიათ. ეს, რა თქმა უნდა, ოფიციალური მონაცემებით, თორემ... ისე ერთმა ღმერთმა უწყის, ვის საით მიუწევს გული.

თუ ყოველივეს გასული წლების გამოცდილებასთან შევაჯერებთ, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე „დილა“ საჩუქრების (ქულების) დამრიგებელ კეთილ თოვლის ბაბუად არავისთვის იქცევა.

მამუკა ქვანტალიანი

დიალოგი აქტუალურ თემაზე

დაბრუნდნენ ხომ, ბიძიკო, დაბრუნდებიან აბა რა მოუვიდოდათ, ასე იცის ფეხბურთმა, ერთხელ თუ მოგწამლა, მერე მტრისას, წასულია შენი საქმე... ფეხბურთისკენ, რა თქმა უნდა. ასე მოსვლიათ მაგ ბიჭებსაც. ბიძია — ერთხელ რომ ფეხბურთელის სახელს დაირქმევ და მოგება-წაგების გემოს გაიგებ, მერე სანამ სირბილი და ბურთის გორება შეგეძლება, ტყუილია, ველარ შეეშვები მაგ საქმეს.

მართალი გითხრა, წასულებიც არ ერქვათ მაგ ბიჭებს. ან სად უნდა წასულიყვნენ ფეხბურთის გარდა— სხვა ხელობა მაგათ არ ჰქონდათ და მოწოდება. ფეხბურთელობაა მაგათი საკეთებლის თავი და ბოლო. ეს იყო ხელი შეეშალათ პატარა და ცოტ-ცოტა ხელის შეშლა, ყველა საქმეში მოსულა, ძმიშვილო, არ უნდა ამას ფიცი-მტკიცი.

ის კი, ხელი რომ შეეშალათ და მაინც არ გაიტეხეს გული, მათზე მეტად ფეხბურთის და ბურთის დამსახურებაა. წელანაც გითხარი, მოენატრათ და დაუბრუნდნენ, აბა რას იზამდნენ.

გვარ-სახელიო? კი, ბევრი იტყვის მაგასაც, მაგრამ არც ეგ არის დიდი უბედურება — რაც კარგად იცოდა კაცმა, იმის გახსენება არასდროს არის გვიან და სწავლა სიბერემდეო სულაც ჩვენი ნათქვამი არ არის?! გაიხსენებენ დავიწყებულს მალე და ვინ იცის, ხალხსაც ძველებურზე მეტად დააკვრევინონ ტაში.

ტაში, ბიძიკო, ტაში. ტაშია ფეხბურთელისთვის ყველაზე დიდი ჯილდო, თორემ მაგ ბიჭებს, ვისზეც შენ მესაუბრები, აწყობილი აქვთ ცხოვრება წერეთლის გიტარასავით, ფეხბურთმა იმდენი კი აშოვნინა მათაც და მათნაირებსაც (ზოგს ცოტა და ზოგს მეტი) კაიხანს არ მოშივდებათ თავიანთ ნაგრამიანად.

მერე მარტო გვარ-სახელზეც არის საქმე ხშირად. ბიძიკო, და რატომ იცი? ამათ გვერდით სხვა გვარსახელიანი ფეხბურთელები გაიზრდებიან, ისწავლიან დგომას, დარტყმას, ფეხბურთელობას — ბოლოსდაბოლოს მარტო სირბილში და არაქათში ხომ არ არის საქმე. მარტო მონაყოლით გადარეულიც ბევრი მინახავს მე და ახალგაზრდა ბიჭს რომ შენი თვალით ნახულ და შენს წინააღმდეგ ნათამაშევ გესკოინზე ან შირერზე, მოუყვები, რა დაამაგრებს მერე იმას, არ მოინდომებს თვითონაც შირერის წინააღმდეგ თამაშს? რავა, ჭკუა დაუშლის თუ გონება, თუ თავის ნიჭში ეპარებოდეს იქნება ეჭვი.

გვარსახელი მარტო გვარსახელიც არაა-მეთქი გეუბნები და ნუ იქნევ ურწმუნოდ თავს. იყო დრო სპეციალურად მოყავდათ გუნდებში წარსულში ცნობილი ფეხბურთელები და გუნდის უფროსად ან სხვა ამისთანა რამედ ნიშნავდნენ. ასე იყო ჯეჯელავა, ასე იყო პაიჭაძე, ასე იყო სტაროსტინი და კიდევ ბევრი სხვა.

საქმე რაშია, ძმიშვილო, იცი? ხალხს — ბებერს, ახალგაზრდას, ფეხბურთელს თუ მეხანძრეს მაგალითი სჭირდება, კაი, მისაბაძი მაგალითი. შეხედავს იმ სამაგალითო კაცს და იფიქრებს თავისთვის — მოდი, რახან ასე ცხოვრება ნამჯობინარა, მეც მაგნაირად ვიცხოვრებო და ასე იზრდებიან თაობები. მერე ისეც ხდება, ზოგი მოსწავლე მასწავლებელს სჯობს, ზოგი შვილი — მამას და ხალხს და ქვეყანასაც ეს არ ურჩევნია?

იყონ, ივარჯიშონ გუნდში ბიჭებმა, შვილო. ჯერ ერთი, არც ჩამოსაწერნი არიან და მეორეცაა — თუ გაწყრა ღმერთი და აღრინდელივით კაი ფეხბურთი ვერ ითამაშეს, იმას ხომ მაინც მიახვედრებენ მომდევნო თაობის მოთამაშეებს, რომ კარიერასთან ხუმრობა არ შეიძლება, რომ სანამ მოქმედი ფეხბურთელი ერთი გუნდიდან მეორეში გადავა, თუნდაც უკეთესში, ჭკუას წიხლი უნდა დააჭიროს. მართლა და მართლა, ფულში და გუნდის სახელში ხომ არაა ფეხბურთელის ბედნიერება. მე თუ მკითხავ, „ლაციოში“ სკამზე ჯდომას მთელი დღე და მოსწრება, ხარაგოულის „ჩხერიმელაში“ თამაში სჯობია, თუ ფეხბურთელს ფეხბურთი აქვს გულში ამოჭრილი.

მეთანხმები? დამეთანხმები აბა რა იქნება, მართალს ვლაპარაკობ, სიმართლე ჩემია. კაცს ყოველთვის იქიდან უნდა შეხედო, საიდანაც საქმისთვის უმჯობესი და ჩემებურად რომ შემოვუარე ძველი დინამოელების ისევ გუნდში დაბრუნებას, ხომ შენც მიხვდი, რა ყოფილა და როგორ.

კერპები? რა შუაშია კერპები, ძმიშვილო, კერპები გაცი და გაიძი იყვნენ. კერპებად წესით აღარ უნდა ჩაითვალონ ესენი. კერპი მაშინაა კერპი, როცა მოქმედებს და მის მოქმედებას ძალა აქვს, ახლა ეს ფეხბურთელები კერპები არა და ცოცხალი მაგალითები კი არიან — ზოგი იმის როგორ უნდა გიყვარდეს ფეხბურთი, ზოგიც იმის — როგორ არ უნდა მოიქცეს ფეხბურთელი და ჰე, აირჩიე, ძმა და შვილო.

ახალი წელია ახლა, ბიძიკო, და ახალი სიხარულები მოეტანოს ამ წელს ჩვენთვისაც და ამ ბიჭებისთვისაც. ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო — უთქვამს ჭკვიან კაცს და ისე დაგვიძველდა ეს სიხარულები, ბიძია, ახალი კი არა, ახალზე მეტია.

ასეა საქმე და ეგება ამ ბიჭების კარგად დაბრუნების სიხარულიც გვეგემოს ამ ახალ წელს.

კონსტანტინე გოგიშვილი

[illegible] ფოტო

გიორგი ნემსაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ბრაზილიას საფრანგეთში დაუხვდება

ბურაგ დოლოვნაგვილის ფოტო

ერთ დროს ჩვენი ახალგაზრდები იტალიელთა ძლევით ხარობდნენ

თუ ხუთიდან ათ აპრილამდე საფრანგეთის პატარა ქალაქ სენტ ჟან დე ლუზში მოხვდებით, თავს ნამდვილად ბედნიერად იგრძნობთ, მით უფრო, თუ ქართული ფეხბურთის თაყვანისმცემელი ხართ.

ხუმრობა ხომ არ არის, ჩვენი ძირძველი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნის გუნდი, ბრაზილიის ნაკრებს გაეჯიბრება. მერე რა, რომ ეს მატჩი ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის შედგება. მაინც მაღალფარდოვნად ჟღერს: საქართველო — ბრაზილია

სწორედ ასეა, ზემოთნახსენებ გაზაფხულის დღეებში სენტ ჟან დე ლუზში (ეს ქალაქი ლე ავრის მახლობლად მდებარეობს) ტრადიციული ტურნირი გაიმართება. მასში მსოფლიოს შვიდი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მასპინძლები „ლე ავრიც“ მიიღებს მონაწილეობას.

ჩვენდა საბედნიეროდ, ტურნირში მონაწილეთა შორის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვისაც გამოინახა ადგილი. მადლიერმა ფრანგებმა გუშინ სფფ-ში ფაქსიც აფრინეს, სადაც კენჭისყრის შედეგად ქვეჯგუფში დაწყვილებული გუნდების შესახებაც გვაცნობეს.

მაშ ასე: A ჯგუფი: ხორვატია, ჩინეთი, ნიგერია, მავრიტანია. B ჯგუფი: ბრაზილია, საქართველო, ალჟირი, „ლე ავრი“.

ასე რომ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბრაზილიელთა გარდა ალჟირელ თანატოლებს და ფრანგულ „ლე ავრსაც“ შეერკინება, რაც მურთაზ ხურცილავას ბიჭებს სასიკეთოდ წაადგებათ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლად.

სამწუხაროდ, ზუსტად როდის და ვისთან გამართავს ჩვენი ნაკრები შეხვედრებს, ჯერჯერობით უცნობია. ამას ტურნირის ორგანიზატორები მოგვიანებით გვაცნობებენ.

ბუნებრივია, კომენტარი მურთაზ ხურცილავასაც ვთხოვეთ: „ერთობ მოხარული ვარ ფრანგების წინადადებით. ტურნირზე, რა თქმა უნდა, მაღალი შედეგებისთვის ვიბრძოლებთ, თუმც, გამოგიტყდებით, ძირითადად ამ ეტაპზე 80-81 — წლიანების იმედად ვიქნებით, რადგან წინ უფრო მნიშვნელოვანი თამაშები გველის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სახით. ისე კი ეს ტურნირი უდავოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს სრულფასოვანი მომზადების თვალსაზრისით“.

ასე რომ, ახალგაზრდული ნაკრები უფროსებზე სოლიდურად იწყებს მოსამზადებელ ციკლს. ბრაზილია მაინც ბრაზილიაა.

პაატა კვანტალიანი

აბრამიძეს უკვე ენდობიან

კვიპროსში მოსკოვის „ტორპედოს“ რიგებში მყოფმა „თბილისის“ ცენტრალურმა მცველმა ვალერი აბრამიძემ რიგით მესამე საკონტროლო მატჩი გამართა. მოგეხსენებათ, პირველ ორ შეხვედრაში ჩვენებურს მხოლოდ საწყის 45 წუთს ათამაშებდნენ და შესვენების შემდეგ მაყურებლის როლში ამყოფებდნენ. ამჯერად მწვრთნელმა ვიტალი შევჩენკომ აბრამიძის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა და მესამე მატჩში მთელი 90 წუთი გაატარებინა მოედანზე.

აბრამიძის „ტორპედოს“ მეტოქე კვლავ სარატოვის „სოკოლი“ გახლდათ. შეხვედრა წინას მსგავსად სარატოველთა გამარჯვებით დასრულდა. გოლი მუხამადიევმა ჩაწერა ანგარიშზე. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ თამაშში „სოკოლის“ სამი ქართველი წევრიდან (ძმები ჯელაძეები და მიხეილ ჯიშკარიანი) არც ერთს მიუღია მონაწილეობა. თუმცა ამჟამად ჩვენთვის აბრამიძის მომავალი უფრო საინტერესოა და კარგია, რომ 19 წლის მცველს „ტორპედოს“ მესვეურები უფრო და უფრო მეტ ნდობას უცხადებენ.

ხვიჩა სანიკიძე

საშუასეზონო მიდი-მოდი

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი(სიონი),ჩხაბერიძე(თავისუფალიაგენტი),კ.ჯანაშია(თავისუფალიაგენტი),ვ.მისურაძე(თბილისი)		
დინამო *თეიმურ კორდიალიძე*	აშვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ზირაქაშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),თ.კობიაშვილი(?)	გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე,რუხაძე,მიქაძე,ა.ჩიხრაძე,(თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი), ლობჟანიძე(უგუნდოდ)	ვიტ ჯორჯია 3:2
კოლხეთი *გია ტყემალაძე*	ჭოხონელიძე(?)	მ.ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი)	
ბათუმი *ჯანი კარნეგელე*	პაპიძე(თბილისი)	ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი)	
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*		ი.ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(სამგურალი)	ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე(დინამო)	მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი)	
დილა *მერაბ კოჭლაშვილი*			
იბერია *სოსო ფერუაძე*			

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (?), დ. ჯანელიძე (?), დოლაბერიძე (?)	ლომაია(დინამო),კვარაცხელია(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ჯუღელი(?)	
გორდა *ალიონ ალიჯანიშვილი*			
თსუ *ოთარ კაკია*			
მერანი *უმწვრთნელოდ*			
თბილისი *რამაზ შუქლაძე*	ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი(ლოკომოტივი),აბრამიძე(ტორპედო,მოსკოვი,რუსეთი),ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე, ა.ჩიხრაძე(?),ვ.გაგუა(სკონტო,ლატვია)	გონჩაროვი(არსენალი),ვ.მისურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი)	
სამგურალი *ალიონ ბზიაძე*	ი.ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(ვიტ ჯორჯია)		
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*			
არსენალი *მაშუკა გიგიჭორი*	ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (თბილისი), ლაცაბიძე (სპარტაკი, ვარნა, ბულგარეთი), დაუშვილი(სიონი)		

შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი დღე დინამოს ცხოვრებიდან

თაობები იცვლებიან, დილმის საწვრთნელი ბაზა კი ისევ ძველებურია. ის ერთნაირად ემსახურება „დინამოსაც“ და საქართველოს ნაკრებ გუნდებსაც

ესეც წელი 2000. წელი დადგომამდე გამოუცნობი — ძველი საუკუნის ბოლო თუ ახალი საუკუნის დასაწყისი. ოფიციალურად და სწორად, მეორე ათასწლეულის დამაგვირგვინებელი წელიწადი „ევროპისა და ევროპუმეთათვის (იხილე „რუსეთუმე“ კ.გ.) მესამე ათასწლეულის საწყისი. მოკლედ, ბუნდოვანი წელი.

ამ ბუნდოვან წელიწადს ყველა თავისებურად შეხვდა. თბილისის „დინამოც“, რა თქმა უნდა. ისე, კუდი კი მოიქნია ჩემპიონებისთვის იმ ძველმა, 1999-მა — დილმის ბაზაზე ტექნიკური ავარია მოხდა და დინამოელებმა კათოლიკეთა შობის დღეებში ვერ ივარჯიშეს.

თუმც ეს არაფერი — დადგა ეს ბუნდოვანი (ბოლო თუ პირველი) წელიწადი და „დინამოც“ ვარჯიშს შეუდგა.

ჰოდა, ერთ-ერთი რიგითი, სავარჯიშო დღე „დინამოს“ ცხოვრებაში — რიცხვი 12. თვე იანვარი, წელი — ქრისტეს აქეთ 2000.

ბაზაზე ხმაურია, ოღონდ საქმიანი ხმაური. ბიჭები ფრთიანდებიან. საქართველოს თოთხმეტწლამდელთა ნაკრები (ხომ ჟღერს!) „ირაოს“ თანატოლებს ეჯიბრება და არის ჯახი მამლაყინწური. ქართული ფეხბურთის მომავალი აგორებს ბურთს.

„დინამოში“ კი „მკვდარი საათია“ (ტერმინს რა ვუთხარი). შენობაში ბაზის მომსახურე პერსონალი შედიგამოდის და ისინიღა არღვევენ მყუდროებას. ყველას თავისი საქმე აქვს: თავისი პრობლემა — მნე პიჟამებს და ფორმას დაჰკანკალებს, აქ ბურთებში ჰაერია ჩასამატებელი, იქ სავარჯიშო ეკიპირებაა გასარეცხი, ყველაფერი მზად და წესრიგში უნდა იყოს. ვინ იცის, როდის რას მოითხოვს მწვრთნელი.

„ნუ მოსწევთ“ — გაფრთხილებთ წარწერა შენობის ვესტიბიულში. ამიტომ თუა, სიგარეტის სუნს ისევე ვერ იგრძნობთ, როგორც მისსავე კვამლს ან ნამწვავს ვერსად დალანდავთ, მაგრამ... აი, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი კლაუს აუგენტალერი ეწეოდა... დანიელი სუპერდინამიტი პრებენ ელკიაერ ლარსენიც თამბაქოს ტრფიალი გახლდათ. ერთი ქართული რძალ-დედამთილიანისა არ იყოს, პირში სიგარეტი და გოლი, გოლი სულ.

მოკლედ, სიგარეტში არ არის საქმე. საქმე წესრიგშია და დისციპლინაში.

ჰო, წესრიგ-განრიგს რაც შეეხება — კედლის საინფორმაციო დაფაზე კენტი ფურცელია გაკრული. სიტყვასიტყვით მოვიყვანთ მის ასლს: 12 იანვარი. 10.30 შეკრება ბაზაზე. 11.00 ვარჯიში. 12.00 სადილი. 16.00 ვარჯიში. მთავარი მწვრთნელი — ოთარ კორღალიძე.

შეკრება ბაზაზე

ცივი დილაა თბილისში. თოვლიანი, ცრიატი. მოთოვა (ათასწლეულის პირველი თოვლი — ა, რომანტიკა). ბაზის ბარაჯი საკმაოზე მეტად შეფუთულა — გაალე, დაკეტე, შედი, გამოდი. ყველა თავისას მოითხოვს, მომსვლელ—წამსვლელსაც ხომ უნდა პასუხი და გასტუმრება. გარეთ კი ცივა. ბიჭი ხარ და ნუ შეიფუთნები.

ბაზა უცხოური მანქანებით ივსება. ახლა რუსულიც უცხოურია (აპრუწუწუნ რუსეთუმეებს). ვიღაცა დანანებით იქნევს თავს — აფსუს, ძველებს მანქანა კი არა და... ვიღაცა უგენიალურესი, სუპეროპტიმისტი ფრაზით ამშვიდებს — ახლა სხვა დროა, შე კაცო.

და კონტრასტი — ბაზაზე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი შემოდის... „ზაპოროჟეცით“. ის „გენიოსი“ და „სუპეროპტიმისტი“ თვალს არიდებს გამარჯვებისღიმილიან „მეაფსუსეს“.

ავტოები კი მოდიან და მოდიან. ფეხბურთელებიც. ხითხითი, ხარხარი, ხორხოცი. ფეხბურთელები ხალისიანი ხალხია. ან მოსაწყენი რა აქვთ — რიგითი სავარჯიშო დღეა, რიგითი შეკრება და „დინამოც“ მეგობრული გუნდია.

გუნდი. ეს არ არის მორიგი „ნორჩი დინამოელი“. აქ ერთი შეხედვით ზუსტად ისეა, როგორც ნამდვილ გუნდში უნდა იყოს: ბევრი ახალგაზრდა, ცოტა ვეტერანი და გუნდის ბირთვი — რამდენიმე ვარსკვლავური იმიჯის მქონე ფეხბურთელი.

მაგრამ ხორხოცისთვის არავის სცხელა. ვარჯიში იწყება. დილის ვარჯიში.

დილის ვარჯიში

არც ისე დატვირთულია. არცთუ ინტენსიური — სირბილი, გაჭიმვითი მოძრაობები, ძირითადად უბურთო, მაგრამ მაინც საფეხბურთო რამერუმეები. მინდორზე (ხელოვნურ საფარზე) ხალისიანი განწყობილებაა. იმუშავეს ბიჭებმა. თავს არავინ ზოგავს. ან რას ჰქვია დაზოგავს — „დინამოა“, ძმაო...

საათზე ცოტა მეტი ივარჯიშეს. ახლა შხაპი, მოწესრიგება და სადილი.

სადილი

გუნდის ექიმი, გარდა იმისა, რომ ფეხბურთელებს წამლობს (დღესაც მიაკითხა ერთი-ორმა), მენიუსაც ადგენს. ლაზათიან, ყუათიან, გათვლილ მენიუს, აბა, რა გგონიათ — „დინამოა“, ძმაო.

კერძები კი ქართულია, ჩვეული და გემრიელი: პირველი, მეორე, ბურღულეული, საუზმეული, დესერტი.

პირ... ჩვეულებრივ ბოსტნეულის კერძია — ბორშჩი, შჩი, სუპი (გალინა ბლანკა — პულ, პულ). მართალია, არც ერთი ხსენებული ქართული „პიშჩა“ („პიშჩაა“, მაშ რა) არ არის, მაგრამ არ გვიყვარს ქართველებს ეს კომბოსტო-სტაფილო და რა ვქნათ (ეტყობა, არც ჩვენს წინაპრებს ჰყვარებიათ — კომბოსტო კურდღელმა ჭამოს). ფეხბურთელებსაც, თავს დავდებ, არ ეყვარებათ „პიშჩები“, მაგრამ საჭიროა და ჭამენ. ფეხბურთისთვის, ფეხბურთელებისთვისაა საჭირო.

მეორე — ა, კერძი და პირის გემო. ხარჩო და სხვა ამისთანები. ხორციანი და ჯიგრიანი. ერთი ქართული კინოფილმისა არ იყოს, ხინკალში კალორიაცაა, ტანინიც, ენერგიაც და თან იმდენი, ერთი ცისტერნა ჩაი დალიე, თუ გინდა, ხინკალთან რა მოსატანია.

ბურღულეული — ძირითადად საგარნირე წიწიბურა. გარნირად კარტოფილის პიურესაც სთავაზობენ დინამოელებს. კაცია და ხასიათი. ისე, სპაგეტიც აქვთ მენიუში. ერთი სიტყვით, აირჩიე და ისიამოვნე.

საუზმეული — იგივე სალათები. „ვინეგრეტი“ (თუ „ოლივიე“), „შუბა“, მოკლედ, სალათას რა დალევს. აქაც ფართო არჩევანი ჰქონიათ დინამოელებს: ქართული, ფრანგული, რუსული.

დესერტი — ხილი, რძის ნაწარმიც დესერტულია ჩვენში და რძის ნაწარმიც აქ შევიტანოთ, ხილის წვენები (ნატურალური!)...

ორმოც წუთამდე გრძელდება სადილი. კარგია „დინამოში“. აჭმევენ. თანაც ისე, „პრეზიდენტის სამომხმარებლო კალათას“ ძირი გავარდებოდა. მაგრამ დინამოელი რომ გახდე და გაჭამონ, ფეხბურთს უნდა თამაშობდე გვარიანად. ბურთს თუ ვერ თამაშობ, ისევ პრეზიდენტობაზე ფიქრი სჯობს.

მერე...

ხითხითი. ხარხარი. ხორხოცი, სიხალისე. ის, რაც ჯანისთვისაც მარგებელი ყოფილა და მონელებასაც ხელს უწყობს თურმე (ექიმებმა თქვეს). ნელ-ნელა იშლებიან. ზოგი შინ მიდის (მეორე ვარჯიშამდე დიდი დროა), ზოგიც ნომერში ადის და...

მაძღარი კაცის ამბავი არ იცით?

ერთს რა სჭირდება, მეორეს რა. დილმის ბაზის პარსონალი საქმეშ ჩაითრია. სად არის სანტექნიკოსი? — ეს პრობლემა ყველაზე აქტუალურია. მესამეში“ წყალი არ მოდის, „მესამეში“ „დინამოს“ ახალწვეული მეკარე, ალექსანდრე ჩიხრაძეა დაბანაკებული. საინტერესო ვინმეა. შეხედავ, ქართველია, „წვეთი სისხლიც არ არის მასში არაქართული“, მაგრამ ქართულად ვერ ლაპარაკობს. რუსეთში გაიზარდა. და აგვარებენ. ყველა პრობლემას მოევლება — „დინამოა“, ძმაო და მალე სიწყნარე. „მკვდარი საათი“.

მეორე ვარჯიში

ნახევარი საათით ადრე იგივე სურათი. ვესტიბიული სავსეა დინამოელებით. ემატება და ემატება დღეს სულ 22 ფეხბურთელია ბაზაზე. სანამ გარეთ გავლენ, დგანან და ყვებიან — ბატისტუტაზე, სამორანოზე, მიატოვიჩზე.

ყველაზე დიდ პატივში კი, რა თქმა უნდა, დიეგოა — დიეგო... არმანდო, მარადონა.

„დიეგო. სამ საუკეთესო ფეხბურთელში ვერ მოხვდა“ — იტყვიან ბიჭები საუკუნის გამოკითხვაზე (მსოფლიო ფეხბურთში, არაოფიციალურად) და ამ სიტყვებში ყველაფერია — ირონიაც, პროტესტიც, აღტაცებაც (დიეგოთი, რა თქმა უნდა).

ამ დროს ვესტიბიულში შემოდის მნე (ადმინისტრატორი) და დინამოელები „კაპას“ ფირმის ახალ ბურთებს ათვალიერებენ. სულ ახალმიღებული აქვთ. იტალიური ფირმის ალკაზმულობაც — მარტო სავარჯიშო ფორმის ღირებულება 170 დოლარია. მაგარი ბურთებია — ასკვნიან შემოწმების შემდეგ ფეხბურთელები და...

მერე კი ვარჯიში — ჩვეული, ათასმეერთე. სირბილი, ბურთით, უბურთოდ, გაჭიმვები, ართმევაზე. ბოლოს კი ტექნიკა, ტაქტიკა და ფეხბურთი — „დირ-დირი“ თუ ორკარა.

საათნახევრის შემდეგ კი... მინდორი (ხელოვნური საფარი) ცარიელია. ზოგი მიდის, ზოგი რჩება. „დინამოს“ ისტორიამ მორიგი დღე მიითვალა.

რიცხვი 12. თვე იანვარი. წელი — ქრისტეს აქეთ 2000.

კონსტანტინე გოგიშვილი



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ტოტენჰემი 1:0. ჯორჯ ვეას გოლი ამ მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა

ინგლისი

გადადებული მატჩი

ჩელსი 1:0 ტოტენჰემი

1:0 ვეა (86)

ჩელსი: დე გუი, პეტრუსკუ, ლებეფი, ტომე, ტერი, პარლი, ლამბური, უაიზი, დი მატეო, პოიეტი (სატონი 57), ფლო (ვეა 57)

ტოტენჰემი: უოლკერი, კარი, ს. კეშბელი, პერი, ედინბორო, ანდერტონი, კლემენსი, შერვუდი, ჟინოლა, კ. არმსტრონგი, ივერსენი

გაფრთხილება: უაიზი, არმსტრონგი, შერვუდი, ივერსენი

მსაჯი: ბერი

„ჩელსის“ თავკაცმა, ჯანლუკა ვიალიმ „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში თავისი ახალი შენაძენის, ლიბერიელი ჟორჟ ვეას გადამწყვეტი და მატჩის ერთადერთი გოლი რომ იხილა, განაცხადა: „მას ჩვენი სეზონის შემობრუნება შეუძლია“.

ვეა, რომელმაც „მილანიდან“ „ჩელსიში“ შეხვედრის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე ჩააღწია, პირდაპირ „სტემფორდ ბრიჯზე“ გააქანეს და შეხვედრის 57-ე წუთზე ტორე ანდრე ფლოს ნაცვლად მოედანზეც შეუშვეს. რისკი დიდი იყო, მაგრამ გაამართლა — ვეა საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე დენის უაიზის პასს მაღალი ნახტომით და თავური გოლით გამოეხმაურა.

პრესკონფერენციაზე ვიალიმ თქვა: „ბედნიერი ვარ. მას სურს დაამტკიცოს, რომ კვლავაც მსოფლიოს ერთერთი საუკეთესო ფორვარდია და „მილანში“ მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა დიდი შეცდომა იყო. ვეას ფუნქცია მხოლოდ გოლების გატანა არ გახლავთ, მაგრამ როდესაც ბურთი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანშია, იგიც იქაა და მის კარში შესაგდებად იბრძვის. დღეს მან დიდებული საქმე გააკეთა, თუმცა გავა კიდევ რამდენიმე კვირა და ყველანი ვნახავთ. ამ თავდამსხმელს სრული სიმძლავრით ამოქმედებულს. „ჩელსიმ“ ბევრი შეხვედრა ფრედ დაასრულა, მაგრამ თუ ამერიდან ვეაც თავისებურად შეგვეშველება, ჩვენ ასეთ შეხვედრებს მოგებებად გარდავქმნით. ლიბერიელი ჩვენთან სეზონის ბოლომდეა, მერე კი ვნახავთ რა მოხდება, თუმცა ახლავე ვგრძნობ, რომ „მილანს“ მისი დაბრუნება მოესურვება“.

შემდეგ სიტყვა თავად ვეას ერგო: „მწვრთნელმა არჩევანის უფლება მომცა. დღევანდელ შეხვედრაში თამაში თუ მატჩის ტრიბუნიდან ცქერა ჩემი გადასაწყვეტი გახლდათ. მე თამაში ვარჩიე და ბედნიერი ვარ, რომ იმედი გავამართლე. „ჩელსი“ ძალიან კარგი გუნდი ჩანს და თუ მეც დავეხმარები, თავს ამაყ კაცად ვიგრძნობ“.

თამაშის შესახებ თავისი აზრი თქვა „ტოტენჰემის“ თავკაცმა ჯორჯ გრემმაც, რომლის გუნდსაც ბოლო ოთხ შეხვედრაში მარცხი არ ჰქონდა ნაწვნევი, თუმცა „ჩელსისთვის“ 1990 წლის მერე არ მოეგო. ამ პრინციპს „ტოტენჰემმა“ ამჯერადაც უერთგულა.

„სტუმრად ასე კარგად იშვიათად გვითამაშია. პირველ ტაიმში უპირატესობა აშკარად ჩვენს მხარეს იყო და მომენტებსაც ვქმნიდით. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს დღეს „ჩელსი“ უნდა დამარცხებულიყო, მაგრამ მოწინააღმდეგეს გაუმართლა — ცუდად ითამაშა და მოიგო. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამდენი ხელსაყრელი შესაძლებლობის მქონე გუნდს ერთის გამოყენება მაინც მართებს. ასეთ შეხვედრას ქულის გარეშე რომ დატოვებ, გული დაგწყდება“.

„ტოტენჰემი“ თავად თავდამსხმელის ძიებაშია და ამიტომაც „ჩელსიში“ ვეას გამოჩენის თაობაზე გრემს საგანგებოდ დაუსვეს კითხვები. მან უპასუხა, რომ როდესაც ვეას და „ჩელსის“ ამბავი შეიტყო, რეაქცია არ ჰქონია, მერე კი დასძინა:

„ძალიან კარგია „ჩელსიმ“ ვეა რომ იყიდა, მაგრამ ვგონებ, ამის შესახებ სხვა მწვრთნელისთვის უნდა გეკითხათ“.

გრემი მსაჯობითაც უკმაყოფილო დარჩა: „სამწუხაროა, მაგრამ, მსაჯთა შეცდომებს დასასრული არ უჩანს“.

ლიდსი	21	14	2	5	35:24	44
მანჩესტერი	19	13	4	2	50:25	43
არსენალი	21	12	4	5	37:21	40
სანდერლენდი	21	11	5	5	35:25	38
ლივერპული	21	11	4	6	31:18	37
ჩელსი	21	10	5	6	30:21	35
ტოტენჰემი	21	10	4	7	32:24	34
ლესტერი	21	9	3	9	30:30	30
ევერტონი	21	7	8	6	35:30	29
ასტონ ვილა	21	8	5	8	21:22	29
ვესტ ჰემი	20	7	7	6	24:23	28
მიდლსბრო	19	8	3	8	23:26	27
ქოვენთრი	20	6	7	7	28:24	25
უიმბლდონი	21	5	10	6	32:35	25
ნიუკასლი	21	6	6	9	34:37	24
საუთჰემპტონი	20	5	5	10	24:32	20
დერბი ქაუნთი	21	5	4	12	19:32	19
ბრედფორდი	21	4	6	11	16:31	18
უოტფორდი	21	4	2	15	17:44	14
უენსდი	20	2	4	14	17:46	10

ლიგის თასის მეოთხედფინალი

ლესტერი 3:3 დ.დ. (2:2) (პენ. 3:0) ფულჰემი

0:1 პეშისოლიდო (57), 0:2 ჰორსფილდი (75), 1:2 მარშალი (85), 2:2 უოლში (87), 2:3 კოულმენი (92), 3:3 მარშალი (111)

ნახევარფინალში „ლესტერი“ შეხვდება ბირმინგემის „ასტონ ვილას“

ნახევარფინალი. I წრე

ბოლტონი 0:1 ტრანმერი

0:1 ჰილი (23)

საპასუხო მატჩი გაიმართება 26 იანვარს

საფრანგეთი

XXI ტური

ლანსი 0:1 ნანსი

0:1 ბოტელინი (43)

სენტ ეტიენი 2:3 სედანი

0:1 ფრიგარდი (20), 0:2 დებლოკი (45), 0:3 კუინტი (72), 1:3 პედრონი (73), 2:3 საბლე (78)

რენი 2:1 სტრასბური

1:0 ლე რუ (45), 2:0 ბარდონი (63), 2:1 ეშუაფნი (84)

ტრუა 1:4 მონაკო

0:1 სიმონე (5), 0:2 გალიარდო (9), 0:3 ჟული (11), 0:4 გალიარდო (71), 1:4 საიფი (80)

მონპელიე 3:0 ნანტი

1:0 დელიე (24), 2:0 მაუჟე (52), 3:0 გარნი (87)

ბასტია 0:0 მარსელი

ლე ავრი 0:0 ოსერი

ზედა რვა გუნდში მყოფთაგან „მონაკოს“ გარდა ერთადერთმა „სედანმა“ მოიგო. მისი სენტ ეტიენში 3:2 გამარჯვება ერთობ სენსაციური გახლდათ. ამ წარმატების წყალობით სედანელებმა მეხუთე პოზიციაზე დაიმკვიდრეს ადგილი.

მოკლედ, „მონაკო“ ყველაზე შთამბეჭდავი გუნდია. მან 21 მატჩიდან 14 მოიგო და გაიტანა იმდენი გოლი, რამდენი ქულაც აქვს — 45. ეს მაჩვენებელი იმაზე მიგვითითებს, რომ მონაკოელებს საშუალოდ თამაშში ორი გოლი გააქვთ.

საუცხო ფორმაშია იტალიელი თავდამსხმელი მარკო სიმონე. „პარი სენ ჟერმენში“ გატარებული უსახური ბოლო პერიოდის შემდეგ, იგი ძველებურად ათამაშდა და „ტრუასთან“ თამაშის დასაწყისშივე სპრი ლამუშის წამოწყებული კომბინაცია 20 მეტრიდან ძლიერი დარტყმით დაგვირგვინა. მოწინააღმდეგე ხეირიანად გონს ვერ მოეგო, რომ იმავე სიმონემ არგენტინელ მარსელო გალიარდოს გაუწია ასისტენტობა.

გამოხდა კიდევ ცოტა ხანი და „ტრუას“ მეკარეს დამცველებისთვის საყვედურის თქმა მოუხდა: დავიდ ტრეზეგემ ლუდოვიკ ჟიულის გადააწოდა პასი, რომელიც შორეულ მაღალ კუთხეში მორიგი გოლის გატანით დასრულდა.

მეოთხე გოლი ისევ გალიარდომ შეაგდო. ასისტენტობა ამჯერადაც ტრეზეგემ გასწია, ხოლო საბრალო „ტრუას“ ერთადერთი და არაფრისმთქმელი პასუხის შესაძლებლობა თამაშის იმწურულსღა მიეცა — თავი რაფაჰ საიფემ გამოიჩინა.

მონაკო	21	14	3	4	45:18	45
ლიონი	21	11	5	5	27:20	38
პსჟ	21	11	4	6	32:24	37
ოსერი	21	10	5	6	26:23	35
სედანი	20	9	4	7	30:30	31
ბორდო	21	8	6	7	32:31	30
სენტ ეტიენი	21	8	5	8	32:31	29
რენი	21	8	5	8	28:27	29
მარსელი	21	6	9	6	27:25	27
ბასტია	21	6	9	6	25:23	27
მეცი	21	5	11	5	24:22	26
ნანსი	21	7	5	9	27:28	26
ტრუა	20	8	2	10	23:32	26
ნანტი	21	7	3	11	22:27	24
სტრასბური	20	6	5	9	20:29	23
ლანსი	21	6	5	10	18:27	23
ლე ავრი	20	5	5	10	19:31	20
მონპელიე	21	4	5	12	23:32	17

იტალია

თასის მეოთხედფინალი. I წრე

მილანი 2:3 ინტერი

0:1 ვიერი (29), 1:1 შევჩენკო (44), 1:2 მუტუ (54), 2:2 შევჩენკო (56), 2:3 ზენედორფი (68)

მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა (აიალა 46), მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი (ამბროზინი 81), დე აშენტისი, გულიელმინპიეტრო, ხოსე მარი, ბირჰოფი (ბობანი 58), შევჩენკო

ინტერი: პერუცი, სიმიჩი, ბლანი, კორდობა, მორიერო (მუტუ 46), გეორგატოსი, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ზენედორფი, ვიერი (ფრეზი 66), რეკობა (კოლონეზე 90)

გაფრთხილება: კოსტაკურტა, გეორგატოსი, მუტუ, დი ბიაჯო, დე აშენტისი

მსაჯი: ფარინა

რომა 0:1 კალიარი

0:1 ოლივეირა (23)

ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი (30, მეკარე)

რომა: ანტონიოლი, ლანძარო, ალდაირი, კანდელა, კაფუ, კ. ძანეტი, დი ფრანჩესკო, გურენკო (ბარტელტი 55), ალენიჩევი (ბლასი 67), ტოტი, მონტელა

კალიარი: სკარპი, სულჩისი, ძებინა, ვილა, მაჩელარი, ბერეტა, აბეიონი (კარუზი 46), მოდესტო, ონილი, მაიელე (სუაზო 52), ოლივეირა (მელისი 73)

გაფრთხილება: ბერეტა, მაჩელარი, ლანძარო, ვილა, მონტელა

მსაჯი: პრესკერნი

კლარენს ზეედორფის ჩინებულად შესრულებულმა საჯარიმო დარტყმამ მილანურ სათასო დერბიში „ინტერის“ წარმატება მოიტანა, ხოლო ფაბიო კაპელოს „რომამ“ ყოვლად მოულოდნელად წააგო „კალიარისთან“ 0:1, მაგრამ, ვინაიდან ეს მეოთხედფინალური ეტაპის მხოლოდ და მხოლოდ პირველი მატჩები გახლდათ, რაიმე დასკვნების გაკეთება ჯერ ცხადია, ნაადრევია.

დერბიში თავიდან „ინტერი“ დაწინაურდა — ალვარო რეკობამ გრძელი პასი გადააწოდა კრისტიან ვიერის, ხოლო იტალიის ნაკრების ფორვარდმა მარცხენა ფეხით, ღონიერი დარტყმით ბურთი „მილანის“ მეკარის, სებასტიანო როსის კარში შეაგდო.

„ინტერის“ უპირატესობა ტაიმის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე „შავწითელთა“ უკრაინელმა ლეგიონერმა ანდრეი შევჩენკომ გაანეიტრალა. მან დენიელ ბირჰოფის თავით დაგდებულ ბურთს „შავ-ლურჯთა“ კარში მიუჩინა ადგილი.

შესვენებაზე „ინტერმა“ რუმინელი ყმაწვილი ადრიან მუტუ ჩართო სალაქმეში და გაუმართლა — მატჩის განახლებიდან ცხრა წუთის შემდეგ დებიუტანტმა ზეედორფის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავურით კარის ხაზი გადააკვეთინა, ხოლო ორი წუთის შემდეგ „სან სიროზე“ შეკრებილმა მაყურებელმა ანგარიშის კიდევ ერთი გათანაბრება იხილა: ალბერტინიმ შევჩენკოს გადააწოდა, შევჩენკომ კი გოლი შეაგდო. ამის შემდეგ ორივე მხარე გამარჯვების გოლის გატანისთვის იბრძოდა, მაგრამ მიზანს „ინტერმა“ მიაღწია, როდესაც ზეედორფის აუღებელმა დარტყმამ როსის შანსიც არ დაუტოვა.

იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე, „კალიარის“ თავდამსხმელმა, გაბელგიელებულმა ბრაზილიელმა ლუის ოლივეირამ რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ გამართული თამაშის 23-ე წუთზე დანიელე ბერეტას ჩაკიდებულ ბურთს თავური დაჰკრა და მასპინძელთა კარის მაღალ კუთხეში შეაგდო.

მეორე ტაიმში „რომამ“ ყოველმხრივი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო.

REUTERS მილანიდან

მილანი — ინტერი 2:3. კლარენს ზეედორფს ულამაზესი გოლი გააქვს „მილანის“ კარში

ჩელსის ლიგერიელი აკლდა

„ჩელსის“ სახელგანთქმულმა ახალწვეულმა, ლიბერიელმა ფორვარდმა, ჟორჟ ვეამ „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება ბოლო წამს მიიღო. მსოფლიოსა და ევროპის 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ბედად — იგი ლონდონელებს „მილანმა“ სეზონის ბოლომდე ათხოვა — იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ მისი ტრანსფერის თაობაზე ოფიციალური დოკუმენტი ინგლისს ოთხშაბათს, 15 საათსა და 30 წუთზე აფრინა — ვეას განაცხადში შეყვანის უფლება „ჩელსის“ 17 საათამდე ჰქონდა. ამრიგად თვითმფრინავიდან სულ ოთხი საათის ჩასულ 33 წლის თავდამსხმელს პრემიერლიგის შეხვედრაში, ლონდონურ დერბიში მოუწია თამაშმა. საგულისხმო გახლდათ ისიც, რომ ამ მატჩში აწ უკვე ჩელსელ ვეას მისი „პარი სენ ჟერმენის“ დროინდელი მეწყვილე, ბრწყინვალე ფრანგი ფორვარდი, ტოტენჰემელი დავიდ ჟინოლა დაუპირისპირდა.

აღსანიშნავია, რომ „სპურზი“ თავად თავდამსხმელის ძიებაშია. ამასთან დაკავშირებით მისმა მწვრთნელმა, ჯორჯ გრემმა განაცხადა:

„ვეას „ჩელსიში“ გადასვლა არ გამკვირვებია, ვინაიდან ამ გუნდის მწვრთნელს, ჯანლუკა ვიალის იტალიასთან ბუნებრივად აქვს საგანგებო კავშირი. ვგონებ, ახლა მათთვის მთავარია, რამდენად სწრაფად შეეწყობა ახალი ფეხბურთელი. რაც შეგვეხება ჩვენ, რაღაც-რაღაცეების მშენებლობას ვაპირებთ და აქედან გამომდინარე, ალბათ, ახალგაზრდა მოთამაშეებზე დაკვირვება გვიჯობს“.

რა ელის ჟორჟ ვეას „ჩელსიში“? მოსალოდნელია, რომ იგი თავდასხმაში ნორვეგიელი ტორე ანდრე ფლოს პარტნიორი გახდება და შეასრულებს იმ როლს, თავდაპირველი ჩანაფიქრით გასულ ზაფხულს 10 მილიონ გირვანქად ნაყიდ კრის სატონს რომ უნდა რგებოდა. სატონი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. ბოლოს იგი მოედანზე „ბრედფორდ სიტისთან“ (1:1) შეუშვეს და რამდენიმე ჩინებული შესაძლებლობა გაატანა ქარს.

ვეა „ჩელსის“ ინტერნაციონალურ შემადგენლობას შემატებული ახალი ეროვნების ფეხბურთელი გახლავთ. ლონდონის ამ გუნდში უკვე თამაშობდნენ იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ნიგერიის, ესპანეთის, ურუგვაის, ნორვეგიის, ფინეთის, რუმინეთის, ბრაზილიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები, ლიბერიელი კი არ ყოფილა.

მაშ ასე. ვეა 30 ივნისამდე ლონდონშია, სადაც ყოფილ მილანელ თანაგუნდელ, მარსელ დესაისთან ერთად ითამაშებს.

„ლონდონში გამგზავრება ოჯახის წევრებთან თათბირის შემდეგ გადავწყვიტე“ — უთხრა ფეხბურთელმა გამგზავრების წინ იტალიელ ჟურნალისტებს — „მილანთან ბევრი ბედნიერი წუთი მაკავშირებს და მინდა გულშემატკივრებს ვუთხრა, რომ აქედან ჩემი ინიციატივით არ მივდივარ. ბოლო დროს „მილანში“ ექვსი თავდამსხმელი დაგროვდა, მე კი 33 წლის გახლავართ და რეგულარულად თამაში ჯერ კიდევ მსურს. შესაბამისად, შეფს ველაპარაკე და ავუხსენი, რომ ჩემი ასე დარჩენა მომავალში ბევრ პრობლემას შეგვიქმნიდა, ეს კი ჩემი ცხოვრების სტილი არ გახლავთ და ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ საუკეთესო გამოსავალი წასვლა იქნებოდა. იცით, თუ არ მათამაშებენ, დარჩენას აზრი დაეკარგება“.

შემდეგ ვეამ დასძინა: „ბატონ ძაკერონისთან („მილანის“ მწვრთნელთან) ურთიერთობაში პრობლემა არ მაქვს. წასვლითაც, მხოლოდ ივნისამდე მივდივარ და ვგონებ, დავბრუნდები. კარიერის პრემიერლიგაში დასრულებას არ ვაპირებ“.

კიდევ: „ველაპარაკე ფაბიო კაპელოსაც, რომელსაც „რომაში“ სურდა ჩემი გადაყვანა. იქ თამაშის მეტი შანსი მექნებოდა, რადგან მხოლოდ ოთხი თავდამსხმელი ჰყავთ, მაგრამ ამ ვარიანტზე „მილანმა“ განაცხადა კატეგორიული უარი. საბოლოოდ, როგორც გითხარით, ჩემს მეუღლეს, კლერს ვესაუბრე და არჩევანიც გამოჩნდა. მე მას ვუთხარი, რომ კიდევ რამდენიმე წელიწადს მსურს ბურთაობა, ოღონდ სხვა გუნდში და სხვა ქვეყანაში. კლერი და ბავშვები ლონდონში ცოტა მოგვიანებით ჩამოვლენ“.

მიხეილ სურგულაძე

მარადონას გულის მესამედი უფეთქავს

ფეხბურთის ლეგენდა, არგენტინელი დიეგო მარადონა სულ ახლახან ბუენოს აირესის ახალ კარდეოლოგიურ კლინიკაში გადაიყვანეს. ჰოსპიტალში საკმაოდ ცნობილი სპეციალისტები მუშაობენ. მართალია, დიეგომ მწვავე კრიზისული მდგომარეობა დასძლია და მისი ჯანმრთელობა ნელ-ნელა უმჯობესდება, მაგრამ ექიმები საკმაოდ ფრთხილობენ.

ცნობილი სპეციალისტი ალფრედო კაე აცხადებს, რომ მარადონას ამჟამინდელი მდგომარეობა დამშვიდების საბაბს ნამდვილად არ იძლევა, რადგან ექს-სპორტსმენს გულის კუნთოვანი სისტემის მხოლოდ 38 პროცენტი უმუშავებს, რაც ერთობ შემაშფოთებელია.

მოსალოდნელია, რომ მარადონას უახლოეს მომავალში ტორონტოში, „CLARK"-ის კლინიკაში გადაიყვანენ, სადაც მას მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტები უმკურნალებენ. არგენტინელს ამ დღეებში საკმაოდ ძლიერი სარეაბილიტაციო კურსი ჩაუტარდა, რის შემდეგაც ფეხზე წამოდგომა და სიარული შეძლო, თუმც ექიმები ურჩევენ ფრთხილად იყოს, რადგან სერიოზული გართულებები ყოველ წამსაა მოსალოდნელი.

პოსტსაბოური ეპოქა გურიაკისთვის

ლეონიდ ბურიაკი თბილისში, მაშინ იგი საბოს თანაშემწე იყო

ბადრი კეთილაძის ფოტოები

იოჟეფ საბო

იცით, რა არის დღეს საფეხბურთო და არამარტო საფეხბურთო უკრაინის უმთავრესი საზრუნავი? ქვეყნის ეროვნული ნაკრები, რომელიც დღესდღეობით უმწვრთნელოდაა. მას შემდეგ, რაც ევრო 2000-ის პლეი ოფში უკრაინელები ჩვენს თანაჯგუფელ სლოვენიელებთან ორი მატჩის ჯამში დამარცხდნენ, ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი იოჟეფ საბო საკუთარი ნებით წავიდა თანამდებობიდან. მაშინ წაგების მთავარ მიზეზად ხალხმა საბო მიიჩნია. ჰოდა, მანაც ჩათრევას ჩაყოლა არ ამჯობინა და საქვეყნოდ განაცხადა, წავედიო.

და დარჩა ნაკრები უმწვრთნელოდ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა, როგორც იცით, 7 დეკემბერს იაპონიაში ჩატარდა, სადაც უკრაინელები ქვეჯგუფში ნორვეგიასთან, პოლონეთთან, უელსთან, სომხეთთან და ბელარუსთან ერთად მოხვდნენ, ჰოდა, სლავებიც ჩქარობენ, ნაკრები ღირსეულ კანდიდატს ჩავბაროთო. ასეთად კი, რაღა თქმა უნდა, ვალერი ლობანოვსკი მიიჩნეოდა, მაგრამ კიევის „დინამოს" მწვრთნელმა საკლუბო ფეხბურთში დარჩენა არჩია და ნაკრების გაწვრთნაზე თავაზიანი უარი განაცხადა.

როგორც უკრაინული საინფორმაციო წყარო, გაზეთი „День" იუწყება, უკრაინის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ფეხბურთის ფედერაციის დახურულ სესიაზე დღეს ან ხვალ დანიშნავენ.

ერთი რამ კი გადაწყვეტილია, ნაკრების მწვრთნელის ერთადერთ რეალურ კანდიდატად 70-იანი წლების კიევის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ვარსკვლავი ლეონიდ ბურიაკი რჩება. ლობანოვსკიმ უარი თქვა, სხვასაც არავის გამოუდვია თავი, ასე რომ, თუ ქვეყანა არ დაიქცა და რამე სასწაული არ მოხდა, უკრაინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი სწორედ ბურიაკი გახდება.

ლეონიდ ბურიაკი, როგორც გითხარით, 70-იან წლებში ბრწყინავდა, მისი დარი ნახევარმცველი ძნელად თუ მოიძებნებოდა იმ დროს. „ბურთის პროფესორი", „საბჭოთა ფეხბურთის კლასიკა", პასის კულტურა უმაღლესი, სტანდარტული სიტუაციების უბადლო შემსრულებელი, ლობანოვსკის მოწაფე — ეს მაშინ იყო, ახლა კი...

ახლა იგი თანამედროვეობის უკრაინული ფეხბურთის ერთ-ერთი ინტელექტუალური წარმომადგენელია, რომელსაც არც მასმედიასთან ეშლება ურთიერთობა და არც მწვრთნელობა დაეწუნება. ასე რომ არ ყოფილიყო, ქვეყნის ნაკრებს არც ჩააბარებდნენ.

გიორგი ვაშაკიძე

ფეხბურთის რუკასთან

გერმანიის ჩემპიონის — მიუნხენის „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა მისი კლუბიდან წასვლის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო, გულშემატკივარს კი გუნდში დარჩენას და მინიმუმ სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას დაპირდა. ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტო ჰიცფელდს შვეიცარიის ნაკრების ახალ თავკაცად მოიხსენიებდა, მაგრამ... ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ამჟამად ორი შესაძლო კანდიდატი სახელდება — ინგლისური „ბლექბერნ როვერსის" ყოფილი თავკაცი როი ჰოჯსონი და „ტოტენჰემის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი კრისტიან გროსი.

იტალიურ „პარმაში" მოთამაშე სტეფანო ტორიზი ოთხშაბათს ვარჯიშისას საკმაოდ მძიმედ დაშავდა. ექიმებმა, მყესები დაეჭიმა და დაახლოებით ექვსი თვე ვერ ითამაშებსო. აქვე, ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ „ბოლონიასა" და მადრიდის „ატლეტიკოს" ყოფილმა მცველმა სერია A-ს ბოლო ტურის შეხვედრაში იუვენტუსელ ფილიპო ინძაგისთან ორთაბრძოლისას წითელი ბარათიც დაიმსახურა.

იტალიის ჩემპიონ „მილანს" ბრაზილიური „პალმეირასიდან" ახალგაზრდა მცველის როკე ჟუნიორის გადაბირება სურს. აპენინელები 23 წლის ბრაზილიელის შეძენას სეზონის ბოლოს აპირებენ 5 მილიონ დოლარად. ჟუნიორი ცენტრალური მცველია, „პალმეირასის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და გუნდის ძირითად შემადგენლობაში 1998 წლიდან თამაშობს. როცა იგი „პალმეირასში" მოხვდა, კლუბში კიდევ ერთი ჟუნიორი ასპარეზობდა, ამიტომ ახალწვეულს „ჟუნიორ 2" უწოდეს. ბრაზილიელის „მილანში" მისვლას, ალბათ, ბრუნო ნგოტი შეეწირება. იტალიური გუნდის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში მის გაყიდვას აპირებს. კლუბმა ეს 28 წლის მცველი 7 მილიონი გირვანქის საფასურად 1998 წელს ფრანგული პსჟ-დან წაიყვანა ნგოტი კი ამჟამად ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდება. არადა, ფრანგის შეძენა თვით ესპანეთის სამეფო კლუბმა, მადრიდის „რეალმა" ისურვა.

გერმანიის ბუნდესლიგაში მოასპარეზე „შალკემ" „შტუტგარტიდან" 31 წლის მცველი ტორსტენ ლეგატი შეიძინა. ახალი კონტრაქტის ვადა ორი წლით განისაზღვრა. შეგახსენებთ, რომ ლეგატი ორი თვის წინ რასისტულ ქმედებაში ამხილეს. მან ერთ-ერთი თანაკლუბელის, განელი ფორვარდის — პაბლო ტიამის მიმართ უღირსი საქციელი ჩაიდინა. ამ საკითხთან დაკავშირებით „შტუტგარტის" ხელმძღვანელობამ მიწვეული ექსპერტების თანდასწრებით იმსჯელა და ლეგატთან მიმდინარე კონტრაქტის გაუქმება გადაწყვიტა.

ფრანგული „მონაკოს" პრესატაშის ცნობით, კლუბის მექსიკელმა მცველმა რაფაელ მარკესმა მცირე ტრავმა მიიღო და მინიმუმ 10 დღე ვერ ითამაშებს. 20 წლის ცენტრალური მცველი საფრანგეთის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში, „ტრუას" წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში დაშავდა. მარკესს სავარაუდოდ მხოლოდ „რენთან" გასამართი საშინაო შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

ინგლისური „სანდერლენდის" დანიელი მეკარე ტომას სორენსენი თანახმაა, კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი 2004 წლამდე გაახანგრძლივოს. გავრცელდა ხმები, თითქოს 23 წლის გოლკიპერის შეძენის სურვილს იტალიური რომის „ლაციო" გამოთქვამდა. დანიის ნაკრებში ლეგენდარული პეტერ შმაიხელის ღირსეული მემკვიდრის გადაბირებას კიდევ ერთი ევროპული გრანდი — „მანჩესტერ იუნაიტედი" ცდილობდა. თუმც მოსალოდნელმა კონტრაქტმა მითქმა-მოთქმა საბოლოოდ შეწყვიტა. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, სორენსენი „სანდერლენდის" ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მისთვის თვითმიზანი არ არის. „ფული ჩემთვის მთავარი ნამდვილად არ გახლავთ. კარგ კლუბში თამაში გაცილებით სასიამოვნოა" — აცხადებს ახალგაზრდა მეკარე.

ბეკენბაუერი აფრიკაში

ფრანც ბეკენბაუერი, გარდა იმისა, რომ „ბაიერნის" პრეზიდენტი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტია, ერთ ძალზე მნიშვნელოვან ორგკომიტეტსაც ხელმძღვანელობს. მოგეხსენებათ, გერმანიამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისათვის საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. გერმანიის გარდა ამ უფლებისთვის ინგლისი, ბრაზილია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა იბრძვიან. ბეკენბაუერს სხვადასხვა კონფედერაციების მხარდაჭერის იმედი აქვს და ამ მიზნით თავდაპირველად აფრიკის კონტინენტს ეწვია. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას მან გერმანიის კანდიდატურის უპირატესობაზე ისაუბრა: „გერმანია ის ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის 90 პროცენტი ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგია. ამასთანავე საფეხბურთო და სხვა ინფრასტრუქტურები ჩვენთან დიდად განვითარებულია" — განაცხადა ბეკენბაუერმა.

ცხადია, „კაიზერი" ვერც მაროკოს და სამხრეთ აფრიკის კანდიდატურებს აუვლიდა გვერდს. მისი თქმით, აფრიკული ქვეყნები იმსახურებენ ასეთი გრანდიოზული ტურნირის მასპინძლობას, მაგრამ 2006 წლისთვის მზად ვერ იქნებიან. ბეკენბაუერის საუბრის არსი ასეთი იყო, ახლა გერმანიას დაუჭირეო მხარი და 2010 წელს ჩვენი იმედი გქონდეთო. ცენტრალური აფრიკიდან ბეკენბაუერი ბოტსვანას და მალის მოინახულებს. მოგეხსენებათ, 1974 წელს გერმანია უკვე მასპინძლობდა მსოფლიოს ჩემპიონატს და გამარჯვებაც მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს სამხრეთაფრიკელთა მიმართ ადრინდელი სიმპათია განელებია, რაც გერმანელთა შანსს ზრდის.

ინგლისი

ანდერლეხტი	17	13	3	1	47:19	42
გენკი	18	10	6	2	44:23	36
ბრიუგე	17	11	2	4	38:14	35
ლიერსი	18	9	5	4	31:21	32
გენტი	18	10	1	7	49:35	31
ბეერსხოტი	18	9	4	5	31:25	31
ვესტერლო	18	8	5	5	39:37	29
სტანდარდი	18	9	2	7	32:33	29
მუსკრონი	18	7	4	7	34:28	25
აალსტი	18	7	2	9	34:34	23
ლოკერენი	18	6	5	7	33:35	23
მეხელენი	18	6	3	9	26:44	21
ბევერენი	18	4	5	9	25:37	17
შარლერუა	18	4	5	9	21:33	17
ჰარელბეკე	18	4	4	10	30:35	16
სენტ ტრუიდენი	18	3	5	10	18:38	14
გენელი	18	1	9	8	12:34	12
ლომელი	18	1	8	9	15:34	11

ამხანაგური მატჩი

ირანი 2:1 ეკვადორი (U21)

1:0 დაეი (27), 2:0 მუსავი (68), 2:1 კანდელარიო (88)

გვატემალა 1:1 მექსიკა

1:0 პლატა (16), 1:1 ოსორნო (53)

პორტუგალია

თასის მეთექვსმეტედფინალი

სალგეირუში 2:0 **კამპომაიორენსე**

აკადემიკა (II) 2:1 **სეტუბალი**

მორეირენსე (II) 3:2 **სანტა კლარა**

კოვილია (II) 0:2 *რიუ ავე*

გიმარაეში 3:0 **კასა პია** (III)

იმორტალი (II) 0:0 **დ.დ. ფალგეირუში** (II)

ინფესტა (II) 1:1 **დ.დ.** (1:1) **ნავალი** (III)

პოვოიშტა 8:2 **პარედესი** (III)

ბენფიკა 7:0 **ამორა** (II)

სპორტინგი 1:0 **ლეირია**

პორტუ 4:1 **ბრაგა**

ვიჟელა (II) 2:2 **დ.დ.** (1:1) **ფაფე** (II)

დრაგუშ სანდინენსეში (III) 2:0 **ვილიანოვენსე** (II)

ფარენსე 2:3 *ამადორა*

„ჟილ ვისენტე" ამ ეტაპზე თავისუფალია

ბელგია

XVIII ტური

აალსტი 2:4 ბევერენი

1:0 მისენი (10), 1:1, 1:2 სელსი (25, 40), 1:3 ტორკენი (60), 2:3 გრომენი (78), 2:4 ტორკენი (80)

გენტი 1:1 გეელი

0:1 ვერსაველი (15), 1:1 ჯოლი (47)

ბეერსხოტი 1:1 ლიერსი

1:0 კარაგიანისი (80), 1:1 ვან მეირი (90)

ჰარელბეკე 4:1 შარლერუა

1:0 პაასი (20), 2:0 ლ. კუბიჩი (24), 3:0 კლომპი (50), 3:1 კაკლამანოსი (74), 4:1 ა. კუბიჩი (76)

ლოკერენი 2:1 ლომელი

1:0 ნიკჩევიჩი (60), 1:1 ვან დისტი (76), 2:1 იანსენსი (82)

მეხელენი 2:4 სტანდარდი

1:0 რიბუსი (1), 1:1 გუსენსი (30), 1:2 ერნსტი (49), 1:3 გუსენსი (55), 2:3 კამუსი (80 პ), 2:4 მორნარი (90)

გენკი 1:1 ვესტერლო

1:0 ბანი (51), 1:1 შასენსი (66)

სენტ ტრუიდენი 0:1 ბრიუგე

0:1 დე კოკი (19)

მუსკრონი 0:2 ანდერლეხტი

0:1 ბარტ გოორი (33), 0:2 ვან დიმენი (78)

აფრიკის თასი

ნიგერიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა:

მეკარეები: მერფი აკანჯი (ჯულიუს ბერგერი), ნდუბუისი ეგბო (ალ მასრი), იკე შორუნმუ (ბეშიქთაში, თურქეთი);

მცველები: სელესტინ ბაბაიარო (ჩელსი, ინგლისი), ემეკა იფეჯაგვა (ოსასუნა, ესპანეთი), გოდვინ ოკპარა (პსჟ, საფრანგეთი), გბენგა ოკუნოვო (ბეიფიკა, პორტუგალია), ეფეტობორე სოდჯე (ლუთონი, ინგლისი), სანდი ოლისე (ანჟერი, იტალია), ტარიბო ვესტი (მილანი, იტალია);

ნახევარმცველები: მუტიუ ადეპოჟუ (სოსიედადი, ესპანეთი), ბენედიქტ აკეგბუ (გრაცერი, ავსტრია), ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი, ჰოლანდია), ჯორჯ ფინიდი (ბეტისი, ესპანეთი), ვიქტორ იკპება (ბორუსია, დორტმუნდი, გერმანია), გარბა ლავალი (როდა, ჰოლანდია), აუგუსტინ „ჯეი-ჯეი" ოკოჩა (პსჟ, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: ჯულიუს აგაოვა (ესპერანსი, ტუნისი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი, გერმანია), ემანუელ ამუნიკე (ბარსელონა, ესპანეთი), რაფაელ ჩუკვუ (ბარი, იტალია), ნვანკვო კანუ (არსენალი, ინგლისი)

მწვრთნელი: ჯო ბონფრერე

ჩვენც ხალხი ვართ, ეგრე რატომ გვიყურებთ...

შეგნებული ინგლისელი გულშემატკივრები

ჰოლანდიელ და ბელგიელ ჭანდარმებს გულს უჩვილებენ

ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე, იცით, ჯერაც საკმაო დროა, ორგანიზატორები კი, ნუ გაიკვირვებთ და, უკვე ხელებს იფშვნეტენ, ანუ მოსალოდნელ შემოსავალს ითვლიან. ინსტიტუტს უკვე დაუანგარიშებია, ტურნირი ქვეყანას 613 მილიონ გულდენით (93 მილიონი დოლარით) გაგვიმდიდრებსო. ამგვარ გამოკვლევებში დახელოვნებული ავტორიტეტული ორგანიზაცია „მერვაარდი“ კი უფრო თავშეკავებულია: მოგება 200 მილიონ გულდენზე მეტი არ იქნებაო. ამ მეტ-ნაკლებობის მიზეზი ჰ ოლანდიაში ჩამსვლელ ტურისტთა საგარაუდო რაოდენობაში სხვაობა ყოფილა. ეკონომიკის ინსტიტუტის პროგნოზით, ჩემპიონატის დღეებში ქვეყანას 400-დან 600 ათასამდე უცხოელი ეწვევა, „მერვაარდი“ კი, 150 ათასზე მეტს ნუ ველითო, ამტკიცებს და ამ ვარაუდს ასე ასაბუთებს: ევროპის ჩემპიონატს ჰოლანდიის ოთხი ქალაქი — ამსტერდამი, როტერდამი, ეინდჰოვენი და არნემი უმასპინძლებს, ტურისტთა ნაკადიც სწორედ ამ ქალაქებს მიაწყდება, ქვეყნის სხვა ადგილები კი, სადაც, ჩვეულებრივ, მრავალი დამსვენებელი ჩადიოდა, ტურისტულ ბიზნესს ვერაფერს გამორჩებიან, ასე რომ ჩემპიონატის სავარაუდო შემოსავალს ეს ზარალი უნდა გამოაკლდესო. ეტყობა, ეს საკმაოდ ანგარიშგასაწევი არგუმენტია, ვინაიდან ჰოლანდიის მთავრობა „დაჩაგრულთათვის“ 30 მილიონი გულდენის გამოყოფას აპირებს.

ნებისმიერ გრანდიოზულ ტურნირზე საუბრისას წესრიგის დაცვის პრობლემას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით. ამ მხრივ განსაკუთრებით საფრთხილო საფეხბურთო შეჯიბრებებია — ხულიგნები ხომ ყველაზე მეტად ამ სახეობას „სწყალობენ“. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ევრო-2000 იქნება და მასპინძელი ქვეყნების სამართალდამცავებს თადარიგი ადრიანად დაუჭერიათ. მრავალწლიანი გამოცდილებით ცნობილია, რომელი ქვეყნის მოქალაქეები გამოირჩევიან შარიან-ხათაბალობით. ამიტომ ბელგიელი და ჰოლანდიელი პოლიციელები კენჭისყრის შედეგებს მწვრთნელებზე, ფეხბურთელებზე და ქომაგებზე ნაკლები ინტერესით როდი ელოდნენ. აკი ადრევე უთქვამს ბრიუსელის ჟანდარმერიის შეფს, სამოქმედო გეგმის დეტალებს წილისყრის შემდეგ დავაუსტებთ, გვეცოდინება, რომელი ქვეყნის გუნდები რომელ ქალაქებში ითამაშებენო.

წილისყრის მთავარ მოვლენად, მოგეხსენებათ, ინგლისის და გერმანიის ერთ ჯგუფში მოხვედრა იქცა. ჩვენ კი ვართ ამით კმაყოფილები — საინტერესო ბრძოლის ხილვა გველის, აი, პატარა ბელგიურ ქალაქ შარლერუას პოლიციელები კი... საერთო აზრი ასეთია — 17 ივნისს შარლერუაში, ინგლისი — გერმანიის მატჩისას სამართალდამცავებს განსაკუთრებული ჯაფა დაადგებათ. მათ კარგად ახსოვთ, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორ გაიმეტეს გერმანელმა ხულიგნებმა ადგილობრივი ჟანდარმი. პოლიციელები ჩემპიონატის დღეებში დამატებითი უფლებებით აღჭურვას მოითხოვენ. მასპინძელი ქვეყნების მთავრობები ამ აზრს ჯერ ემხრობოდნენ, ახლახან კი ბელგიის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, ეს რომ გავაკეთოთ, ვაითუ ამით ვინმემ ბოროტად ისარგებლოსო. ქვეყნის ჟანდარმთა შეფმა პოლ ვან კერმა მთავრობის გადაწყვეტილება ასე შეაფასა: „ყველაფერი იოლი გასაგებია — თუ მთავრობა ჩვენს მოთხოვნებს არ დაყაბულდება, ინციდენტების ზრდის რისკი დიდი იქნება. ცხადია, პოლიცია თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, მაგრამ მხარს რომ დაგვიჭერდნენ, მუშაობა ერთიორად გაგვადვილდებოდა.“ 21 იანვარს დაგეგმილია შეხვედრა, რომელზეც პოლიციელები და მინისტრები ამ საკითხზე საბოლოოდ იმსჯელებენ.

მხოლოდ ინგლისელ და გერმანელ გულშემატკივართა ყოფაქცევაზე ლაპარაკიც უმართებელია. „ხულიგანთა არმია“ ორივე მასპინძელ ქვეყანაშიც მრავალრიცხოვანია. მხოლოდ მიმდინარე სეზონში უწესრიგობების გამო ბელგიაში ჩემპიონატის ორი მატჩი ჩაიშალა.

ამასობაში ერთმა ინგლისურმა ორგანიზაციამ, ფეხბურთის ქომაგთა ასოციაციამ, დაძაბული სიტუაციის განმუხტვა ითავა. ასოციაციის წარმომადგენლებს იმ ქალაქებში ჩასვლა განუზრახავთ, სადაც ინგლისის ნაკრებს მოუწევს თამაში. ისინი ადგილობრივ პოლიციელებთან შეხვედრას აპირებენ, სამშობლოში დაბრუნებულები კი ინგლისელ გულშემატკივრებს თავიანთ შთაბეჭდილებებს გაუზიარებენ. აქ ერთი საინტერესო დეტალიც არის. ასოციაციის წარმომადგენლებს სამი ქალაქის — შარლერუას, ეინდჰოვენის და ამსტერდამის მონახულება უსურვებიათ. გათამაშების ცხრილში თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ ინგლისელები პორტუგალიის ნაკრებს ეინდჰოვენში ხვდებიან, გერმანიას და რუმინეთს — შარლერუაში. მაშ, რა უნდათ ზემოხსენებულ პირებს ამსტერდამში? საქმე ისაა, რომ A ჯგუფის გამარჯვებული მეოთხედფინალურ შეხვედრას ჰოლანდიის დედაქალაქში გამართავს. ეტყობა, ინგლისელებს ეჭვიც არ ეპარებათ, A ჯგუფის პირველადგილოსანი სწორედ ჩვენი ნაკრები იქნებაო. ფეხბურთის ქომაგთა ასოციაციის პრესმდივანმა ჰოლანდიელ ჟურნალისტებს განუცხადა: „ვიცი, რომ ევროპის ჩემპიონატზე დასწრებას ათასობით ჩემი თანამემამულე აპირებს. მათ შორის უბილეთოებიც მრავლად იქნებიან. ადგილობრივი სამართალდამცავები ყველაზე მეტ უსიამოვნებას მათგან ელიან. არ უარვყოფ, იქნებიან ისეთებიც, ინგლისს რომ შეარცხვენენ, მაგრამ ასეთები ერთეულები არიან. ამიტომაც ნუ შეხედავთ ყველა ინგლისელს ეჭვის თვალით. ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვიზიტის მიზანიც ის არის, რომ პოლიციელებსა და გულშემატკივრებს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს.“

გიორგი დარჯანია

ბექემი — კაცი, რომელზეც მუდმივად ლაპარაკობენ

დევიდ ბექემი 1995 წლის შემდეგ ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავად არის აღიარებული

დავუბრუნდეთ დევიდ ბექემის გაძევებას კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატზე „ნეკაქსასთან“ შეხვედრაში. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველის ამბავი ინგლისში გამალებული დისკუსიის თემადაა ქცეული, ხოლო ინგლისი წამყვან საფეხბურთო ქვეყანათაგანია, რომლის ცხოვრებასაც ჩვენშიც ბევრი ადამიანი ადევნებს თვალყურს.

კითხვა, რომელიც ბრიტანეთის კუნძულებზე 1998 წელს დაიბადა, ასეთი გახლდათ: ისწავლის ბექემი მსოფლიოს ჩემპიონატზე, სენტ ეტიენში, არგენტინასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ჭკუას? ამ კითხვის პასუხი თავიდან თითქოს დადებითი იყო: ფიცხი ხასიათის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოედნიდან გაძევების მიუხედავად ფეხბურთელმა თავშეკავება ისწავლა, მაგრამ გამოხდა ხანი და ინგლისური პრესის ფურცლებზე კვლავ გამოჩნდა დასჯილი ბექემის ფოტოები და ამბები.

ბექემისტები ამბობენ, რომ მათი საყვარელი მოთამაშის კრიტიკის მოყვარულთ არ უნდა დაავიწყდეთ, როგორ ცეცხლსა და ნავთს უძლებდა იგი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო ანტიბექემისტები საპირისპიროს ამტკიცებენ — მათი აზრით, ამ ხუთ წელიწადში დევიდს გამოცდილების შეძენა მართებდა, რაც პირდაპირ გახლავთ გონიერებასა და ჭკუასთან დაკავშირებული.

გავიხსენოთ: ჭაბუკმა ბექემმა საფეხბურთო საზოგადოებრიობას თავი 1995-96 წლების სეზონში გააცნო, როდესაც დღეს უკვე ცნობილ შეხვედრაში, „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ (3:1) გოლი შეაგდო.

მანამდე BBC-ს წამყვანი ალან ჰანსენი ამბობდა: „ბავშვებით ვერასდროს ვერაფერს მოიგებ“, მაგრამ ბექემმა საპირისპირო დაამტკიცა — „იუნაიტედი“ ინგლისის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც.

მაშინ, „ვილა პარკზე“ ყმაწვილკაცის გატანილმა გოლმა მანჩესტერის გუნდი ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში გაიყვანა, მაგრამ ის სეზონი გაილია, დაიწყო შემდგომი და ბექემი უბრალოდ სუპერვარსკვლავად იქცა.

ეს ამბავი „სელჰარსტ პარკზე“ მოხდა, როდესაც ნახევარმცველმა ბურთი მოედნის საკუთარ ნახევარზე მიიღო.

ბევრი ფილოსოფია არ დაუწყია, პირდაპირ კარში დაარტყა და „უიმბლდონის“ მეკარეს ბილ სალივანს საშინელი ძალით დარტყმული 50 მეტრიდან სამუდამოდ დაამახსოვრა.

ეს ის პერიოდია, როდესაც ბრიტანული მასმედია ძირითადად ორ თემაზე წერს, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და პოპ ჯგუფ „სფაის გელზზე“, რომელიც მხოლოდ გოგონებისგან შედგება. და აი, გადის ცოტა ხანი და ირკვევა, რომ ინგლისში არსებობს 90-იანი წლების წყვილი — დევიდ ბექემი „პოშ სფაისზე“, ვიკტორია ადამსზე ინიშნება.

მაშ ასე, ყველაფერი ნათელია, საზოგადოების და შესაბამისად პრესა-ტელევიზიის ინტერესი ამ წყვილისკენაა მიმართული. მათზე ითქმება და იწერება ყველაფერი, კარგიცა და ცუდიც.

შემდეგ, 1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინის ნაკრებთან შეხვედრაში ბექემს მოედნიდან აძევებენ, ინგლისი მარცხდება და ფეხბურთელიც გულშემატკივართა ნომერ პირველ მტრად ყალიბდება. ვიკტორია ადამსის ქმარს პოლიციის დაცვაც დასჭირდა თუმცა აგვისტოში, „უემბლიზე“ გამართულ „ჩერითი შილდის“ ანუ სუპერთასის შეხვედრაში მას უკვე გულთბილად იღებენ. ეჭვი, დარჩებოდა თუ არა იგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაქრა, სეზონის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე ბექემი კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს აფორმებს.

მსოფლიოს ჩემპიონატის ვნებათაღელვა ცხრება და დევიდ ბექემის საქმე აღმა მიდის. მისი ფეხბურთი უმაღლეს სტანდარტებს შეესაბამება და ჩნდება აზრი, რომ კრიტიკოსები მხოლოდ შურიანი ხალხია და მეტი არაფერი.

1999 წლის მარტში „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემპიონთა თასის შეხვედრებში მილანის „ინტერი“ გადაეყარა და შედგა დიდი შერიგება ბექემისა და დიეგო სიმეონესი, იმ არგენტინელი ფეხბურთელისა, რომლის პროვიცირებულიც გახლდათ სენტ ეტიენური გაძევება. ამ ამბის მეორე დღეს დევიდი ვაჟის, ბრუკლინის მამა ხდება, ხოლო მაისში „მანჩესტერ იუნაიტედი“ სამ უდიდეს ჯილდოს იგებს.

ზაფხულზე ბექემი და ადამი მისტერი და მისისი ხდებიან. ქორწილს ირლანდიის ერთ-ერთ სასახლეში იხდიან და დევიდი როგორც უჭკუო და ფიცხი აღარავის ახსოვს, მაგრამ აი, დაიწყო ახალი სეზონი:

აგვისტოში მისმა ჟესტმა „ლიდს იუნაიტედის“ გულშემატკივართა აღშფოთება გამოიწვია, არადა ისინი ტრიბუნიდან უხამსოდ აგინებდნენ არა მარტო ფეხბურთელის ცოლს, არამედ შვილსაც.

სექტემბერში, „ლივერპულთან“ შეხვედრაში იგი ჯერ სტივენ ჯერარდს ეუხეშა, ხოლო შემდეგ ჯეიმი რედნაპს, მაგრამ გაძევებას გადარჩა.

ცოტა ხანში, გრაცის „შტურმთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ბექემს კონფლიქტი მოსდის მეტოქე გუნდის ფეხბურთელთან ტომასლავ კოციანთან და კვლავ გაძევების ღირსია, მაგრამ ისევ ინდობენ.

შემდეგ საქმეში ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ერთვება. იგი ცდილობს ფეხბურთელი დაიცვას სერ ალექს ფერგიუსონის რისხვისგან. „იუნაიტედის“ მწვრთნელი იმან გააბრაზა, რომ ავსტრიაში შეხვედრის წინ, 12 საათით ადრე, დევიდი ლონდონში ქეიფობდა.

ამასთან ერთად იზრდება მეუღლის, ვიკტორია ადამსის ზეწოლა. იგი დევიდს მანჩესტერიდან ლონდონში გადაბარგებას თხოვს. ვიკტორიასგან მოდის ვარსკვლავის უცხოეთში შესაძლო გადასვლის ამბავიც.

დეკემბერში ბექემს საკუთარი „ფერარით“ სიჩქარის გადამეტებისთვის ლიცენზიას ართმევენ. იგი ამბობს, რომ მიზეზი ფოტოგრაფი გახლდათ, რომელმაც გააღიზიანა.

წლის ბოლოს მანჩესტერელი საყოველთაო აღიარებას, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბუროს“ ელის, მაგრამ რივალდო ჯობნის.

იანვარში, მსოფლიოს კლუბთა ჩემპიონატზე „ნეკაქსასთან“ შეხვედრაში მოედნიდან აძევებენ, ხოლო მის მეუღლეს „CANAL+“-ზე საკუთარი შოუს დებიუტი აქვს.

ახლა გულშემატკივრები ელიან, რომ დევიდ ბექემი მალე „მანჩესტერ იუნაიტედში“ უდიდეს ხელფასს მოითხოვს.

მიხეილ სურგულაძე

ენდი კოული (მარჯვნივ) არც თავს ინდობს და არც მეტოქეს

დამნაშავეა კოული

ენდი კოულმა კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში კარიერაში პირველად უკაპიტნა „მანჩესტერ იუნაიტედს“, მაგრამ იმ დღეს ეს მისთვის ერთადერთი სასიამოვნო ამბავი როდი გახლდათ — კოულმა შეიტყო, რომ ავსტრალიელი ფეხბურთელი საიმონ კოლიზიმო სასამართლოში ჯერჯერობით აღარ უჩივის.

ახალი კაპიტნის წინამძღოლობით „იუნაიტედმა“ „საუთ მელბურნს“, როგორც იცით, 2:0 მოუგო და ეს მატჩი ყოველმხრივ უმჯობესი გამოდგა იმ, ზაფხულში გამართულ შეხვედრაზე, როდესაც სეზონისწინა ამხანაგური ბურთაობის დროს კოულმა ავსტრალიელ მცველს ფეხი მოტეხა და მუხლის მყესები გაუწყვიტა. დაშავებული კოლიზიმო სასამართლოში აპირებდა ჩივილს, მაგრამ გადაუფიქრებია.

საქმე ის გახლავთ, რომ „კარლტონის“ ფეხბურთელს გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიუდის და ამიტომაც გადაწყვიტა, ჯერ ენახავ სრულიად ჯანსაღი გავხდები თუ არა და იმის მიხედვით ვიჩივლებ ან არ ვიჩივლებო. თუ კოლიზიმო შეატყობს, რომ ტრავმის გამო იძულებულია ფეხბურთის თამაშს თავი დაანებოს, მაშინ იგი ისარგებლებს ჯერ კიდევ შემორჩენილი დროით და სარჩელს შეიტანს.

„კარლტონში“ კოლიზიმოს მწვრთნელი, შოტლანდიელი სტიუარტი მანრო: „ჯერჯერობით სარჩელი შეჩერებულია. დღეს ყველაფერი მივიწყებულია და საიმონი გამოჯანმრთელებასა და მოედანზე დაბრუნებაზე გახლავთ კონცენტრირებული. თუ იგი შეატყობს, რომ ფეხბურთელობას ვეღარ შეძლებს. მაშინ სასამართლო საქმე, ალბათ, გაგრძელდება. მოკლედ, კოული ჯერჯერობით მშვიდად ვერ იქნება“.

კოლიზიმოს საქმე დღეს ასეა: დარბის, მაგრამ ბურთს ვერ ეკარება. ამ დღეებში იგი ავსტრალიის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ადელაიდაშია და ამით მხოლოდ თავის გუნდში ყოფნას აფიქსირებს.

გასულ ზაფხულს, ახალდაშავებული კოლიზიმო ამბობდა: „რაც მან გამიკეთა საძაგლობა იყო. კოულის გამო, ეჭვი არაა, ოლიმპიურ ნაკრებში ადგილს დავკარგავ და სიდნეი 2000-ზე მონაწილეობას ვერ მივიღებ“.

მანრო განაგრძობს: „ქირურგები ძალიან კმაყოფილნი გახლავან, ამბობენ, რომ საიმონის ფეხი უკეთეს მდგომარეობაშია და შესაძლოა იანვრის ბოლოს მან უკვე შეძლოს გუნდთან ერთად ვარჯიში. მადლობა ღმერთს იგი სეზონის ბოლომდე თამაშს შეძლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიადაზეც გამოვა და იქნებ ევროპაში თამაშის ოცნებაც აიხდინოს. მაგრამ ჯერ სიფრთხილე გვმართებს. კოლიზიმოს სხარტად ჯერ არ უმოძრავია, არ დატრიალებულა, ხოლო ასეთ დროს ყველაფერია მოსალოდნელი“.

აღსანიშნავია, რომ კოულმა კოლიზიმო მაშინ დააშავა, როდესაც იგი მიუნხენის „ბაიერნთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

„საიმონი ევროპაში გადაბარგებასთან ძალიან ახლოს იყო“ — დასძენს მანრო, თავის დროზე „გლაზგო რეინჯერსისა“ და „ბრისტოლ სიტის“ მოთამაშე — „ტრავმამ იგი სასოწარკვეთილებაში ჩაგდო, მაგრამ დღეს იმედი გაუღვივდა და სარჩელის შეტანა ლამისაა გადაიფიქროს. კოლიზიმო ახალგაზრდაა და ძალიან ნიჭიერი. არ გამოვრიცხავ, რომ მას ერთ დღეს უმაღლეს დონეზე ვიხილავთ. იმედი მაქვს, რომ მას კიდევ მოუწევს ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა“.

ფაულერს ოპერაცია სჭირდება

ინგლისური „ლივერპულის“ ფორვარდს, რობი ფაულერს ხელახალი ოპერაცია სჭირდება, რის გამოც დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს. თუმც კლუბის თავკაცი ჟერარ ულიე აცხადებს, რომ სპეციალისტთა სათანადო დასკვნამდე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას არ აპირებს. „ექიმებმა რობი გასულ კვირას გასინჯეს. მათგან პასუხს ველით. ასე რომ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა“ — ამბობს ფრანგი სპეციალისტი.

რობი ფაულერმა შარშან აგვისტოში მიღებული ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში მხოლოდ შვიდი შეხვედრა ჩაატარა და სამი გოლი გაიტანა. იგი ერთობ დააკლდა. „ლივერპულს“, რომელიც ამჟამად ფორვარდთა მწვავე კრიზისს განიცდის. ინგლისური ფეხბურთის იმედს, მაიკლ ოუენს მცირე ტრავმა აქვს, აგრეთვე დაშავებულია ერიკ მეიერი, ხოლო გვინეელი თავდამსხმელი ტიტი კამარა დისკვალიფიცირებულია.

ყოველივემ კლუბის შედეგებზეც იმოქმედა. პრემიერლიგის ბოლო ტურში, რომელიც ნაახალწლევს, 3 იანვარს გაიმართა, „ლივერპული“ „ტოტენჰემთან“ საგარეო შეხვედრაში 0:1 დამარცხდა, ხოლო თასის გათამაშებას პირველდივიზიონელ „ბლეკბერნთან“ ორთაბრძოლაში გამოეთიშა.

ინგლისის ნაკრები ფაულერს მინიმუმ მარტამდე მოისაკლისებს. ფეხბურთელი ვერც თებერვალში დეგეგმილ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშებს არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ. ნაკრების თავკაცი კევინ კიგანი იმედოვნებს, რომ რობი ზაფხულისთვის ფორმას დაიბრუნებს და ქვეყნის მთავარ გუნდს ევრო 2000-ზე დაეხმარება.

რონალდომ ენა გადაყლაპა

შეიცოდეთ ეს კაცი: ნუ დაპატიჟებთ ვახშამზე

რონალდო და მისი მეუღლე მილენ დომინგუში

მილანის „ინტერის“ სახელოვანი ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო ამ ერთი თვის წინ დაშავდა, პარიზში მუხლის ოპერაციაც გაიკეთა და გამოსაშუშებლად შინ, ბრაზილიაში გაემგზავრა. ახალი წლის დადგომამდე სატრფო, მილენ დომინგუში ცოლად შეირთო და რიო დე ჟანეიროში ქორწილი გადაიხადა. წყვილი უახლოეს მომავალში ბავშვს ელის.

ამჟამად რონალდო კვლავ პარიზშია, ცნობილ ექიმ ჟერარ სალანის კლინიკაში გამოკვლევათა კურსის ჩასატარებლად. შიშობენ, 23 წლის რონალდო მიმდინარე სეზონში თამაშს ვერ შეძლებს.

ფეხბურთელი უახლოეს მომავალში მილანში ჩასვლასაც გეგმავს, სადაც „ინტერის“ ექიმ პიედრო ვოლპის გაესინჯება. სწორედ იგი შეაფასებს საბოლოოდ რონალდოს ჯანმრთელობის მდგომარეობას და დაასკვნის, რა და როგორ იყოს შემდგომ.

მილანური კლუბის ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, რომ ბრაზილიელი ფორმაში მაისის ბოლოსთვის ჩადგება და გუნდს სეზონს ჩაამთავრებინებს.

როგორც მოგახსენეთ, რონალდომ შობა-ახალწლის დღეები სამშობლოში გაატარა, სადაც პირველი საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს დაესწრო. ტურნირში მონაწილე „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრეზიდენტმა მარტინ ედვარდსმა და მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ბრაზილიელი ვახშამზეც მიიპატიჟეს.

იუწყებიან, რონალდო, ინგლისურს ახლადა რომ სწავლობს, თანამეინახეებთან საუბარს გაურბოდა და სუფრაზე მეტწილად ენაგადაყლაპულივით იჯდაო.

ნიკა შუგლაძე

ყველაზე ლამაზად მოთამაშე ყოველთვის უძლიერესი არ არის



მოკლე ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ ჟურნალმა „ლა კანჩამ“ დიდ ჰოლანდიელ საფეხბურთო მოაზროვნეს, რინუს მიხელსს ჩაშოართვა. ინტერვიუ ერთობ შეკვეცილია და ამდენად დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ტოვებს, მაგრამ რესპონდენტი იმდენად დიდი ფიგურა გახლავთ, რომ მისი ორიოდ მოსაზრებას გამოქვეყნება მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ.

რინუს მიხელსი (დაბადებულია 1928 წელს) 50-იანი წლების დასაწყისში ჰოლანდიის ნაკრებში ცენტრალური თავდამსხმელი გახლდათ, მაგრამ შემინდელი ჰოლანდიური ფეხბურთი ფრიად განვითარებული იყო. მიხელსი, როგორც მოღვაწე მწვრთნელად გახდომის შერე იქცევს ყურადღებას.

„აიაქსში“ შუშაობის დროს მან მოიგონა ტოტალური ფეხბურთის ფილოსოფია და მის განვითარებას შეუდგა. იდეამ განსაკუთრებით 60-იან წლებში იხარა. ტოტალური ფეხბურთი ქადაგებდა იმ პერიოდისთვის რევოლუციურ უნივერსალიზმს, ადაპტაციის უნარსა და უნივერსალურ ტექნიკას.

მიხელსის გუნდმა, რომელიც იოჰან კრუიფის უნიკალური ნიჭის საფუძველზე გახლდათ აშენებული 1971 და 1972 წლებში ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა. მწვრთნელისა და შეგირდის თანამშრომლობა ესპანურ „ბარსელონაშიც“ გაგრძელდა და სანაკრებო დონეზეც ფანტასტიკურ სიმაღლეებს მიაღწია: მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდა, ჰოლანდიის ნაკრებმა, ფინალს მიაღწია სადაც მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან დამარცხდა 1:2.

1988 წელს მიხელსის ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ პერიოდის გუნდში თამაშობდნენ ახალი თაობის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც გახლდნენ რუუდ გულიტი და მარკო ვან ბასტენი.

რინუს მიხელსს გაუწვრთნია ავრეთვე აქერიკული „ლოს ანჯელეს აცტეკზე“ და გერმანული ლევერკუზენის „ბაიერი“

— ბატონო მიხელს, ხედავთ თუ არა პრინციპულ განსხვავებას დღევანდელ და თქვენი დროის ფეხბურთს შორის?

— დღევანდელი ფეხბურთი უწინდელისგან თუნდაც იმიტომ განსხვავდება, რომ თამაშის წესები შეიცვალა. გარდა ამისა, ფეხბურთისადმი საკუთრივ მოთამაშეთა დამოკიდებულებაც სხვანაირი გახდა. ადრე ფეხბურთელები გაცილებით თავმოყვარენი იყვნენ და როგორც უკვე უამრავჯერ ითქვა, ისინი მოედანზე მოსაგებად გადიოდნენ, დღეს კი მათი მთავარი მიზანი არ წაგება გახლავთ.

— რაკიღა ფეხბურთელები ახსენეთ, ბევრი თვლის, რომ თანამედროვეობის უდიდესი მოთამაშე რონალდოა. თქვენ რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

— იმისათვის, რომ საუკეთესო ან უდიდესი მოთამაშის ვინაობა დავასახელოთ, აუცილებელია თავად ამ ცნების განსაზღვრა. კრიტერიუმი შესაძლოა სხვადასხვა იყოს. თუ თქვენ ეძებს საუკეთესო ფეხბურთელს და ქვეცნობიერად ყველაზე ლამაზად მოთამაშეს გულისხმობთ, მაშინ მართლაც, საუკეთესო რონალდოა და მაინც, სინამდვილეში ყველაზე ლამაზად მოთამაშე ფეხბურთელი ყველაზე კარგს არ ნიშნავს. ხშირად ყურადღების მიღმა გვრჩებიან ისინი, ვინც გოლს ამზადებენ, ქმნიან.ყველაზე ძნელი სამუშაო სწორედ მათ აქვს შესასრულებელი. ჩვეულებრივ თვლის თავდამსხმელების თამაში გვწყვეტს, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, გოლის გატანაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორვარდისთვის გოლის შემზადება გახლავთ. იმისათვის, რომ გუნდმა წარმატებას მიაღწიოს აუცილებელია იგი ყველა პოზიციაზე და თამაშის სხვადასხვა ასპექტში თანაბრად იყოს დაბალანსებული

— ბოლოხანს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ მოედნის საფარს. ხომ არ შეადარებდით თანამედროვე და თქვენი პერიოდის მინდვრებს? საერთოდაც, ნუთუ საფარი ამდენად მნიშვნელოვანია და რამდენად არის ფეხბურთელი მის ხარისხზე დამოკიდებული?

— მოედნის ხარისხი ფეხბურთში ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახლდათ. ჩვეულებრივ დაბლა გაკრეჭილ, თანაბარი საფარს ენიჭება უპირატესობა. ასეთ მინდორზე თამაში უფრო დაუბრკოლებელი და სწრაფია. ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად მუდმივად უმჯობესდება საფარის ხარისხიც. დღევანდელი მოედნები გაცილებით სჯობს წლების წინანდელს. მითუფრო ეს მსოფლიოს პირველობათა მატჩების დროს შეიმჩნევა.

თარგმნა მიხეილ სურგულაძემ

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. 22-ე ტური

15 იანვარი

044	არსენალი-სანდერლენდი	1,6	2,9	6,0
045	ნელსი-ლესტერი	1,5	3,3	6,0
046	ქოვენთრი-უიმბლდონი	1,8	2,9	4,2
047	ევერტონი-ტოტენჰემი	2,3	2,9	2,8
048	მიდლსბრო-დერბი	1,8	3,0	4,0
049	უენსდი-ბრედფორდი	2,0	3,0	3,3
050	უოტფორდი-ლივერპული	3,6	2,9	1,9
051	ვესტ ჰემი-ასტონ ვილა	1,8	2,9	4,2

16 იანვარი

052	ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1,5	3,3	6,0

ინგლისი. I დივიზიონი. 27-ე ტური

15 იანვარი

053	ბირმინგემი-ნორვიჩი	1,9	2,9	3,6
054	ბლეკბერნი-ჰადერსფილდი	1,9	2,9	3,6
055	ნარლტონი-ქრიუ	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
056	კრისტალ პალასი-ბარნსლი	2,6	2,9	2,4
057	გრიმსბი-ნოტინგემი	2,3	2,9	2,8
058	იფსვიჩი-სვინდონი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
059	პორტსმუთი-ვულვერჰემპტონი	2,5	2,9	2,5
060	ქუინზ პარკი-ბოლტონი	1,8	2,9	4,2
061	ტრანმერი-სტოკპორტი	1,9	2,9	3,6
062	უოლსოლი-შეფილდი	2,4	2,9	2,6
063	ვესტ ბრომვიჩი-პორტ ვეილი	1,8	2,9	4,2

16 იანვარი

064	მანჩესტერ სიტი-ფულემი	1,9	2,8	3,8

ინგლისი. II დივიზიონი. 27-ე ტური

14 იანვარი

065	სტოკი-პრესტონი	2,4	2,8	2,7

15 იანვარი

066	ბლეკპული-ლუტონი	2,5	2,9	2,5
067	ბორნმუთი-ბრისტოლი	2,0	2,9	3,4
068	როვერსი-ჯილინგემი	1,8	2,9	4,2
069	ბერი-რექსემი	1,6	3,0	5,6
070	კარდიფი-ოქსფორდი	1,9	2,8	3,8
071	ჩესტერფილდი-ბარნლი	3,2	2,9	2,1
072	ნოტსი-კოლჩესტერი	1,5	3,4	5,6
073	ოლდემი-ბრენტფორდი	2,0	2,9	3,4
074	რედინგი-კემბრიჯი	1,7	3,0	4,7
075	უიგანი-მილუოლი	1,6	3,0	5,6
076	უიკომბი-სკანთორპი	1,7	3,0	4,7

ინგლისი. III დივიზიონი. 27-ე ტური

15 იანვარი

077	ბრაიტონი-ლეიტონი	1,6	3,2	5,0
078	კარლაისლი-სუონსი	3,6	2,9	1,9
079	ჩელტენემი-მენსფილდი	1,8	2,9	4,2
080	ჩესტერი-როტერჰემი	4,0	3,0	1,8
081	ექსეტერი-ბარნეტი	3,4	2,9	2,0
082	ჰალიფაქსი-ჰარტლპული	2,0	2,9	3,4
083	ლინკოლნი-ჰალი	2,0	2,9	3,4
084	მაკლსფილდი-დარლინგტონი	2,5	2,9	2,5
085	პიტერბრო-ნორთჰემპტონი	2,2	2,9	3,0
086	შრიუსბერი-პლიმუთი	2,5	2,9	2,5
087	საუთენდი-როჩდეილი	2,3	2,9	2,8
088	იორკი-ტორკი	2,8	2,9	2,3

საფრანგეთი. I დივიზიონი. 22-ე ტური

15 იანვარი

089	სტრასბური-მეცი	2,0	2,8	3,5
090	ოსერი-ლიონი	2,3	2,8	2,9
091	ლე ავრი-სენტ ეტიენი	2,3	2,9	2,8
092	სედანი-ლანსი	1,8	2,9	4,2
093	ნანსი-ბასტია	2,0	2,8	3,5
094	ნანტი-ტრუა	1,8	2,8	4,4
095	მონაკო-რენი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

16 იანვარი

096	მარსელი-მონპელიე	1,4	3,8	6,0
	0:1	2,0	3,3	2,2
097	ბორდო-პარი სენ ჟერმენი	2,3	3,0	2,6

საფრანგეთი. II დივიზიონი. 23-ე ტური

14 იანვარი

098	გენგამი-ნიცა	1,7	2,9	5,0

15 იანვარი

099	ვალანსი-ნიორი	2,1	2,9	3,2
100	კანი-ლემანი	2,3	2,9	2,8
101	ლავალი-ნიმი	2,0	2,9	3,4
102	ამიენი-აიაჩო	2,2	2,9	3,0
103	ლილი-შატორუ	1,5	3,1	7,0
104	სოშო-ლუანი	1,5	3,1	7,0
105	გენიონი-ტულუზი	2,4	2,8	2,7
106	ლორიანი-ვასკეალი	1,6	3,1	5,3
107	კაენი-კრეტეი	1,5	3,1	7,0

იტალია. სერია "ა". მე-17 ტური

15 იანვარი

108	ვენეცია-ფიორენტინა	2,8	2,9	2,3
109	ბოლონია-ბარი	1,9	2,8	3,8

16 იანვარი

110	ინტერი-კალიარი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
111	იუვენტუსი-პერუჯა	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
112	ლეჩე-პარმა	2,8	2,9	2,3
113	პიაჩენცა-ტორინო	1,9	2,8	3,8
114	რეჯინა-ლაციო	5,3	2,8	1,7
115	რომა-ვერონა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
116	უდინეზე-მილანი	2,9	2,8	2,3

იტალია. სერია "ბ". მე-19 ტური

14 იანვარი

117	ჯენოა-ნაპოლი	2,4	2,6	2,9

16 იანვარი

118	ალბანო-სამპდორია	2,4	2,6	2,9
119	ბრეშა-კოზენცა	1,5	3,0	7,5
120	ჩეზენა-ატალანტა	2,9	2,6	2,4
121	კიევო-ემპოლი	1,9	2,6	4,2
122	ფერმანა-ტერნანა	2,7	2,6	2,6
123	მონცა-პესკარა	1,9	2,6	4,2
124	პისტოიეზე-რავენა	2,4	2,6	2,9
125	სალერნიტანა-ტრევიზო	2,0	2,6	3,8

17 იანვარი

126	სავოია-ვიჩენცა	3,5	2,6	2,1

იტალია. სერია "C1/A". მე-19 ტური

16 იანვარი

127	სიენა-ალბინოლეფე	1,5	3,0	7,5
128	კომო-ბრეშელო	1,8	2,6	5,0
129	სანდონა-კარარეზე	2,3	2,5	3,2
130	ლივორნო-ჩიტადელა	2,5	2,6	2,8
131	ლუმეცანე-კრემონეზე	1,9	2,6	4,2
132	რეჯანა-ლეკო	1,6	2,7	7,0
133	მონტევარკი-ლუკეზე	3,8	2,6	2,0
134	ვარეზე-მოდენა	1,8	2,6	5,0
135	სპალ-პიზა	2,0	2,5	4,0

იტალია. სერია "C1/B". მე-19 ტური

16 იანვარი

136	გუალდო-არეცო	3,0	2,5	2,4
137	პალერმო-ასკოლი	1,9	2,5	4,4
138	ფანდრია-ატლეტიკო	1,7	2,6	6,0
139	აველინო-ბენევენტო	2,0	2,5	4,0
140	ვიტერბეზე-კროტონე	2,7	2,5	2,7
141	ანკონა-ჯულიანოვა	1,6	2,7	7,0
142	კატანია-ლოდიჯანი	1,7	2,6	6,0
143	სტაბია-მარსალა	1,5	3,0	7,5
144	დი სანგრო-ნონერინა	2,2	2,5	3,4

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-20 ტური

15 იანვარი

145	რაიო ვალეკანო-ატლეტიკო	2,3	2,9	2,8

16 იანვარი

146	სელტა-ოვიედო	1,5	3,4	5,6
147	სარაგოსა-ბარსელონა	2,5	2,9	2,5
148	რასინგი-ვალენსია	2,5	2,9	2,5
149	ესპანიოლი-მალაგა	1,9	2,8	3,8
150	ალავესი-დეპორტივო	2,9	2,8	2,3
151	ბეტისი-ბილბაო	2,3	2,9	2,8
152	ვალიადოლიდი-ნუმანსია	2,0	2,8	3,5
153	სოსიედადი-სევილია	1,7	2,9	5,0

ესპანეთი. II დივიზიონი. 22-ე ტური

15 იანვარი

154	ატლეტიკო "ბ"-ესტრემადურა	3,0	2,9	2,2
155	ტენერიფე-ლას პალმასი	1,9	2,9	3,6

16 იანვარი

156	ხეტაფე-ბადახოსი	2,5	2,8	2,6
157	ეიბარი-ალბასეტე	2,2	3,0	2,7
158	ელჩე-სალამანკა	3,2	2,9	2,1
159	ვილიარეალი-ლეიდა	1,8	2,9	4,2
160	ლევანტე-ლოგრონიესი	1,5	3,4	5,6
161	სპორტინგი-კორდობა	1,5	3,2	6,5
162	უელვა-კომპოსტელა	2,4	2,8	2,7
163	ტოლედო-ოსასუნა	2,5	2,9	2,2
164	მერიდა-ლეგანესი	1,7	2,9	5,0

პორტუგალია. მე-17 ტური

15 იანვარი

165	მარიტიმუ-ბენფიკა	3,0	2,9	2,2

16 იანვარი

166	ბელენენსეში-ფარენსე	1,5	3,2	6,5
167	ალვერკა-რიუ ავე	1,8	2,9	4,2
168	კამპომაიორენსე-ამადორა	2,4	2,9	2,6
169	ლეირია-სეტუბალი	2,0	2,9	3,4
170	გიმარაეში-სანტა კლარა	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
171	ბრაგა-ბოავიშტა	3,4	2,9	2,0
172	სპორტინგი-სალგეირუში	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

17 იანვარი

173	პორტუ-ეილ ვისენტე	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგია. მე-19 ტური

15 იანვარი

174	გენკი-გენტი	1,7	2,9	5,0
175	გეელი-სენტ ტრუიდენი	2,1	2,9	3,2
176	ლომელი-ბევერსხოტი	2,8	2,9	2,3
177	ბევერენი-ანდერლეხტი	4,7	3,0	1,7
178	მუსკრონი-ჰარელბეკე	1,6	3,0	5,6
179	შარლერუა-მეხელენი	2,1	2,9	3,2

16 იანვარი

180	ბრიუგე-ლოკერენი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
181	ლიერსი-აალსტი	1,5	3,3	6,0
182	სტანდარდი-ვესტერლო	1,9	2,9	3,6

საბერძნეთი. მე-15 ტური

16 იანვარი

183	კალამატა-ტრიკალა	1,7	3,0	4,7
184	არისი-იონიკოსი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
185	აეკ კავალა	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
186	ოფი-ოლიმპიაკოსი	3,4	2,9	2,0
187	პაოკ-აპოლონი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
188	ქსანთი-პანილიაკოსი	2,3	2,9	2,8
189	პანათინაიკოსი-პანიონიოსი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
190	პანაჰაიკი-ირაკლისი	2,8	2,9	2,3
191	ეთნიკოსი-პროდეფტიკი	1,7	3,0	4,7

თურქეთი. მე-16 ტური

14 იანვარი

192	სამსუნი-ტრაბზონი	2,8	2,9	2,3

15 იანვარი

193	ანკარაგიუჯიუ-გაზიანთეფი	2,4	2,9	2,6
194	ბურსა-ვანი	1,7	3,0	4,7
195	გალათასარაი-ალთაი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
196	ანთალია-ქოჯაელი	1,7	3,1	4,4

16 იანვარი

197	ერზურუმი-გენჩლერბირლიგი	2,0	2,9	3,4
198	გიოზთეფე-დენიზლი	2,4	2,9	2,6
199	ადანა-ისთანბული	2,0	2,9	3,4
200	ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში	2,4	2,8	2,7

კლუბების მსოფლიოს ჩემპიონატი

14 იანვარი

503	რეალი-ნეკასა	1,7	3,0	4,7
504	კორინთიანსი-ვასკუ და გამა	2,7	2,8	2,4

ტურში გატანილი გოლები

ინგლისი. XXII ტური	25 და ნაკლები	1,9	27 და მეტი	1,9
საფრანგეთი. XXI ტური	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9
იტალია. XVI ტური	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9
ესპანეთი. XX ტური	26 და ნაკლები	1,9	28 და მეტი	1,9
პორტუგალია. XVI ტური	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9
საბერძნეთი. XV ტური	22 და ნაკლები	1,9	24 და მეტი	1,9
თურქეთი. XVI ტური	23 და ნაკლები	1,9	25 და მეტი	1,9

კალათბურთი. NBA

14 იანვარი

857	ფილადელფია-ორლანდო	1,35	12,0	2,5
858	შარლოტი-ნიუ იორკი	1,5	12,0	2,0
859	ტორონტო-მილუოკი	1,45	12,0	2,1
860	დეტროიტი-ვაშინგტონი	1,1	12,0	5,0
861	ინდიანა-ლეიკერსი	1,8	12,0	1,6
862	ჩიკაგო-ატლანტა	1,7	12,0	1,7
863	დენვერი-მაიამი	1,8	12,0	1,6
864	ფინიქსი-პორტლენდი	1,7	12,0	1,7
865	სიეტლი-სან ანტონიო	1,5	12,0	2,0
866	ვანკუვერი-კლივლენდი	1,6	12,0	1,8

15 იანვარი

867	ნიუ იორკი-შარლოტი	1,3	12,0	2,8
868	ნიუ ჯერსი-ბოსტონი	1,35	12,0	2,5
869	ვაშინგტონი-დეტროიტი	2,0	12,0	1,5
870	ორლანდო-ინდიანა	1,7	12,0	1,7
871	ატლანტა-ფილადელფია	2,0	12,0	1,5
872	ჩიკაგო-ჰიუსტონი	1,9	12,0	1,55
873	მილუოკი-ტორონტო	1,35	12,0	2,5
874	მინესოტა-ლეიკერსი	2,3	12,0	1,4
875	დალასი-პორტლენდი	2,5	12,0	1,35
876	იუტა-კლიპერსი	1,1	12,0	5,0
877	გოლდენ სტეიტი-საკრამენტო	2,3	12,0	1,4

16 იანვარი

878	ფინიქსი-დენვერი	1,3	12,0	2,8
879	საკრამენტო-კლივლენდი	1,2	12,0	3,5
880	ვანკუვერი-მაიამი	2,0	12,0	1,5

17 იანვარი

881	ნიუ იორკი-დეტროიტი	1,35	12,0	2,5
882	ფილადელფია-ნიუ ჯერსი	1,3	12,0	2,8
883	ვაშინგტონი-ბოსტონი	1,6	12,0	1,8
884	შარლოტი-ტორონტო	1,45	12,0	2,1
885	ატლანტა-მილუოკი	2,0	12,0	1,5
886	მინესოტა-ინდიანა	1,7	12,0	1,7
887	დალასი-ჰიუსტონი	1,5	12,0	2,0
888	კლიპერსი-სან ანტონიო	2,8	12,0	1,3
889	ლეიკერსი-სიეტლი	1,25	12,0	3,1
890	გოლდენ სტეიტი-ორლანდო	1,9	12,0	1,55

ჰოკეი. NHL

14 იანვარი

891	ბუფალო-მონრეალი	1,4	4,4	3,4
892	ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი	1,3	4,4	4,0
893	ატლანტა-ფილადელფია	2,7	4,4	1,6
894	ფლორიდა-კაროლინა	1,5	4,4	3,0
895	ედმონტონი-ტორონტო	2,0	4,4	2,0
896	ანაჰაიმი-სენტ ლუისი	2,0	4,4	2,0

15 იანვარი

897	აილენდერსი-რეინჯერსი	2,2	4,4	1,8
898	მონრეალი-ბოსტონი	2,0	4,4	2,0
899	ფილადელფია-ნიუ ჯერსი	1,7	4,4	2,4
900	კალგარი-ტორონტო	2,0	4,4	2,0
901	ტამპა ბეი-ფლორიდა	2,4	4,4	1,7
902	ნეშვილი-პიტსბურგი	2,0	4,4	2,0
903	კოლორადო-ჩიკაგო	1,5	4,4	3,0
904	ფინიქსი-ანაჰაიმი	1,5	4,4	3,0
905	ვანკუვერი-დალასი	2,0	4,4	2,0
906	სან ხოსე-ლოს ანჯელესი	1,8	4,4	2,2

16 იანვარი

907	ვაშინგტონი-ოტავა	2,0	4,4	2,0
908	რეინჯერსი-ატლანტა	1,4	4,4	3,4
909	ედმონტონი-დეტროიტი	2,1	4,4	1,9

17 იანვარი

910	აილენდერსი-ოტავა	2,2	4,4	1,8
911	ტამპა ბეი-ვაშინგტონი	2,0	4,4	2,0
912	ბოსტონი-ატლანტა	1,4	4,4	3,4
913	ფლორიდა-ფილადელფია	1,9	4,4	2,1
914	ჩიკაგო-სან ხოსე	2,0	4,4	2,0
915	კოლორადო-ფინიქსი	1,9	4,4	2,1
916	ნიუ ჯერსი-კაროლინა	1,4	4,4	3,4
917	ვანკუვერი-ტორონტო	2,1	4,4	1,9
918	ანაჰაიმი-ბუფალო	1,9	4,4	2,1

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის განვრიე მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვლრიე შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების ნინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, ანერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს მიდაგანანესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ანდრე და ქორწილი ჰავაიზე

REUTERS სიდნეიდან

ტოდ მარტინი

მელბურნი. ავსტრალია. „კოლონიალ კლასიკი". რიბაუნდ ეისი. საჩვენებელი ტურნირი.

„კოლონიალ კლასიკი" უკვე კარგა ხანია საუკეთესო კაც ჩოგბურთელთა საყვარელ ადგილად იქცა ავსტრალიის ღია პირველობის წინ მზადების დროს. „კუინინგის" საჩოგბურთო ცენტრში ზუსტად ისეთივე საფარი და ბურთები გამოიყენება, როგორც სეზონის პირველ „მეიჯორზე", თანაც პირველივე მატჩის წაგების შემთხვევაშიც კი გარანტირებული გაქვს სულ დარჩეულ მეტოქეებთან სამი შეხვედრის ჩატარება მაინც.

როგორც წესი, ტურნირის ორგანიზატორები აქ მხოლოდ ვარსკვლავებს იწვევენ და გამონაკლისი არც ამჯერად მომხდარა: „კლასიკზე" წლეულს მსოფლიოს პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ჩოგნები — ანდრე აგასი, ევგენი კაფელნიკოვი, პიტ სამპრასი და ტომას ენკვისტი ასპარეზობენ, მათ გარდა კი აქ არიან ნიკოლას კიფერი, რიჩარდ კრაიჩეკი, მარკ ფილიპუსისი და უეინ ფერერა.

მაყურებელთა ფავორიტმა აგასიმ პირველი ზუსტი დარტყმის განხორციელება ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე, საერთო პრესკონფერენციის დროს მოასწრო, რომელსაც რვავე ჩოგბურთელი ესწრებოდა.

მოსაწყენი და უმეტესად უინტერესო კითხვა-პასუხის კვალზე როგორც იქნა, ერთმა სატელევიზიო ჟურნალისტმა გაბედა და ხოტორა ანდრეს მიმართა, მართალია თუ არა, რომ შტეფი გრაფზე საიდუმლოდ დაქორწინდით ჰავაის კუნძულებზეო.

მცირე პაუზის შემდეგ ამერიკელმა სერიოზული სახით მიიწია მიკროფონი და განაცხადა: „ო, დიახ. დიდი ამბავი იყო, ჩვენი უახლოესი 250 მეგობარი გვყავდა მიწვეული. ცოტა გამიკვირდა, რომ იქ თქვენ ვერ გნახეთ, ბიჭებო, ორივენი მოუთმენლად გელოდით. ATR-სა და WTA ტურებს 20 პირადი მიწვევაც კი გავგზავნინეთ ყველაზე ჭკვიანი და პროფესიონალი ჟურნალისტებისთვის. სამწუხაროა, რომ თქვენ იქ არ იყავით".

ასე რომ, საყოველთაო მხიარულებაში აგასიმ მასმედიის ყველა წარმომადგენელს დაუკარგა სურვილი, მასა და გრაფის ურთიერთობაზე რაიმე კიდევ ეკითხათ. მით უმეტეს, ყველამ იცის, რომ შტეფი ამჟამად მასთან ერთად მოგზაურობს და მელბურნში ხშირად ერთადაც ვარჯიშობენ.

რაც შეეხება თამაშს, მსოფლიოს პირველი ჩოგანი (იმედია, ფაბრის სანტოსი გვაპატიებს) ისევე კარგად გამოიყურება, როგორც შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარში. ანდრემ თავის პირველ მატჩში უეინ ფერერას აჯობა 6:2, 6:4, მერე კი ნახევარფინალში ტურნირის შარშანდელ ჩემპიონსა და ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტ ტომას ენკვისტს მოუგო 6:2, 5:7, 6:4.

ზუსტი დარტყმით, ოღონდ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, აგასიმ ამჯერად კორტზეც გამოიჩინა თავი. ენკვისტთან მატჩში მაყურებლები ფეხზე წამოდგომით და მქუხარე ტაშით მიესალმნენ ამერიკელს, რომელმაც კორტის მეორე კიდიდან გამოქცეულმა ბექჰენდი ზედ გვერდითა ხაზზე დაასვა, მერე კი თავი ველარ შეიკავა, სარეკლამო დაფას გადააფრინდა და ბალახშე ყირა გაჭიმა. (შეგიძლიათ, ბოლო გვერდზე სურათიც იხილოთ).

„საკუთარ მზადყოფნაზე ვერ დავიჩივლებ, შესანიშნავად ვგრძნობ თავს. ვიცი, რომ ამიერიდან ძველებური ჩავარდნების უფლებას ველარ მივცემ თავს, ერთხელ რომ წავიფორხილო, უკან დაბრუნებას უკვე ველარ მოვახერხებ" — განაცხადა აგასიმ, რომელმაც კლასიფიკაციაში სულისშემკვრელი მოგზაურობის შედეგად ჯერ პირველიდან 141-ე ადგილზე ამოყო თავი, მერე კი იგივე გზა მეორე მიმართულებითაც განვლო.

სამაგიეროდ, ჯერჯერობით ვერაფრით დაატრაბახებს „ოუფენის" შარშანდელი გამარჯვებული და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ევგენი კაფელნიკოვი: სოჭელმა ჟენიამ წლეულს გამართული სამივე მატჩი წააგო და საეჭვოა, მელბურნული ტიტულის შენარჩუნება შეძლოს.

„კლასიკზე" 25 წლის რუსი ჯერ მარკ ფილიპუსისთან დამარცხდა 6:7 (5:7), 7:6 (7:4), 1:6, მერე კი ჰოლანდიელ რიჩარდ კრაიჩეკთან 3:6,4:6. „ვერაფერი სიამოვნებაა ფილიპუსისისა და კრაიჩეკისთანა ხალხთან თამაში, რომლებიც მუდმივად გბომბავენ ეისებით ორნიშნა ციფრების რაოდენობით" — დაიჩივლა ჟენიამ, რომლის მეტოქეებსაც ამ ორ შეხვედრაში 38 ეისი დაუგროვდათ.

სხვა შეხვედრები კი ასე დასრულდა: საMპრასი — კრაიჩეკი 6:4, 3:6, 7:6 (7:5); ენკვისტი — კიფერი 6:3, 6:4; კიფერი — ფერერა 6:2, 6:4.

სიდნეის საერთაშორისო პირველობა. ავსტრალია. ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $

წლეულს სიდნეის საერთაშორისო პირველობა, რომელზეც კაცებიცა და ქალებიც ასპარეზობენ, ახალ ბინაზე გადასვლას ზეიმობს — ძველი, მყუდრო „უაით სითის" ნაცვლად ამიერიდან იგი ოლიმპიურ კომპლექსში შემავალ „ჰოუმბუშ სენთერში" გაიმართება, რომელიც ცხრა თვის თავზე ათასწლეულის პირველ ოლიმპიადასაც უმასპინძლებს.

ჯერჯერობით სუპერთანამედროვე, ათი ათასკაციანი ცენტრალური კორტის ნამდვილ აღმოჩენად რაიმე ტექნიკური საოცრება კი არა, 20 წლის ხორვატი ივან ლუბიჩიჩი იქცა.

ლუბიჩიჩი ძირითად ბადეში შემოხვევით მოხვდა: კლასიფიკაციით 78-ე ხორვატმა საკვალიფიკაციო ტურნირის ფინალურ სტადიაზე წააგო, მაგრამ რაკიღა ყატარის ტურნირის ჩემპიონმა ფაბრის სანტორომ თამაშზე უარი განაცხადა, „იღბლიანი წაგებულის" სტატუსით მერე შანსი მიეცა.

შანსი, რომელიც იტალიაში მცხოვრებმა ჩოგბურთელმა ხელიდან არ გაუშვა. მან პირველ წრეში ზორბა რუს მარატ საფინს მოუგო, მერვედფინალში კი ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულსა და მესამე განთესილ ტოდ მარტინს 18 ეისი მოუწოდა და მასაც გუდა-ნაბადი ააკვრევინა 7:6, (13:11), 6:4.

„მისი მოწოდება იმაზე გაცილებით უკეთესი გამოდგა, ვიდრე ველოდი. გაოცებული ვარ, რომ აქამდე ბევრი არაფრისთვის მიულწევია, იგი გაცილებით მაღლა უნდა იმყოფებოდეს კლასიფიკაციაში" — განაცხადა მარტინმა.

ლუბიჩიჩი 12 წლის ასაკში, თავისივე თქმით, „უკანასკნელ თვითმფრინავს" გაჰყვა ბოსნიიდან იტალიაში, რადგან ხორვატებისთვის იქ დარჩენა უკვე სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა და პროფესიონალად გახდომაც მაშინ გადაწყვიტა.

„მე მარტინს მოვუგე, ვერ ვხედავ მიზეზს, მომდევნო წრეში კუჩერასაც რატომ ვერ უნდა ვაჯობო" — განაცხადა ლუბიჩიჩმა ოთხშაბათს და გუშინ თავისი სიტყვა საქმითაც დაადასტურა: მეოთხედფინალში მართლაც კიდევ ერთი ფავორიტი, განთესილი სლოვაკი კაროლ კუჩერა დაამარცხა 6:3, 3:6, 7:5.

მეოთხედფინალი: ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) — ნიკოლას ლაპენტი (2, ეკვადორი) 4:6, 7:5, 6:1; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:3, 6:4; ალეძს კორეტხა (ესპანეთი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 3:6, 7:5, 6:3.

ქალები. მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) 6:1 — ტრავმა; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) 6:7 (3:7), 6:3, 6:4; ამელი მორესმო (6, საფრანგეთი) — მარი პირსი (3, საფრანგეთი) 6:2, 6:3; ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 4:6, 6:2, 6:2.

ქალების მეოთხედფინალებში ერთი მცირე კონფლიქტიც მოხდა. ჩვეულებრივ წყნარი და აუღელვებელი ლინდსი დევენპორტი თავისი მეტოქის, არანჩა სანჩეს ვიკარიოს საქციელმა გაანაწყენა, რომელიც გამუდმებით ეკამათებოდა მსაჯებს.

„ყოველ მატჩში მსაჯები რამდენჯერმე ცდებიან. დღეს მეც არაერთხელ დავზარალდი, მაგრამ ჯერ დამიწუწუნია. არანჩა ცდილობდა, ამით მათზე ზეგავლენა მოეხდინა და უპირატესობა მოეპოვებინა" — აღნიშნა ლინდსიმ, რომელსაც სამობაო არდადეგები ბრონქატმა ჩაამწარა და ახლაღა იბრუნებს ფორმას.

ავთანდილ სვანიძე

მოწყენილი როი

REUTERS ნიუ იორკიდან



როი ჯონსი

აბა ვინ არ იცის, რომ დღევანდელობის საუკეთესო მოკრივე როი ჯონსია? ამ 31 წლის ამერიკელს სამ წონაში მოუგია ქამარი, ახლა კი საშუალო წონის აბსოლუტური ჩემპიონია. 42 ბრძოლიდან ერთადერთი წაუგია და ისიც არა ჩხუბით, არამედ დისკვალიფიკაციით, რასან რეფერის ნიშნის შემდეგ ამოსცხო მოწინააღმდეგეს. კრივში ინტერესი დაკარგეო, არაერთხელ უთქვამს და კალათბურთელობაც უცდია.

მაგრამ, როი კვლავ კრივობს, როგორც თვითონ ამბობს, ცოტას და ამ უქმეებზე მავან დევიდ ტელესკოსაც უნდა შეხვდეს ნიუ იორკის „რედიო სიტი მიუზიკ ჰოლში", რომელიც აგერ სამოცდაშვიდი წელიწადია გართობის განთქმულ ადგილად ითვლება. ჯონსს დიდად არაფრად უჩანს ტელესკოსთან ჩხუბი, რომელიც მისი ტოლი კია, მაგრამ მხოლოდ ოცდახუთჯერ უკრივია და აქედან ორი წაუგია. ეტყობა ამტომაც დაიგვიანა პრესკონფერენციაზე საათი და ორმოცი წუთი.

მოთმინებადაღლილ ჟურნალისტებს კი არაერთხელ ნათქვამი გაუმეორა, მძიმეწონოსნებთან ჩხუბის გარდა, რანგზე აღარაფერი მაინტერესებსო. აბა, რას იტყვი? როის წონა თითქმის ოთხმოცი კილოგრამია, საუკეთესო მძიმეწონოსანი ლენოქს ლუისი კი 113 კილოგრამს იწონის.

გაუშვი, შეახვედრონ, ეგებ მერე მაინც გაუჩნდეს კრივის ინტერესი ამ საუკეთესო როის.

თემთა პალატა ტაისონის წინააღმდეგ

დასაწყისი პირველ გვერდზე

თავისუფლად შეიძლება ასეც მოხდეს, მაიკ ტაისონის უიღბლობანი გრძელდება. 29 იანვარს ტაისონი მანჩესტერში უნდა შეხვდეს ბრიტანელ ვაი-მოკრივეს, გამოსწორებულ ნარკომანსა და ქუჩის ბიჭს, ახლა კოლეჯებში წესიერების მქადაგებელ ჯულიუს ფრენსისს, რომელიც ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე ემზადება რკინის მაიკთან საკრივოდ. ტაისონის მწვრთნელები აცხადებენ, სერიოზულად გვეშინია, მაიკს ხელში არ შემოაკვდეს ფრენსისიო. თუმცა, რის შემოკვდომა, როცა ტაისონი კვლავ ვერ ერგება კანონს, ამჯერად ბრიტანულს.

იქაური კანონი კი ამბობს, რომ თუ კაცი თორმეტ თვეს მაინც იჯდა ციხეში, სამეფოს მიწაზე ფეხს ვერ დადგამს. გვარიან ხმაურზე, რაც ტაისონის ქვეყანაში შემოშვება-არშემოშვების საკითხმა გამოიწვია, ერთი მოხდენილი საგაზეთო კარიკატურაც მიგვანიშნებს: ორ გამწლაკულ მებაჟეს თავს მუშტებმოღერებული მაიკი წამოდგომია, მებაჟეები კი დაობენ, არა შენ უთხარი, არა შენო.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მეოაური ჯეკ სტროუ უფრო იქეთკენ იხრება, რომ ტაისონს გამონაკლისის სახით მიეცეს შესვლის უფლება, რადგან ხელმძღვანელობითაა ცნობილი, რა უნდა აკეთოს ბრიტანეთში ამერიკელმა და მისი იქ ყოფნის ვადაც მკაცრადაა განსაზღვრული. სამაგიეროდ, ლონდონის მერობის კანდიდატი, თემთა პალატის წევრი, ქლაბტონი გლენდა ჯეკსონი კი აცხადებს, რომ თუ ტაისონს შემოუშვებენ, იგი (ჯეკსონი) ერთ ამბავს ატეხავს. „ამ კაცს სერიოზული დანაშაულებანი აქვს ჩადენილი სულ ცოხეში ზის. თუ შინაგან საქმეთა ოფისი წესს გადუხვევს, მე ამ დაწესებულებას პასუხს მოვთხოვ" — ეი, ასე.

სავარაუდოა, რომ ტაისონი მაინც გაივლის საიმიგრაციო სამსახურის ჯერბირებს, თუმც კი პრემიერ მინისტრ ტონი ბლერის პრესმდივანს ფილოსოფიურად შეუნიშნავს: „როგორც ვხედავ, გასავლელი ძალიან ვიწროა".

ალბერტ ხაჩატურიშვილი



მაიკ ტაისონი

ჩეხურ ახალდაბაში ახალი არაფერია

ნორვეგიელი ოლე ბიორნდალენი ბიატლონისტთა წლევანდელი მსოფლიოს თასის ლიდერ სვენ ფიშერს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩებოდა და, გერმანულ რუპოლდინგში, გუშინ გამართული ეტაპის მოგების შემთხვევაში საერთო ჩათვლის სათავეშიც მოექცეოდა. მაგრამ თხუთმეტკილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად — 39,12,7 წუთში გერმანელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა რიკო გროსმა დაფარა, თანაც სროლაშიც ზუსტი იყო — ერთიც არ აუცილებია და ცხადია, კვარცხლბეკის პირველ საფეხურზეც ის ავიდა. მის მხარდამხარ კი ადგილები ფრანგმა რაფაელ პუარემ და გროსის თვისტომმა სვენ ფიშერმა დაიკავეს. ოლე ბიორნდალენი ამჯერად მხოლოდ მეათე ადგილს დასჯერდა. მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში პირველობა 194 ქულით სვენ ფიშერმა შეინარჩუნა, ბიორნდალენი 182 ქულით ისევ მეორეა, მესამე ადგილი კი ფრენკ ლუკის ნაცვლად პუარემ დაიჭირა.

ქალები 12,5 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, რუსმა გალინა კუკლევამ თვით მსოფლიოს თასის ლიდერებს, შვედ მაგდალენა ფორსბერგსა და უკრაინელ ალიონა ზუბრილოვას აჯობა და წლევანდელ სეზონში მეორე ეტაპი მოიგო. თუმცა კუკლევას გამარჯვების საერთო ჩათვლაში არაფერი შეუცვლია. აქ კვლავ ფორსბერგი ლიდერობს (236 ქულა), მას კვალში ზუბრილოვა (215) და გერმანელი უშლი დიზლი (175) უდგანან.

თხილამურებით მრბოლთა მსოფლიოს თასის მეცხრე ეტაპს კი ჩეხეთის ნოვო მესტომ უმასპინძლა, კაცთა 15 კილომეტრიან დისტანციაზე ბადალი არ ჰყავდა ოლიმპიურ ჩემპიონს, ნორვეგიელ ტომას ალსგარდს. 29 წლის მოთხილამურემ ეს მანძილი 37.19,9 წუთში გაიარა. ალსგარდის მერე ფინეთის ხაზი გაესპანელებულმა გერმანელმა იოჰან მიულეგმა გადაკვეთა. ყველა გააოცა 41 წლის ფინელმა ვეტერანმა ჰარი კირვენნიემიმ, რომელიც მესამე იყო და მიულეგს მხოლოდ ორი წამით ჩამორჩა.

ქალთა 10 კილომეტრიან რბოლაში კი იმარჯვა რუსმა ლარისა ლაზუტინამ, რომელმაც ესტონელი კრისტინა შმიგუნი და შარშანდელი მსოფლიოს თასის მფლობელი ბენტე მარტინესი მეორე-მესამე ადგილებს დაჯერა, თუმცა ცხრა ეტაპის მერე 542 ქულით მარტინესი ისევ საერთო ჩათვლის სათავეშია.

ძახა ხურციძე

REUTERS ნოვო მესტოდან

ტომას ალსგარდი

ბიატლონი

საერთო ჩათვლა

კაცები

1 სვენ ფიშერი (გერმანია) — 194 ქულა
2 ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია) — 182
3 რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — 169

ქალები

1 მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) — 236 ქულა
2 ალიონა ზუბრილოვა (უკრაინა) — 215
3 უშლი დიზლი (გერმანია) — 175

სათხილამურო რბოლა

საერთო ჩათვლა

კაცები

1 ტომას ალსგარდი (ნორვეგია) — 441 ქულა
2 იოჰან მიულეგი (ესპანეთი) — 402
3 ესპენ ბიერვიგი (ნორვეგია) — 347

ქალები

1 ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) — 542 ქულა
2 კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) — 527
3 ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 450

REUTERS ანაჰაიმიდან

ანაჰაიმელ მაიკ ლეკლერს (12) ოტაველმა მცველმა ჯეისონ იორგმა და მეკარე რონ ტაგნატმა არც ამჯერად გაატანინეს

მესიე მესია არ არის

12 იანვარი

ატლანტა — ვაშინგტონი 2:5 (1:3 0:0 1:2)
1:0 ბრიუნეტი 5'15 (16); 1:1 გონჩარი 15'16 (8); 1:2 ბულისი 15'38 (9); 1:3 იგლსი 16'40 (2); 1:4 ნიკოლიშინი 44'03 (5); 2:4 ფერარო 52'05 (11); 2:5 საიმონი 58'27 (10)

ფლორიდა — პილენდერსი 4:3 (2:1 2:2 0:0)
0:1 ისბისტერი 2'24 (14); 1:1 შვეპლა 9'12 (7); 2:1 მელანბი 18'57 (10); 2:2 ლინდგრენი 26'40 (8); 3:2 სტიუარტი 30'25 (6); 4:2 ბურე 35'08 (29); 4:3 სკაჩარდი 36'42 (4)

ჩიკაგო — ვანკუვერი 3:2 (1:2 1:0 0:0 1:0)
1:0 დაზე 6'08 (15); 1:1 შეფერი 9'42 (10); 1:2 ბერტუცი 14'34 (8); 2:2 ჟამნოვი 26'28 (10); 3:2 კოტი 43'16 (5)

კალგარი — დალასი 2:1 (0:0 0:0 1:1 1:0)
1:0 ლინდსეი 41'02 (3); 1:1 სლოუნი 49'22 (9); 2:1 უიმერი 42'03 (3)

ფინიქსი — პიტსბურგი 3:1 (0:0 1:0 2:1)
1:0 დოუნი 31'25 (15); 2:0 ლეტოვსკი 43'04 (11); 3:0 ტკაჩუკი 45'20 (17); 3:1 იაგრი 48'10 (33)

ანაჰაიმი — ოტავა 0:2 (0:0 0:0 0:2)
0:1 პროსპალი 51'29 (10); 0:2 ჰოსა 59'00 (15)

სამი წლის წინ, როცა ვანკუვერმა სახელოვანი ფორვარდი მარკ მესიე შეიძინა, კლუბის მფლობელმა ჯონ მაკუმ დაიქადნა, მხოლოდ თასის მოგება დაგვაკმაყოფილებსო. დრომ გამოაჩინა, რომ კანადელებმა ჯიბეები სულ ტყუილად დაიცარიელეს — გუნდმა ქულებთან ერთად ქომაგებიც თანდათან დაკარგა.

„რას იზამ. საქმე ხან კარგად წაგივა, ხანაც ცუდად“ — თავს იმშვიდებს მესიე, რომელმაც შინ ნაწინასწარმეტყველები მესიის როლი ნაწილობრივ ტრავმების გამო ვერ შეასრულა. თუმცა ვანკუვერელებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. მაგალითად ჩიკაგოსთან ბოლო შეხვედრაც გამოდგება. დამატებითი დროის მეორე წუთზე სტუმრებმა ისეთ რამ მოიმოქმედეს, რაც ნამდვილად არ ეპატიებათ — ყინულზე 4-ის ნაცვლად 5 მოთამაშე შეუშვეს და შეცდომისთვის უმალ დაისაჯნენ. უმცირესობაში დარჩენილებმა საკუთარ კარში მესამე გოლი მიიღეს. მასპინძელთა მცველის, სილვენ კოტის გოლმა „ქორებს“ ზედიზედ მეორედ მოაგებინა.

კალგარის უკვე კარგა ხანია, დამატებით დროში ვერავინ სჯობნის. ამჯერად „ალებმა“ ჩემპიონი დალასი იმსხვერპლეს. მათი უპირატესობა აშკარა იყო და საბოლოოდ ჯეისონ უიმერმა მარტინ სენტ ლუისის (22 პასი) ჩინებული გადაცემის შემდეგ გამარჯვების გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მანამდე იმავე უიმერმა დალასს ჯო ნუნდიაკს ტრავმის შემდეგ დაბრუნების სიხარული ჩაუმწარა. მესამე პერიოდში ძალისმიერმა ფორვარდმა დაშვებული ილეთით სტუმართა კიდევ ერთი ლიდერი, მაიკ მოდანი ისე მიანარცხა ბორტზე, რომ ტვინის მსუბუქი შერყევა მიაღებინა.

ასევე სამწუხაროდ დასრულდა დღე ატლანტელთა მწვრთნელ კურტ ფრეზერისთვის, რომელსაც 12 იანვარს. 42 წელი შეუსრულდა და, ცხადია, შეგირდებისგან საჩუქარს ელოდა. მასპინძლებმა ჩინებულად დაიწყეს თამაში, პირველი 12 წუთი, ფრეზერის თქმით, დებიუტანტთათვის საუკეთესო იყო, მაგრამ შემდეგ 84 წამის განმავლობაში ვაშინგტონმა სამჯერ გაიტანა და მატჩიც თავის სასარგებლოდ დასრულა.

როგორც იქნა, გამოვლინდა ერთპიროვნული ლიდერი მეკარეთა შორის. ოტაველმა რონ ტაგნატმა ანაჰაიმს 32 დარტყმიდან ერთიც არ გაატანინა და მეოთხე შათაუტით ყველას გაასწრო.

აილენდერსელმა კლოდ ლაპუანმა ფლორიდასთან მატჩის დამთავრებამდე 21 წამით ადრე ბულიტი ვერ გამოიყენა და თავის კლუბს ქულა დააკარგვინა. ფორვარდმა თითქმის ყველაფერი სწორად გააკეთა, მეკარე მაიკ ვერნონი მოატყუა, შაიბაც ფეხებს შორის გაუძვრინა, მაგრამ ვერაგი რეზინის დისკი ოდნავ ასცდა კარს.

სამაგიეროდ, ფინიქსელმა კეიტ ტკაჩუკმა ასეთივე შანსი ხელიდან არ გაუშვა და მისი ძალისხმევით „კოიოტები“ კვლავ გაუტოლდნენ დალასს და ახლა ისინიც წყნარი ოკეანის დივიზიონის სათავეში მოექცნენ.

ALL STAR GAME-2000

იარომირ იაგრი: სიყვარულის მილიონერი

6 თებერვალს ტორონტოში ლიგის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი გაიმართება. მასში ჩრდილო ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოს გუნდები ზედიზედ მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს. ამასობაში გამოვლინდა ქომაგთა ტრადიციული გამოკითხვის შედეგები, რომელთაც გუნდების სასტარტო ექვსეულები (მეკარე, ორ-ორი მცველი, გარემარბი და ცენტრფორვარდი) უნდა დაესახელებინათ. ამის შესახებ უკვე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველს და მას შემდეგ ვითარება არსებითად აღარ შეცვლილა, მაგრამ რამდენიმე ფაქტს მაინც გამოვყოფთ. უპირველესად აღსანიშნავია პიტსბურგელი იარომირ იაგრის მიღწევა, რომელმაც ჯამში 1 020 736 ხმაზე მეტი მოაგროვა, რაც გამოკითხვების ისტორიაში პირველად ხდება. ბოლო მომენტამდე მიმდინარეობდა ბრძოლა ჩრდილო ამერიკის მცველთა შორის არსებული ორი ადგილის მოსაპოვებლად და ერთობ დასანანია, რომ სამ პრეტენდენტს შორის ზედმეტი სახელოვანი ბოსტონელი რეი ბურკი აღმოჩნდა; მსოფლიოს ნაკრების კარს კი, მიუხედავად ტრავმისა და არცთუ მთლად დამაჯერებელი თამაშისა, მაინც დომინიკ ჰაშეკი დაიცავს.

მეკარეები: *კერტის ჯოზეფი* (ტორონტო, კანადა) 554 789 ხმა; კრის ოსგუდი (დეტროიტი, კანადა) 306 775; პატრიკ რუა (კოლორადო, კანადა) 251 907; ედ ბელფორი (დალასი, კანადა) 237 751; ჯონ ვანბისბრუკი (ფილადელფია, აშშ) 199 241

მცველები: *კრის პრონგერი* (სენტ ლუისი, კანადა) 509 783; *რობ ბლეიკი* (ლოს ანჯელესი, კანადა) 500 349; რეი ბურკი (ბოსტონი, კანადა) 499 155; ელ მაკინისი (სენტლუისი, კანადა) 445 076; კრის ჩელიოსი (დეტროიტი, აშშ) 444 851; ლარი მერფი (დეტროიტი, კანადა) 266 282

გარემარბები: *ჰოლ გარია* (ანაჰაიმი, კანადა) 730 971; *ბრენდან შანაჰანი* (დეტროიტი, კანადა) 470 995; ოუენ ნოლანი (სან ხოსე, კანადა) 421 109; ჯონ ლეკლერი (ფილადელფია, აშშ) 414 764; მარკ რეკი (ფილადელფია, კანადა) 366 599; ბრეტ ჰალი (დალასი, აშშ) 340 381

ცენტრფორვარდები: *სტივ აიზერმანი* (დეტროიტი, კანადა) 533 671; ერიკ ლინდროსი (ფილადელფია, კანადა) 358 358; ჯო საკიკი (კოლორადო, კანადა) 286 970; მაიკ მოდანო (დალასი, აშშ) 205 401; პიერ ტარჯონი (სენტ ლუისი, კანადა) 145 565

დანარჩენი მსოფლიო

მეკარეები: *დომინიკ ჰაშეკი* (ბუფალო, ჩეხეთი) 528 492; არტურს ირბე (კაროლინა, ლატვია) 382 949; რომან ტურეკი (სენტ ლუისი, ჩეხეთი) 371 719; ტომი სალო (ედმონტონი, შვედეთი) 331 988; ნიკოლაი ხაბიბულინი (ფინიქსი, რუსეთი) 313 512

მცველები: *ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტროიტი, შვედეთი) 924 024; *სანტის ოზოლინში* (კოლორადო, ლატვია) 570 054; სერგეი ზუბოვი (დალასი, რუსეთი) 568 067; ალექსეი ჟამნიკი (ბუფალო, რუსეთი) 301 989; დმიტრი იუშკევიჩი (ტორონტო, რუსეთი) 264 813; ოლეგ ტვერდოვსკი (ანაჰაიმი, რუსეთი) 253 931

გარემარბები: *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი, ჩეხეთი) 1 020 736; *ტეემუ სელიანე* (ანაჰაიმი, ფინეთი) 652 620; პაველ ბურე (ფლორიდა, რუსეთი) 435 161; ზიგმუნდ პალფი (ლოს ანჯელესი, სლოვაკეთი) 235 592; ვალერი ბურე (კალგარი, რუსეთი) 235 095; ვიაჩესლავ კოზლოვი (დეტროიტი, რუსეთი) 232 164

ცენტრფორვარდები: *მათს სუნდინი* (ტორონტო, შვედეთი) 543 428; პეტერ ფორსბერგი (კოლორადო, შვედეთი) 485 833; სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი, რუსეთი) 382 391; იგორ ლარიონოვი (დეტროიტი, რუსეთი) 145 811; საკუ კოიკუ (მონრეალი, ფინეთი) (გამორჩეული ჰოკეისტები სასტარტო ექვსეულში მოხვდნენ).

ამრიგად, დეტროიტი ერთადერთი კლუბია, რომლის სამი მოთამაშეც სასტარტო ექვსეულშია. ორ-ორი ტორონტოსა და ანაჰაიმს ჰყავს, ხოლო ჩრდილო ამერიკის სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ კანადელები მოხვდნენ.

ამ გამოკითხვის შედეგები 9 იანვარს გამოქვეყნდა, ხოლო გუშინ ცნობილი გახდა კიდევ იმ 19 მოთამაშის ვინაობა, რომლებიც მსოფლიოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ. სიას ძმები ბურრეები უძღვებიან და თუ ფლორიდელი პაველის „ოლ სტარზე“ მოხვედრა ჩვეულებრივი ამბავია, კალგარელ ვალერის ეს პატივი პირველად ხვდა წილად, რაც წლეულს ჩინებული ასპარეზობით სავსებით დაიმსახურა.

პეტერ და მარიან შტიასნის შემდეგ, რომლებიც 1983 წელს მონაწილეობდნენ ვარსკვლავია შოუში, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ძმები ერთ გუნდში ითამაშებენ.

გარდა ძმები ბურრეებისა, „ოლ სტარის“ თამაშში მონაწილეობის უფლება კიდევ ოთხმა ფორვარდმა მიიპოვა, ვინც თავის გუნდში ლიდერობს ბომბარდირთა შორის. ესენი არიან: ბუფალოელი მიროსლავ შატანი (სლოვაკეთი), მონრეალელი მარტინ რუჩინსკი (ჩეხეთი), აილენდერსელი მარიუშ ჩერკავსკი (პოლონეთი) და ოტაველი რადეკ ბონკი (ჩეხეთი). მსოფლიოს ნაკრებში მოხვდნენ კოლორადელი ფორვარდები: პეტერ ფორსბერგი (შვედეთი) და მილან ჰეიდუკი (ჩეხეთი), ასევე ფორვარდები ვიქტორ კოზლოვი (ფლორიდა, რუსეთი), პაველ დემიტრა (სენტ ლუისი, სლოვაკეთი) და სამი კაპანენი (კაროლინა, ფინეთი); მცველები: დიმიტრი ოუშკევიჩი (ტორონტო, რუსეთი), პეტერ ბუზეკი (ატლანტა, ჩეხეთი), სტეპო ნიუმინენი (ფინიქსი, ფინეთი), პეტრ სვობოდა (ტაბა, ჩეხეთი), კიმო ტიმონენი (ნეშვილი, ფინეთი) და სერგეი ზუბოვი (დალასი, რუსეთი); მეკარეები: ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი, გერმანია) და ტომი სალო (ედმონტონი, შვედეთი).

შესაძლოა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო 6 თებერვალს ტორონტოში ახალი სახეებიც ეხილოთ. მაგალითად, ნეშვილელმა კიმო ტიმონენმა ერთსა და იმავე დღეს ორი ამბავი გაიგო: კარგი — „ოლ სტარის“ გუნდში მოხვედრას და ცუდი — მოტეხილი მაჯის გამო არანაკლებ ექვს კვირას დასვენება მოუწევს. ასე რომ, ჰოკეისტი „ვარსკვლავთა“ შოუში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ჩრდილო ამერიკის სრული შემადგენლობა ხვალ გამოცხადდება.

სამველ ღარიბიანი

ნინო სალუქვაძე სიტყვასაც ათიანში არტყამს

მე ნურაფერს დამაბრალებენ, პასუხი აგონ მათ, ვინც სასიდნეო მზადების გეგმა ჩამიშალა

სამშაბათს პარლამენტში სპორტისა და ხელისუფლების პაემანი რით დასრულდა, ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის. ქართული სპორტი ხელგაწვდილი მიადგა სამთავრობო ტრიბუნას, ვიღუპებით და გვიშველეთ, დაგვაფინანსეთო, მაგრამ უკან ჯიბეცარიელი გაბრუნდა. მთავრობას გული ვერც სპორტის მეცენატობით ცნობილი მეწარმე-პოლიტიკოსის გოგი თოფაძის ხატოვანმა გამონათქვამმა მოულბო, დღეს ქართული სპორტის პანაშვიდზე შევიკრიბეთ, ხვალ ქელეხზე მოგვიწევს მოსვლაო.

ნინო სალუქვაძე

საქმე ისაა, რომ ოლიმპიადისთვის სპორტსმენთა მოსამზადებელი ფული არაა. სამაგიეროდ, არის უზარმაზარი იმედი, რომ ყველაფერი მოგვარდება და ფული გამოიძებნება. ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს, მაგრამ მზადების პროცესი რომ მეტისმეტად შეფერხდება, ამაზე არავინ დაობს. აგერ, ბატონო, ფაქტებიც — ვისაც იანვარში შეკრება ან ტურნირი (მათ შორის, სალიცენზიოც) უწევდა, უსახსრობის გამო თბილისიდან გასვლა ვერ მოახერხა. მოუმზადებლად კი სიდნეიში რომც წავიდეთ, მსოფლიოს რჩეულ სპორტსმენებთან პაექრობაში რას გავაწყობთ?

ჯერჯერობით ყველაზე ცუდ დღეში ტყვიით მსროლელი ნინო სალუქვაძეა. ორი ლიცენზიის მფლობელსა და ჩვენს უპირველეს ოლიმპიურ იმედს ხვალ დორტმუნდში შეკრება უნდა დაეწყო. ის კი დეპარტამენტმა ვერ დააფინანსა. ნინო ახლა თბილისში ვარჯიშობს, მაგრამ როგორც თავად თქვა, ეს მხოლოდ ფორმას თუ შეუნარჩუნებს, თორემ მარალ შედეგზე საუბარი ზედმეტია. გერმანიაში სალუქვაძეს კეთილმოწყობილი ტირი ელოდა, აქ კი გაყინულ ოთახში ისვრის და მაინცდამაინც არც ელექტროენერგიითაა განებივრებული. 25-ში სალუქვაძეს მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში უნდა იასპარეზოს, მაგრამ... ნინოს გუშინ საღამოს რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა — „დორტმუნდში რომ ვერ გამიშვეს, ისე ვარ გაბრაზებული, ახლა რომც მომცენ ფული, მიუნხენში მაინც არ წავალ. მე ტურნირზე მეტად შეკრება მაინტერესებს, თორემ სიდნეიში (თუ წავედით) ვერავის ვეტყვი, ჩემმა ქვეყანამ იანვარში ვერ დამაფინანსა და ვერ მოვემზადეო. ახლა ერთს ვითხოვ — მომცენ საბუთი, რომ ვერ მაფინანსებენ, მერე რომ წარუმატებლობაზე პასუხი არ მომთხოვონ. მზადების გეგმა ერთი წლის წინ, შევიმუშავე, იქ ყველაფერი წამებში მქონდა გათვლილი.“ ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ სალუქვაძის შარშანდელი წარმატებული წლეულინ სწორედ დორტმუნდის შეკრებიდან დაიწყო.

უფულობის გამო ვერ წავიდა 10 იანვარს ფრანკფურტში ბატუტისტი რუსუდან ხოფერიაც. ანა დოლონაძის კონტრაქტით, იქ უფასოდ ივარჯიშებდა. საჭირო იყო მხოლოდ გერმანიამდე ჩასასვლელი ფული. როგორც ჩანს, იგი ვერც 17 თებერვალს წავა სიდნეიში მსოფლიოს თასის ეტაპზე. ახლა ფედერაცია ცდილობს, ხოფერიას ეკონომიურად უფრო მისაღები ვარიანტი გამოუძებნოს რუსეთის ტერიტორიაზე. აქ ერთიცაა სათქმელი — თუ რუსუდანს ტურნირზე ვერ გაუშვებენ, მაშინ შეკრებასაც აზრი ეკარგება. ახლა რომც გამგზავრებულიყო გერმანიაში, ავსტრალიაში წაუსვლელს მაინც ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდებოდა. წლევანდელი წელი ოლიმპიურია და დროის თვალსაზრისით ასეთი ფუფუნების უფლებას არ იძლევა. სპორტსმენმა ისე უნდა გაანაწილოს თავისი ძალები, რომ ოლიმპიადას მზადყოფნის პიკში შეხვდეს. არასტაბილური მზადება კი ამას ხელს ნამდვილად არ უწყობს.

მოსკოვში წასასვლელად ფულს ელის ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე. თუ თანხა გამოიძებნა, ის ორშაბათს გაემგზავრება, იქ 45-დღიან შეკრებას გაივლის და მერე იქვე „მსოფლიოს ვარსკვლავების“ სახელით ცნობილ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ვიმეორებთ, ეს მხოლოდ ჩანაფიქრია. ჯერ კი გზის ფულია საჭირო. ფედერაციას არც შეკრების თანხა აქვს, ამიტომ რუს კოლეგებთან აწარმოებს მოლაპარაკებას, იქნებ გიორგაძე ნისიად ავარჯიშოთო.

ამათთან შედარებით გაუმართლა მხატვრულად ტანმოვარჯიშე ინგა თავდიშვილს. „ველური ბარათით“ ლიცენზიამიღებული სპორტსმენი 4 იანვარს გაემგზავრა იტალიაში, სადაც იქ მომუშავე ლალი დოლიძემ მიიწვია ერთ-ერთ კლუბში. ინგა აპენინებზე თვე-

ფოტო ბადრი კეთილაძის

რუსუდან ხოფერია

ნახევარს დარჩება, რაც მზადებაში უთუოდ წაადგება. როგორც ფედერაციაში გვითხრეს, ის თავისი ხარჯით წავიდა, უკან კი იტალიური კლუბის ფულით დაბრუნდება.

მეტად არასახარბიელო ვითარებაა ჭიდაობაშიც. აქ არაა ლაპარაკი შეკრებებსა და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაზე. სალიცენზიო ტურნირებზე გამგზავრებაც კი საეჭვოა. ასეთი კი 22-23 იანვარს „ბერძენ-რომაელებს“ რომში, ხოლო 29-30-ში თავისუფლად მოჭიდავეებს მინსკში ელით. მოჭიდავე ტურნირზე ერთი დღით ადრე მაინც უნდა ჩავიდეს, აწონვა რომ გაიაროს. თავდაპირველად მოსაგვარებელია ბილეთების პრობლემა. უმისოდ ვიზებში გადახდილი ფული იკარგება. თუ ბილეთების აღება დაგვიანდა, მერე შეიძლება საბუთების გაფორმება ვერ მოასწრო... სასტუმროს დაჯავშნა და არჩასვლა დაჯარიმებას ნიშნავს. არ დაჯავშნი და...

უკეთეს დღეში არც ძიუდოისტები არიან. შარშან ამ დროს მათ უკვე ნაჭიდავები ჰქონდათ იაპონიაში და მოსკოვის ტურნირისთვის ემზადებოდნენ, წლეულს კი... 22-23 იანვარს მოსკოვში სალიცენზიო ტურნირი იწყება, ორშაბათს ბილეთები უნდა აიღონ, ფული კი არ ჩანს. სამაგიეროდ, არის დეპარტამენტის დაპირებები.

უფულობამ არია ძალოსნების — მუხრან გოგიასა და გიორგი ასანიძის გეგმებიც. ისინი 22 იანვარს პოლონეთში უნდა წასულიყვნენ შეკრებაზე ვანო გრიქუროვთან, მაგრამ ახლა ცოტა ხნით, ფულის გამოჩენამდე, მოცდა მოუწევთ.

აი, ხუთჭიდელმა დავით ჭულუხაძემ კი ჭკუა იხმარა და ბიუჯეტს არ დაუწყო ცქერა. მას ჯერ ლიცენზია არ მოუპოვებია, მაგრამ საამისო პოტენციალი და დიდი სურვილი აქვს. რადგან საქართველოში მზადების ნორმალური პირობები არ არის (განსაკუთრებით, ზამთარში), ისიც ადგა და მინსკს მიაშურა, ოღონდ ამაში ძალიან დაეხმარა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი. მან სპორტსმენს თვეების მანძილზე მიუღებელი სტიპენდიაც მისცა და 28-დღიანი შეკრების ფულიც დაუმატა. დათო 2 დეკემბერს წავიდა მინსკში და იქ კიდევ ორ თვეს დარჩება. ამ დახმარების შედეგი სახეზეა — ჭულუხაძემ ბელარუსის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა. მას შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე (მე-15 ადგილი) საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარმა იარაღმაც გაუმართლა და სროლაში (ადრე რომ „აქილევსის ქუსლად“ ითვლებოდა) გაცილებით მაღალი შედეგი აჩვენა. მინსკში გამარჯვებამ მასა და მის მწვრთნელ ამირან შეროზიას ლიცენზიის მოპოვების იმედი უფრო გაუძლიერა. მით უფრო, რომ საერთაშორისო ფედერაციამ საგზურების რაოდენობა 16-დან 24-მდე გაზარდა.

ეს იმ სახეობებზე ვთქვით, რომლებსაც უფულობამ იანვრის დაგეგმილი კალენდარი შეუცვალათ, თორემ სამომავლოდ არც სხვებს უნდა ულხინდეთ. მაგალითად, ჩვენი მოკრივეების— პაატა გვასალიასა და დავით ადამაშვილის წაყვანა აზერბაიჯანის კრივის ფედერაციას სურს. მართალია, ჯერ ფედერაციებს ან ეოკებს შორის ამაზე არაფერი თქმულა, მაგრამ ერთ-ერთი აზერბაიჯანული კლუბიდან კი მოვიდა წერილი. მოქალაქეობის შეცვლისა და ნაკრებში მიღების პრობლემას კლუბი ვერ გადაწყვეტს, მაგრამ საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ ფალიანის თქმით მოკრივეებს თუ საქართველოში ხელს არ შეუწყობენ, სალიცენზიო ტურნირებზე ვერ გაუშვებენ და მას აზერბაიჯანელი კოლეგა მიმართავს, მაშინ იგი ბიჭებს ხელს არ შეუშლის და წასვლის უფლებას მისცემს. ჩვენს მეზობლებს ვლადიმერ ჭანტურაიას წაყვანაც მოსურვებიათ, მაგრამ მან ლიცენზია მოიპოვა და აქედან არავინ გაუშვებს. აქვე გეტყვით, რომ ჭანტურაია ახლა უცხოეთშია შეკრებაზე. ვფიქრობ, ღირს იმის აღნიშვნაც, რომ სწორედ უფულობამ გამოგვაცალა ხელიდან სასიდნეოდ გიორგი კანდელაკი, კობა გოგოლაძე და რამაზ გაზაშვილი, რომლებსაც ოლიმპიადაზე მედლებისთვის ბრძოლა შეეძლოთ.

ირაკლი თავაძე

ნაკრებია თუ მაჭრიონი?

ეროვნული გუნდის წევრები დანიაში გასამგზავრებლად აეროპორტში შეიკრიბებიან

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ, მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინ ბათუმს მიაშურა და იქაური „ბასკო“ ჩაიბარა. მან აჭარული გუნდის მწვრთნელის რანგში „სარბიელთან“ პირველივე საუბრისას აღნიშნა, ეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული გუნდის ინტერესებს უკავშირდებაო. ამ სიტყვების წარმოთქმისას ტომარაძემ, ბუნებრივია, ზღვისპირელთა მყარი მატერიალური ბაზა და ის კონტინგენტი იგულისხმა, რომელმაც „ბასკოში“ მოიყარა თავი. ყველასთვის ნათელია, დღეს „ბასკო“ ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდად იწოდება და ამას არც არავინ უარყოფს...

ზურაბ ტომარაძე

მაგრამ ნაკრები მაინც სულ სხვაა, ქვეყნის სახეა და ცალკეული კლუბების თუ რეგიონების მოჩიტვა (საკალათბურთო ასპექტებით) საერთო საქმისთვის ვერაფერი ნუგეშია. ამ მხრივ კი ძალიან მძიმე სურათია, თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნის უპირველესი გუნდისადმი ინტერესი და ყურადღება საყოველთაო არ გახლავთ. ნაკრები, რომელმაც ყველგან და ყველაფერი წააგო, კვლავაც საამისოდაა განწირული.

ზურაბ ტომარაძეს შინ, ბათუმში დავუკავშირდით. ბედნიერი, რაც მთავარია, იღბლიანი ახალი წელი ვუსურვეთ და მერე სამომავლო გეგმებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა...

— ვერაფერს გეტყვით, დღემდე არაფერი არ დაგვიგეგმავს, ან კი რა აზრი აქვს რაიმეს წინდაწინ გათვლას. იმის მინიმუმიც რომ გაკეთდეს, რაც ნაკრების საევროპოდ მომზადებას სჭირდება, ამითაც დაკმაყოფილდებით.

— დანიაში გასამართ ევროპის 2003 წლის საკვალიფიკაციოს წინა ეტაპამდე ოთხი თვეღა დარჩა...

— საქმის კეთება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ამ ოთხ თვეში რეალურად რას მოვასწრებთ, არ ვიცი. ისეთი პირი უჩანს, რომ ეროვნული გუნდი სრული შემადგენლობით დანიაში გამგზავრების წინ, აეროპორტში შეიკრიბება.

— როგორც ვიცით, თქვენი მიწვევით აჭარაში იმყოფება ნაკრების მეორე მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი. რატომ გესტუმრათ იგი ბათუმში?

— ნუგზარს ჩამოსვლა მე ვთხოვე. მოუცლელობის გამო თავად თბილისში ვერ მივემგზავრები, კანდელაკს კი, გუნდი არ ჰყავს და მთლიანად ნაკრებზეა გადართული. მან ბევრი საგულისხმო ინფორმაცია ჩამომიტანა, რაც უნდა იყოს, მაინც თბილისშია და უშუალოდ აკვირდება ეროვნული გუნდის კანდიდატთა მზადებას. გარდა ამისა, ნუგზარმა ჩვენს მეტოქეებზე, მათ სათამაშო ტაქტიკაზეც ბევრი რამ მოიძია. ყოველივე ამას ერთად გავარჩევთ, ავწონ-დავწონით და სათანადო დასკვნებსაც გამოვიტანთ.

— ამ თვის ბოლოს ფიბა-ში იმ ოცდაოთხი კაცის სია უნდა გაიგზავნოს, რომელთაც ნაკრებში თამაშის უფლება მიეცემათ. შეარჩიეთ უკვე კანდიდატები?

— ძირითადი ბირთვი უკვე გამოიკვეთა, ყველაფერი კი საბოლოოდ იანვრის ბოლოს გვეცოდინება, რამდენიმე მოთამაშის საკითხი მე და კანდელაკს ჯერაც ვერ გადაგვწყვეტია.

— სადღეისოდ რას გვეტყვით, ძირეულ ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდეთ გუნდის შემადგენლობაში?

— შემადგენლობა ძირფესვიანად შეიცვლება. ამის აუცილებლობა ევროპის ჩემპიონატის ბოლო ციკლმაც თვალნათლივ დაგვანახა. რაიმე განსაკუთრებული არ გვგონოთ, უბრალოდ, ჩვენ ჩვენი შეხედულება გვაქვს და მაისის ტურნირზე იმ მოთამაშეებს დავეყრდნობით, ვისაც მეტად გვჯერა.

— ახალწვეულები თუ გეყოლებათ გუნდში?

— ნაკრები ძირითადად ნაცადი კალათბურთელებით დაკომპლექტდება. რა თქმა უნდა, არიან ახალწვეულებიც, მაგრამ ის, დაიმკვიდრებენ თუ არა თორმეტ კაცში ადგილს, მთლიანად მათზეა დამოკიდებული. აპრილში საფრანგეთში გასამართ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე გავემგზავრები და იქ ვნახავ ჯაჭვში ცქიტშვილს, ფაჩულიასა და უგრეხელიძეს. ვნახოთ, როგორ გამოავლენენ თავს ეს ბიჭები.

— რაჟი „ბასკო“ ნაკრების საბაზო გუნდია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეროვნული გუნდის ბირთვს სწორედ ეს კლუბი შექმნის...

— „ბასკოს“ ხუთი წევრი უეჭველად მოხვდება შემადგენლობაში, სადღეისოდ ასე ვფიქრობთ. ეგ კი არა, მე და კანდელაკი მეექვსე კანდიდატსაც განვიხილავთ. სხვა კლუბებიდანაც ვაპირებთ ორი-სამი კალათბურთელის მოწვევას.

— ლეგიონერებზე რატომ არაფერს ამბობთ?

— უცხოეთში მოთამაშენი თავისიანად იგულისხმებიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ნაკრებში ადგილი განაღდებული ექნებათ. სახელი — ლეგიონერი ჩემთვის არაფერს წყვეტს, მთავარია, კონკრეტული მოქნტისთვის რამდენად მიმზადებული იქნება კალათბურთელი.

ასეა თუ ისე, ნაკრები საბოლოოდ იმის მიხედვით ჩამოყალიბდება, თუ როგორ სტრატეგიას ავირჩევთ მწვრთნელები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დანიაში ზედიზედ ხუთი თამაშის გამართვა მოგიწევს, რაც კალათბურთელისგან დიდ ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს.

— რამდენად სარწმუნოა თბილისში გავრცელებული ხმები, თითქოს თქვენ „ბასკოში“ ირაკლი ბაქრაძეც გადაიბირეთ?

— ბაქრაძემ თავად გამოთქვა „ბასკოში“ თამაშის სურვილი, მაგრამ მან ჯერ თავის კლუბთან, „ვითასთან“ ურთიერთობა უნდა გაარკვიოს.

— თქვენ თუ ხართ დაინტერესებული ბაქრაძის ბათუმურ გუნდში თამაშით?

— ჩემი სურვილია, რომ სადაც არ უნდა თამაშობდეს ბაქრაძე, კარგ ფორმაში იმყოფებოდეს. სხვა დანიშნულება არც ექნება მის „ბასკოში“ გადმოსვლას, ჩვენ კარგი მოთამაშეების ნაკლებობას არ განიცდით.

— გამოდის, რომ ბაქრაძეს უარს ეუბნებით?

— არა, რატომ. ირაკლი მართლაც რომ კარგი კალათბურთელია და სიამოვნებით ვიმუშავებდი მასთან, მაგრამ, ვიმეორებ, მან ჯერ „ვითასთან“ დამოკიდებულება უნდა გაარკვიოს. ბაქრაძე ამას წინათ ბათუმშიც იყო, ვესაუბრე და ზემოთქმული მიზეზით უკან გავისტუმრე. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაირიცხება „ბასკოში“, თუ ყველაფერი გაირკვევა და მხარეებიც შეთანხმდებიან.

— ამას წინათ სპარინგ-პარტნიორებზეც იყო ლაპარაკი. არავინ გამოინახა ისეთი, რომ დანიაში წასვლამდე ნაკრები წავარჯიშდეს და შეთამაშდეს?

— ნაკრებზე ვერ გეტყვით, მაგრამ უახლოეს მომავალში „ბასკო“ რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს. ჩვენთვის ყველაზე ხელმისაწვდომი თურქული ვარიანტია და როგორც კი დრო გამოგვიჩნდება, მეზობელი ქვეყნის გუნდებს გავეჯიბრებით, რაც ნაკრებისთვისაც მომგებიანი იქნება. სხვა ქვეყნის კლუბებზეც არის საუბარი. სულ ახლახან ბათუმს რუსეთის „ურალ გრეიტის“ ყოფილი მწვრთნელი, პაველ გოოგე სტუმრობდა, რომელმაც აქ სემინარები მოაწყო, თანამედროვე კალათბურთზე თავისი მოსაზრებებიც გაგვიზიარა და ამით ძალიან დაგვეხმარა. მას მთელ ევროპასთან საქმიანი კავშირი აქვს და კვლავაც თანადგომა აღგვითქვა.

გიორგი გიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარული ჩემპიონატი

სიეტლი ანუ პეიტონი

12 იანვარი

დენვერი 93:103 სიეტლი

დენვერი: ვან ექსელი (4), მერსერი (25), ფოუზი (3), მაკდაიეი (26), ლაფრენცი (9); მაკლაუდი (19), კლარკი (6), სტიტი (1), ჰერენი

სიეტლი: პეიტონი (35 ქულა, 10 მოხსნა), ბერი (21), პატერსონი (8), ბეიკერი (13), გრანტი (6); დევისი (10), პერსონი (6), ლუისი (4), ფოსტერი

სტეფანიას გუნდმა მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო. „დენვერი" სულაც არაა ხელწამოსაკრავი მეტოქე და მისი შინ დამარცხება ურიგო შედეგი არ გახლავთ. ამ სეზონში „დენვერი" უფრო სოლიდურ გუნდად მოგვევლინა. როგორც ჩანს, მას არგო მთავარი მწვრთნელის პოსტზე ძირძველი დენვერელის, დან აისელის დაბრუნებამ. „ნაგეტსი" უფრო შეიკრა და თავკაცმა შეგირდებს მიზნად პლეი ოფში მოხვედრა დაუსახა, სადაც გუნდს ბოლო ოთხი წელია, არ უთამაშია. ამჟამად „დენვერი" დასავლეთში მეცხრე ადგილზეა და კვლავ აგრძელებს ბრძოლას პლეი ოფში მოსახვედრად.

აისელი კარგი მწვრთნელია, მაგრამ მატჩამდე იგი შეგირდებს რომ არიგებდა, ერთი უმარტივესი შეცდომა დაუშვა, რომლის გაუთვალისწინებლობაც არ შეიძლება, როცა „სიეტლს" ეთამაშება. „სუპერსონიქსის" ლიდერ გერი პეიტონზე ბევრი დაგვიწერია, მაგრამ ისევ და ისევ უნდა ვთქვათ, რომ ამ კაცის გარეშე „სუპერსონიქსი" იმის ნახევარ თამაშებსაც ვერ მოიგებდა, რაც ახლა აქვს მოგებული. იგი ისეთ სისწრაფეს და იმდენად სრულყოფილ ტექნიკას ფლობს, რომ მისი ბოლომდე გაჩერება თითქმის შეუძლებელია. იმ დღეს მასპინძლებმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს მეტოქის მთავარ იარაღს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. პეიტონმა თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მთლიანად გამოთიშა თამაშიდან თავისი მეურვე ნიკ ვან ექსელი, „დენვერის" ლიდერი. პეიტონის მჭიდრო მეურვეობით შეჭირვებული ვან ექსელი ამაოდ ცდილობდა, გამოსავალი ეპოვა.

ვან ექსელი კი მოკვეთა თამაშიდან პეიტონმა, მაგრამ მასპინძლები მაინც არ ცხრებოდნენ და თავისას ცდილობდნენ. თამაში ასე თუ ისე თანაბარ ბრძოლაში გაილია. მასპინძლებმა ბოლო მეოთხედის მეოთხე წუთზე სხვაობა ერთ ქულამდე დაიყვანეს — 85:84, მაგრამ სწორედ ამ დროს გადაირია სიეტლელთა ლიდერი, დარჩენილ მონაკვეთში შვიდი ქულა ჩააგდო, იქვე მას ლეგენდარული კალათბურთელის, რიკ ბერის ვაჟი და მეწყვილე უკანახაზში ბრენტ ბერი შეეშველა ხუთი ქულით და „სიეტლმაც" პირში ჩალა გამოავლო ამაოდ მებრძოლ „დენვერს".



REUTERS დენვერიდან

დენვერი — სიეტლი. გერი პეიტონი (ბურთით) დენვერელ ნიკ ვან ექსელს გაურბის

ვანკუვერი 92:95 ფინიქსი

ვანკუვერი: ჰარინგტონი (19 ქულა, 10 მოხსნა)

ფინიქსი: კიდი (20 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი, 6 დაფარება)

პორტლენდი 95:75 კლივლენდი

პორტლენდი: ვოლესი (25)

კლივლენდი: კემპი (17)

მილუოკი 94:103 ლეიკერსი

მილუოკი: ალენი (25), კასელი (24 ქულა, 13 პასი), რობინსონი (22)

ლეიკერსი: ონილი (27 ქულა, 10 მოხსნა), ბრაიანტი (22), რაისი (20)

დეტროიტი 114:108 ნიუ იორკი

დეტროიტი: ჰილი (29), სტეკჰაუზი (29), ჰანტერი (29)

ნიუ იორკი: სპრიუელი (23), ჰიუსტონი (22), იუინგი (20)

ტორონტო 108:102 ორლანდო

ტორონტო: კარტერი (30), ბოგსი (22)

ორლანდო: აბდულ-ვაჰადი (23)

ინდიანა 117:102 ვაშინგტონი

ინდიანა: როუზი (25)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (23 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

ბოსტონი 95:88 კლიპერსი

ბოსტონი: პირსი (22)

კლიპერსი: ოდომი (29), ტეილორი (22 ქულა, 12 მოხსნა)

შარლოტი — ჩიკაგო

გადაიდო

„მილუოკი" შინ ვაჟკაცურად დაუხვდა უძლეველ „ლეიკერს" და დიდი ბრძოლაც გაუმართა, მასპინძელთა ლიდერების — კასელ-ალენ-რობინსონის ტრიომ ლამის თავი დიდო, მაგრამ ბოლოს ისევ სტუმართა ონილ-ბრაიანტ-რაისის სამეულმა გადაძალა და „ლეიკერსმაც" უკვე ზედიზედ მეოქვსმეტედ მოიგო.

„დეტროიტმა" და „ნიუ იორკმა" ერთმანეთს სიქა გააცალეს. თითეული გუნდიდან სამ-სამმა მოთამაშემ დაავროვა ორი ათეული ქულა და მეტი. განსაკუთრებით ნიუიორკელთა ლიდერი ალან ჰიუსტონი იბრძოდა, რაღგან ყოფილი დეტროიტელია, მაგრამ ერთბაშად სამმა მასპინძელმა, თითქოს შეთანხმებულანო, 29-29 ქულა ნაუგდეს ვიცე-ჩემპიონ „ნიუ იორკს" და შინ ნაწყენი გაისტუმრეს.

ვანკუვერში დაძაბულ შეხვედრაში „ფინიქსმა" იმარჯვა. მისმა ჯეისონ კიდმა კი მორიგი სამმაგი დუბლი შეასრულა და სულ ოთხი ჩაჭრა დააკლდა ოთხმაგამდე.

მომავლის მოთამაშედ შერაცხულმა ტორონტოელმა ვინს კარტერმა ჩვეულად იფრინა „ორლანდოსთან", ოცდაათი ქულა ჩაუგდო მას, თან არც თანაგუნდელები დაივიწყა, ბლომად პასები ურიგა და კარიერაში ყველაზე მეტი, ცხრა პასიც შეაგოლა.

ირაკლი ფირაზვილი

ბობი ფილზის ცხოვრება და აღსასრული

ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, ავტოკატასტროფაში დაიღუპა „შარლოტ ჰორნეტსის" უკანახაზელი ბობი ფილზი. 30 წლის კალათბურთელს სიკვდილმა „ჰორნეთსის" შინაური სარბიელის — „შარლოტ კოლიზეუმის" სიახლოვეს მაშინ უწია, როცა იგი დილის მსუბუქი ვარჯიშიდან შინ მიიჩქაროდა. არადა, დღეს იგი უეჭველად ცოცხალი იქნებოდა, მასა და უკანახაზში მის მეწყვილეს, გამთამაშებელ დევიდ ვესლის შუა ქალაქში „ჰორშეებთან" გაჯიბრების სულელური აზრი რომ არ მოსვლოდათ თავში. აზარტში შესულმა ფილზმა თანაგუნდელის გვერდის ავლა მოინდომა, მაგრამ მთელი სიჩქარით მრბოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ავტომობილზე კონტროლი დაკარგა და სიცოცხლეც საკუთარი ხელით მოისწრაფა. მისი გადარჩენის ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა. კალათბურთელმა ადგილზევე დალია სული. დარჩა მეუღლე ქენდელი და ორი შვილი.

კარგი კალათბურთელი და კარგი ადამიანი გამოესალმა წუთისოფელს. გულწრფელად გლოვობს მთელი ასოციაცია, რადგან ვინც კი იცნობდა, ყველას ალალ და მეგობრულ კაცად მიაჩნდა. „მისი სიკვდილი ყველა ჩვენგანისთვის უდიდესი ტრაგედიაა, ის იყო საუკეთესო მეუღლე და მამა, ამას ყველა იტყვის, ვინც კი ბობის იცნობდა. იგი იყო ზრდილი, დიდად პატივსაცემი პიროვნება. ნებისმიერი ადამიანი ინტრებდა, ასეთი შვილი ჰყოლოდა, როგორიც ბობი იყო. იგი ყველა ჩვენგანის ცხოვრების ნაწილი გახლდათ, იგი ყველას უზომოდ დაგვაკლდება". — ამბობს შეძრწუნებული გუნდის მფლობელი ჯორჯ შინი, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობდა კალათბურთელს.

მომხდართან დაკავშირებით თავისი მწუხარება გამოთქვა თვით ასოციაციის ღვაწლმოსილმა კომისარმა დევიდ შტერნმა: „ბობი ფილზი გახლდათ განსახიერება იმისი, რაც ყველაზე საუკეთესოა ნბა-ში. ნიჭიერი კალათბურთელი, კარგი თანაგუნდელი და მეგობარი, ლიგის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი პიროვნება ძლიერ დააკლდება ჩვენს დიდ ოჯახს და საერთოდ კალათბურთის გულშემატკივრებს მთელ დედამიწაზე. ჩვენ ყველა გულითადად ვუთანაგრძნობთ ბობის ოჯახს".

შოკში არიან ფილზის თანაგუნდელები: „ახლაც ვერ მოვსულვართ გონს. ასეთი ბიჭი დაკარგეთ..." — განსვენებულის თანაგუნდელს, თავდამსხმელ დერიკ კოულმენს სიტყვები არ ჰყოფნის თავისი წუხილის გამოსათქმელად.



ბობი ფილზი

ყველა ამბობს, რომ გარდაიცვალა კარგი ადამიანი და შესანიშნავი პიროვნება, რომელიც ძალიან დააკლდება. ახლა რა დიდი დანაკარგია ფილზი „შარლოტ ჰორნეთსისთვის"... იგი ხომ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახლდათ და კლუბს გაუჭირდება მისი ღირსეული შემცვლელის პოვნა. სანამ ეს ტრაგიკული შემთხვევა მოხდებოდა, ფილზმა თავისი გუნდის 28 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მატჩში საშუალოდ 13,6 ქულას, 2,5 მოხსნას, 2,8 პასსა და 1,5 ჩაჭრას ახერხებდა. სპეციალისტების აზრით, 196-სანტიმეტრიანი ჯან-ლონით აღსავსე კაცი საუკეთესო იყო გუნდში დაცვითი ფუნქციების შესრულებისას.

ბობი ფილზმა ნბა-ს კარი 1991 წელს შეაღო. მისი პირველი გუნდი „კლივლენდ კავალიერზი" გახლდათ, სადაც ფილზმა ექვსი საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა. 1997 წელს, როგორც თავისუფალი აგენტი „შარლოტ ჰორნეთსში" გადავიდა. აქ მან შვიდწლიანი და 33-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა კლუბს, რომელიც დიდად გახარებული იყო ფილზის აყვანით. გასულ სეზონში გუნდში მივიდა ფილზის ამპლუაში მოთამაშე სუპერვარსკვლავი ედი ჯონსი, რომელმაც იგი მნიშვნელოვნად შეავიწროვა, მაგრამ ფილზმა, როგორც გულლია ადამიანმა და კარგმა პროფესიონალმა, მოახერხა, ჯონსსაც დამეგობრებოდა და ერთ-ერთი ლიდერის როლიც შეენარჩუნებინა. წინა სეზონი მისთვის საუკეთესო აღმოჩნდა ცხრაწლიან კარიერაში, ფილზის შედეგიანობამ მატჩში საშუალოდ 14,3 ქულას, 4,0 მოხსნის და 3,5 პასს უწია. იგი „შარლოტის" გულშემატკივართათვის ყველაზე საყვარელ მოთამაშედ იქცა...

აღსანიშნავია, რომ ამ ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრე კიდევ ერთი შარლოტელი, დერიკ კოულმენი მოჰყვა ავტოკატასტროფაში. იგი ნასვამი მართავდა „ლენდ როვერს", როცა ტრაქტორს შეეჯახა, მაგრამ კოულმენი მაშინ რამდენიმე ნაკაწრით და პოლიციაში ყურყუტით გამოძვრა.

„შარლოტი" იმ დღეს „ჩიკაგოს" ხვდებოდა, მაგრამ ეს მატჩი გაურკვეველი ვადით გადაიდო. 12 ოქტომბერს გამართულ ყველა შეხვედრაში კალათბურთელებმა და დარბაზში მყოფებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი განსვენებულის ხსოვნას.

REUTERS შარლოტიდან

ავარიის ადგილი: წინა პლანზე ბობი ფილზის „პორშეა"

ჯორდანი კალათბურთს შბრუნდება?

კალათბურთის მეფე და ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე მაიკლ ჯორდანი კი წავიდა, მაგრამ ასეთი კაცი 90 წლისაც რომ იყოს, მაინც საყოველთაო ყურადღების ცენტშია. სულ ახალახან ხმები დაირხა, მისი ჰაერის უდიდებულესობის კალათბურთში მობრუნების თაობაზე. ჯორდანის თამაშის მოტრფიალე ხალხი, მათი რიცხვი კი მთელ მსოფლიოში მრავალი მილიონია, გაწბილებული დარჩება, რადგან ჯორდანი ნამდვილად არ აპირებს გოლფის ყვანჯის ხელიდან გადაგდებას და ბურთის დაჭერას. უბრალოდ, გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ დიადი კალათბურთელი აპირებს კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდზის" ხელმძღვანელობაში მისვლას, როგორც სკალათბურთო ოპერაციების თავკაცი. თუ ეს ამბავი ნამდვილად დადასტურდა და ჯორდანი მართლაც დაინიშნა ამ თანამდებობაზე, მისი ფუნქციები იქნება კონტრაქტების გაფორმება, ტრანსფერები, დრაფტში მოთამაშეთა აყვანა და მომსახურე პერსონალის მიღება-გაშვება. „ვაშინგტონ პოსტი" ამასთან ერთად იუწყება, რომ თუ ეს მოხდა, ჯორდანმა იქნებ კლუბის აქციებიც იყიდოს და მისი მფლობელი შეიქმნეს. საერთოდ ჯორდანის მიერ რომელიმე კლუბის ყიდვის თემა ერთობ პოპულარულია ოკეანის გადაღმა. არცთუ უსაფუძვლო ხმები დადიოდა, იმის თაობაზე, თითქოს მას სურდა, თავისი მშობლიური შტატის, ჩრდილოეთ კაროლინას გუნდს „შარლოტის" მფლობელი გამხდარიყო, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა.



მაიკლ ჯორდანი

ახლა, როგორც ჩანს, 36 წლის მაიკლს „ვაშინგტონისკენ" უჭირავს თვალი. თვითონ ჯორდანმა ეს ამბავი არ დაადასტურა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ნახვა ვერ მოხერხდა. „ვაშინგტონის" ახლანდელ მთავარ მფლობელს, ები პოლინს პირში წყალი ჩაუგუბებია და კომენტარზე უარს აცხადებს.

ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. II ტური. 13 იანვარი

E ჯგუფი

ცსკა 71:76 ალბა

ბენეტონი 88:75 ჟალგირისი

F ჯგუფი

რეალი 98:78 ცრვენა ზვეზდა

ოლიმპია 69:63 პაოკ

პანათინაიკოსი 85:50 ფოლი

G ჯგუფი

ვილერბანი 75:64 კახა სან ფერნანდო

მაკაბი 65:55 პო ორტეზი

H ჯგუფი

ეფესი 84:74 ვარეზე

კორაჩის თასი

მერვეფინალი. პირველი მატჩები. 12 იანვარი

ხირონა (ესპანეთი) — პეპსი (იტალია) 67:65

ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) — მარუსი (საბერძნეთი) 80:77

აეროპორტი (იტალია) — პოგონი (პოლონეთი) 66:64

ლიმოჟი (საფრანგეთი) — ცსკა (უკრაინა) 86:73

ანტვერპენი (ბელგია) — ნოგილესი (პოლონეთი) 71:65

პერისტერი (საბერძნეთი) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 75:85

ტელეკომი (თურქეთი) — არისი (საბერძნეთი) 82:59

გალათასარაი (თურქეთი) — უნიკახა (ესპანეთი) 67:64

საპასუხო მატჩები 19 იანვარს გაიმართება

ფერარი თოვლში

REUTERS მადონა დი კამპილიოდან

იტალიურ სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში შეყრილა „ფერარის“ გუნდი და ახალი საფორმულო სეზონის წინ თოვლში ლაღობას მისცემია. მთელს იტალიურ, თუ უცხოურ სამანქანო პრესას მადონა დი კამპილიოში მოუყრია თავი ფერარელებთან გასასაუბრებლად. მიხაელ შუმახერი (ზედა ფოტოზე) ყველაფრის კაცია და თხილამურებზეც მარჯვედ დაჰქრის. ლუკა ბადოერი (ქვედა ფოტოზე) კი თოვლის მანქანას შეჩენია. მალე ლაღობა დამთავრდება და ამ გზატკეცილის გმირებს ბოქსებში უკრავენ თავს.



იტალია

თასის მეოთხედფინალი

I წრე

იუვენტუსი 3:2 ლაციო

1:0 ზიდანი (11), 2:0 კონტე (30), 3:0 კოვაჩევიჩი (43), 3:1 რავანელი (53), 3:2 მანჩინი (80)

ვადამდე

ყოველთვის ასეთი ამბავია, როცა ვინმე განთქმულს ბეისბოლის დიდების დარბაზში აირჩევენ. „ბოსტონ რედ სოქსელი“ კარლტონ ფისკი მთლად „ჰარლი დევიდსონის“ მოტოციკლით შემოგრიალებულა საკუთარი გადიადების აღმნიშვნელ ცერემონიალზე. მასთან ერთად დიდების დარბაზში „ცინცინატი რედზის“ ოდინდელი ვარსკვლავი ტონი პერესიც მიუღიათ. თუმცა, ფისკის ამბავი გამონაკლისია — ბეისბოლის მოთამაშეს მხოლოდ მაშინ თუ გახდიან დარბაზის წევრად, როცა თამაშისთვის თავი ხუთი წლის აქვს მინებებული, ფისკი კი დააჯასეს და ორი წელიწადი გამოაკლეს, რაც პატივისცემის განსაკუთრებული ნიშანია.

ანდრე ახტა, არანჩა დახტა

REUTERS მელბურნიდან

მთელი საჩოგბურთო ელიტა ამ დღეებში მწვანე კონტინენტზეა შეყრილი... ნამდვილი სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლები ორშაბათიდან ავსტრალიის ღია პირველობაზე გაჩაღდება, თუმცა მოთამაშეთა უმეტესობა არც გენერალური რეპეტიციების დროს ზოგავს თავს. აზარტში შესული მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასი მელბურნში ბურთის დევნისას სარეკლამო დაფებსაც კი გადააფრინდა, დიდი ბრძოლებისთვის თავს არც როლან გაროსის სამგზის გამარჯვებული არანჩა სანჩეს ვიკარიო ზოგავს.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები. გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli